



F 4096
2

F 4.096
2

F

ბალბატიონ
ტაბიდე

ვაკონება



1930

სახელმწიფო


F 899.9 62.1-1

ଓଡ଼ିଆ
ବ୍ୟାକ୍ ପରୀକ୍ଷା
ମୁଦ୍ରଣ କମିଶନ୍

ଗାଲାପତିହାରେ ତାଙ୍କପଦ୍ଧତି

ଚନ୍ଦ୍ର ପାତ୍ର

F 4.096
2



ସାହେଲିଗାଥା — 1980 — ଓଡ଼ିଆକୁଳ

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. ვლებ. პროსპ., № 91.
შეკვეთა № 1677. მთავლიტი 1161. ტირაჟი 2000.

215 333 17 62. 22,

დელეგატს
პოლიტიკურის
მე-VI კონგრესისას

მ ა რ ჯ ი რ ი
პ ი რ ლ ი ტ ს

და თორავთ დელეგატს იმავე
კონგრესისას (1920 წელი, ინგლისი,
საფრანგეთი, იტალია, ჩიხოულო-
ვაკია, ესპანეთი და სხვ.), რომელმა-
თანაც მართავ ვეოგზაურობელი სა-
ბაოთა კავშირის სამიზანო
რაიონებში კონგრესის დასრულე-
ბის შემდეგ, ამ წიგნს ვუძღვნი

ა ვ ტ ი რ ი

ტფილი.
I აგვისტო. 1929 წ.

ცეცხლიერთ ჩვენი ტრიალებს ხანა,
 ჩვენი მნათობიც ცეცხლის ფერია;
 მან ბევრი რული და მშვიდი ნანა
 ქარიშხლის ხმებით მოიგერია.
 მებრძოლ დროშასთან ელავს კალამი.
 ეს ათი წელი — ათი აგური
 დამკვიდრდეს. როგორც ძმური სალაში
 მხურდალე, მხერ და ამხანაგური!
 მრავალმა წელმა გაასწრო ჩარჩოს,
 დრო ისევ ცდილობს ძალთა მოკრებას;
 ინდუსტრიალურ ალს გაუმარჯოს
 და პროლეტარულ აბობოქრებას!

გაუმარჯოს ფიქრს, რომ ალებრ მნითი
 ხავსმოკიდებულს, ნელს და ბორიოს
 აყირავებს ეს წელი პთი
 ათიათასი წლის ისტორიას!
 მჭიდრო კავშირი ერთმანეთს შორის
 დღეს საჭიროა, როგორც არასდროს!
 რევოლუციონურ დღის დირიქორის
 ამღელვარებამ რომ არ გაგასწროს!
 თუ მსოფლიოში კვლავ შორით შორიდ
 გიგანტიური იგრგვინებს ქნარი,
 ჩვენ იმ ვულკანთან ვიქნებით სწორად:
 გული, სიმღერა, შრომა — აქ არი!
 ხელოვნებათა არმია! ჩქარი
 ეპოქის გვერდით იარე, წალი!
 თუ დღეს რამ არის გაუგებარი,
 ხვალ ნათელივით იქნება ცხადი.
 ხომ განვლილია ნაწილი გზისგან.
 სხვა ამოცანა — იღმოსავლეთით.
 როგორ შორსა ვართ იმ ნაპირისგან,
 გემზე პირველი გზით რომ ავედით —
 ოკეანესი ჰქუებს შუაგული!
 და ახალ ნაპირს იმედათ ათოვს,
 მზე, რკინასავით შემოდაგული...
 ჩვენი მხურვალე სალაში მნათობს!
 სალაში ხანას, რომ გასცდა ჩარჩოს
 დროშას, გაწევას, ძალთა მოკრებას!
 ინტერნაციონალის ხმას გაუმარჯოს,
 ინტერნაციონალის აბობოქჩებას!

ნუ ქვითინებს ჭიანური
დააჩუმეთ თარი
არააღამიანური
ავი დარის დარი.

ო. ნუ მღერი! როცა მღერი,
ზღვები, მთა და ბარი
ყველაფერი, ყველაფერი
თითქო რიგზე არი.
თითქო მწარე ფრთებით, მძლავრი
ქარი გულს არ სცემდა
განუყრელი თანამგზავრი
ჩეტიალთა ჩემთა.

არ ყოფილა თითქო ბნელი
ძნელი ღამის კალთა
თანამგზავრი განუყრელი
ჩემთა ხეტიალთა.

დააჩუმეთ ჭიანური
ნუ ლულუნებს თარი
არააღამიანური
ავი დარის დარი.

მაგრამ, ჩუმად. ო, ეს რაა!
მწარე ძნელზე ძნელი
გაილანდა ათასცხრაას
მეოთოხმეტე წელი.

შემდეგი წლები.

სანგრები.

საგუშავოზე სდგას ჯარისკაცია,
ღამეა. ყინავს.

სადღაც ორკესტრის ისმის კისკასი,

სადღაც მზე ბრწყინავს;

აქ კი. სახლის წინ რა ამინდია!

კალელზე შუქად,

ლურჯ ხაზებად და ტბებად ჰკიდია
ევროპის რუქა.

და ჯარისკაცი რუქის ლურჯ ხაზებს
თითებით სინჯავს.

მახლობელ სანგრებს ყინვა აბრაზებს,
და აი, დინჯად:

ტრანშეებიდან ამოდის ორი,

შემდეგ მრავალი,

ჯარისკაცების აჩრდილი შორი.

სჩანს მომავალი.

დახეულ ჩექმებს, დალრღნილ ფარაჯებს
დაცვეთილ ჭრებს,

ქარის და ყინვის ფრთა უდარაჯებს.

და გულს ამტუტებს.

უცებ სანგრიდან ამოდის ბოლი

ქარი დაუბერს:

ველების სივრცე და მოების ზოლი.

ისმენს საუბარს:

— განა ეს არის ტანისამოსი?

— მხოლოდ ჩერებია?

— აჲ, მეომარი ბედის ნამუსი...

— გაგკარებია?

— დაცხრილულია ფარაჯის ტევა
 — ტყვიების დროა.
 — სადაც კი გავწევ იქვე ირღვევა —
 — ისე ვიწროა.
 — ჩემი ფარაჯაც სრულია მეტად,
 — წყევლა ამ ამბებს.
 — ო, ეს შარვლებიც მთლად ლახრულია
 — ვითომ დაბამბეს!
 — თქვენ გეცინებათ, ან სიმრულე...
 — სხვა რალა გვატებობს?
 — საოცარია რომ ეს ცხვრის ქუდიც...
 — ვითომ და გვათბობს...
 — თქვენ გეცინებათ ეს სისასტიკე?
 — რომელიც ანგრეცი...
 — სოფლებს, ქალაქებს ანგრევს და იგებს
 — წყევლა ამ სანგრებს!
 — წყევლა ამ სანგრებს!
 — ყინვავ, გეყოფა ასე ანცობა!
 — არ გინდა ბინდი?
 — ეს ქარიშხალი რამ გააცოფა!
 — ოპონჭ! გავყინდი!
 საგუშაგოზე სდგას ჯარისკაცი;
 ვიღაც სწერს წერილს.
 ვიღაც გულალმა მწოლარე ცას
 შესცეკრს და მლერის:
 „არ ბრწყინვალებ, არ ენთები,
 გათენდი თუ გათენდები
 ლამევ ბნელო.

შუამთაზე ნისლი არის,
ათი მთა რომ გადიაროს,
ტყე და მდელო.

ეს სიცივეც არეს ჰყინავს
ცხრა ღამეა რაც არ გვინავს
მთიდან მთაზე,
ოხრილში გვავსებს თოვლის მტვერი
არც მოძმე სჩანს, არც სჩანს მტერი,
და, ვართ ასე. -

— რა დაგმართნია, კოჭლობ, ძმობილო?
— ვკვდები იარით.
— აბა რამდენი გზა კარპატების
— გამოვიარეთ.
— მერე რა ცუდი და გრძელი გზები.
— ტალახი, ბანდი.
— შენც ხმა წაგსვლია, დახრინწიანდი?
— დავხრინწიანდი!

რას იზამ ეხლა საბნების ნაცვლად
ყინვით ნაღები,
ბევრს ნიკოლოზ მეორის ხურავს
ბაირალები.

მომე „მახორეა“, დამიცხრეს დალლა.

— ინებე, იახში.

— ო, გავიყინე! კარგია ახლა...

— სოფელში? სახლში?

კარგია წყაროს წყალი გემოთი
სუნთქვა სიოთი.

რომ მივდიოდი და ვეცემოდი
კვლავ მივდიოდი.

ზარბაზნების რომ ატყდა ქუხილი
 გრგვინვა და კექა,
 მე ერთად ერთი მქონდა წუხილი
 სოფლების დეკა.
 შორს ერთად ერთი ენთო სანთელი
 ბალის ტოტებით,
 აქ კი გრიგალი, კორიანტელი
 თავგამოდებით.
 — სოფელში თურმე ხვალ თუ ზეგ პური
 აღარ იქნება.
 — ბავშებს შიმშილი ხოცავს, უემური
 — ამდენი ვნება!
 ეს ყველაფერი ომის ბრალია,
 ომის ხიწვია.
 მახსოვს პირველად სოფლიდან ომში
 რომ გამიშვივის.
 ეგდო კიბეზე ოქროს კანკელი
 ჩამავალი მზე ლურჯი ხელებით
 და ლრიანკელი.
 ცად მიმავალი ცისარტყელებით;
 უდარაჯებდა ცელქი ბელური
 შურიან კატას ბოსტნის კარებთან,
 სოფელს ეხურა
 საღამოს ჩრდილი და მდუმარებდა.
 დროით აფრინდენ ხეზე ქაომები
 დაუცხრომელი დაცხრა მერცხალი
 იდგენ ატმები,
 გამოჩნდა კვარი და ნაპერჭყალი,
 გადაჭცეული ცისფერ გრძნობებად
 საღამოს ბოლი ბეღნიერ სოფელს

ემშვიდობება...
 ემშვიდობება ნაცნობ-მეზობელს.
 ვიღაცამ ქოხის გააღო კარი
 უხელოდ, უხმოდ სუნთქვა დამალა.
 ეს იყო ქარი,
 ეს იყო მისი ბინდის ამალა.
 და დავინახე: ახალი ზეპრი
 მახლობელ სახლზე დამტყდარი კასრი
 ეს იყო მოვარე,
 მისი ნელი ფრთა და მშვიდი აზრი.
 შარაზე, ჩუმი ხეობის თავში
 გვიან ტირილით მიღის ურუმი.
 კითხულობს ბავში: —
 საით მიღიან ჩეენებურები?
 არც ნისლიან დღის, არც ამიღიან
 ან უამიღთ დღის მოქრძალება,
 საით მიღიან?
 კითხულობს ვერხვის აშრიალება.
 მშვიდობით! ვიგრძენ რომ აღიარ არი
 ბედნიერება გრძნობა მდებელი
 დარეკეს ზარი.
 მსოფლიო ომის მაუწყებელი.
 ეხლა? როდესაც მზე კვლავ ამოვა.
 ის გააშუქებს სხვაგვარ თაობას,
 ცხელრების გროვა
 ცვლის მიუწდომელ სანახობას.
 საცაა, ასე გაზრდილი რიცხვი
 ვით მეზღვაური ტალღათა შორის
 დაჰკიგლებს რისხვით
 და ექვეთება ერთი მეორეს.

მაგრამ მოვა დრო, იგრძნობს იარას,
 და ახალ გრძნობას შეაშენდება.
 დაპყრის იარალს
 რადგან ერთობის დროა თენდება!
 — მოვა დრო ჯარი დაპყრის იარალს,
 — იშლება გროვა.
 — ჯარის სხვაც ბევრმა გაიზიაროს.
 — ო, ეს დროც მოვა.
 გეთაყვა კითხვა ვერ ვისწავლე ჯერ,
 ვიცოდე ნეტა.
 მაშ წამიკითხე აბა რასა მწერს
 მოხუცი დედა.
 მეორემ სწრაფად გახსნა ბარათი:
 „ძვირფასო შეილო.
 მომქლავს მე შენი ხსოვნა მარადი
 ლამე უძილო...
 უკაცო სახლზე გრიალებს კოხი
 ცეცხლი ძლივ ღვივის,
 ლიმის სულ თავზე დაგვენგრეს ქოხი.
 მაგრამ ვინ სჩივის —
 შენ დამიბრუნდი ჯანმრთელი გმირი.
 არაფერია.
 ეს ძლვენიც მცირე, რასაც გიგზავნი
 შენი ჯერია.....
 ო, შვილო წერვა არ მისწავლია.
 თუ არ დალალდი...
 რომ დამცხმარო შენი ვალია...
 ჩემი ქალალდი....“
 ამ დროს ვიღაცი დაიშვებს ნელა.
 აბარბაცებით —

და ამ სიმღერას აჰყვება ყველა
ჯარისკაცები.

„არ ბრწყინვალებ არ ენთები
გათენდი თუ გათენდები
ლამევ ბნელო.

შუამთაზე ნისლი არის
ათი მთა რომ გადიაროს
ტყე და მდელო.

ეს სიცივეც არეს ჰყინავს
ცხრა ლამეა რაც არ გვძინავს
მოიღან მთაზე
თხრილში გვავსებს თოვლის მტვერი
არც მოძმე სჩანს, არც სჩანს მტერი
და ვართ ასე!“

ლრმა სიბნელიდან მოხუცი ქალი
გამოდის ჩანთით.

მან ჯარისკაცებს მოავლო თვალი.
„აჰ, თქვენ არ სჩანთით“.

და სანთლით ხელში აოვალიერებს
სანვრებს და ჯარებს.

და ჯარისკაცებს მაგრებს, ძლიერებს,
იპყრობს დუმილი.

— საბრალო ქალი შავებითაა
იგი მოსილი

შორი კუთხიდან, მრავალ წამებით
არის მოსული.

თეალებში ბევრჯერ ჩახედა სიკვდილს.
როგორც მორიგი

ვეებერთელა ფრონტზე თავის შვილს
დაეძებს იგი

— მე დავინახე იგი სანგრებში
 — ის შვილს ეძებდა
 — ის ხშირად მოკლულ ჯარისკაცებში
 თვალს აცეცებდა.
 მას არ ჰქონია გზა მოთაფულული,
 გზაა საზარი
 ჯარი მიწაში არის ჩაფლული
 უზარმაზარი.
 მაგრამ, ჩუ, აგერ, ისიც მოვიდა —
 მოხუცი ქალი;
 მან მხოლოდ ერთ ჯგუფს მრავალ გროვიდან
 მიაპყრო თვალი.
 — იქნებ იცნობდეთ შვილო, გეთაყვათ,
 ან გაგეგონოსთ,
 მოჰკლეს, დამარხეს და სხვა ჯარს გაყენა.
 ის ჩემი შვილი?
 დიდიხანია არ მიმიღია
 მისგან წერილი;
 დარღებიტ გული მაქვს დასერილი
 მოვკვდი, ვეწამე!
 ტანზე ფარავა ძველი აცვია
 რუხად ნაფერი.
 ერთი საწყალი ჯარისკაცია
 სხვა არაუერი.
 — არა დედი, არ გაგვიგონია
 — არა, სწორებით.
 — დამაცა ვცნობდი სადღაც მეონია
 — იქ... მოშორებით...
 ვინ იყო? სიღან ან რა კაცია,
 ვინ და რაფერი?...
 — ერთი საწყალი ჯარისკაცია

სხვა არაფერი!

- არა დედი, არ მოგვისმენია
- დალალული ხარ, ჩამოისვენე.
- სანამდე გინძე შვილს არ მაჩვენებს
მანამ ქვეყნად მე რა მომასვენებს
ო ცეცხლო, ცეცხლო!

?

გადაბიბინება,
ცეცხლო, შენმიერი
ალთა ხვეულები
სოჭულებს მიანებეს
ქვეყნად იფინება
მარც მშვენიერი
მკვდარი სხეულები
ადამიანების.
ხმობით საშენელი
ოხრილში ჩაჩრილები,
ნისლი მორგებია
სახე ფიტრებული
ეხლა საშინელი
გროვა დაჭრილების
თითქო მორგვებია
დასახიჩრებული.
მინდვრის ბალახები
იგრძნობს ადამიცა
ამეტისტებიან
ხეთა ჩეროები
მოდის ქალაქები
მოდის დედამიწა

სადაც იზრდებიან
 რენის ლეროები
 მაგრამ... საათია
 ხანა აღრიანი
 დალლილ მოსანგრებს
 სძინავთ დალაგებით
 სამოცდაათიან
 სანტიმეტრიანით
 შიანგრ-შოანგრიეს
 იგი ქალაქები.
 ველი ქალაქს იქით
 ომით დაირღვა-რა
 ერთი მეორეში
 წვიმით იცომება
 განა სისასტიკით
 რაც აქ დაიღვარა
 სისხლის მორევები,
 გამოიზომება?
 მხეცი თოკიანი
 დაჭრის უვნებელი
 ქვეყნებს შეელებია
 ციცხლის მეზოდენი
 დადგა ოკეანე
 დაუსრულებელი...
 ეს ხომ ცრემლებია...
 მაგრამ ესოდენი?“
 მოხუცი ქალი თვალცრემლიანი
 სიღრმეში მიდის.
 ო, ლრმაა ძალა მისი ზიანის,
 განცდების დიდის.

14.096

და ვინ გაიგოს ომდენ ნაპრალში
 არის მალული,
 ჯარისკაცები მისებრ საპრალო
 და დაღალული.
 ან ყველას ოოგორ უნდა უძახო,
 ვართ მიწიერი.
 მასსა უბრალო, მასსა უსახო
 მასსა ძლიერი.
 განწირულებაც მათ არ აომებს,
 როს ძეცეცს სიოთხეთ
 სასაფლაოებს, სანატორიებს
 და თხრილებს ჰქიოთხეთ
 საწყალი კაცი
 დაღალული ჯარისკაცი
 ჰაერში დაკიდულს
 ჰქიოთხეთ ტერიტორიას
 და შემკრთალ ხეებს,
 ჰქიოთხეთ ცას რიცულს
 ავადმყოფ რასსას
 სნეულ სახეებს.
 სნებას თქორიანს
 ვინ გადურჩება!
 ილურჯება
 სანატორია
 და შეღამება
 შორი მილურლვით
 კვდება წამებით
 და წყევლაკრულვით:
 — საწყალი კაცი

— დაღალული ჯარის კაცი
 -- ომი, სასაფლაო და რკინის გზები
 მკვლელობათ რიცხვი
 აღამიანის სასიკვდილო ხრისლი სტეპება
 ოქროთი მოვარაყებული სირცხვილი.
 შსოფლიო რვახნის ისტორია
 სხვაგვარ წარსულის მქონე ტრიალი
 სანატორია...
 ეს მომაკვდავის არის ხრისლი
 ომი, რომელმაც გაბედა
 ომი უცაბედათ
 ტყვია... რა მწარეა ის, რაზედაც ჩუმად არიან
 მთელი საუკუნე მიღის სხევებისოვის
 მინდვრების საიდუმლო
 მთების-საიდუმლო
 სასაფლაო და რკინის გზები
 ეს მომაკვდავის არის ხრისლი
 მინდვრების საიდუმლო,
 მთების საიდუმლო
 საიდუმლო —
 საწყალი ჯარისკაცის,
 დაღალულ ჯარისკაცის!
 მსოფლიო იყო ძლიერი ლომი
 კლანებში მსხვერპლით
 ეპარებიდა საზარი ომი
 ცეცხლიან ფერფლით
 ის მოჩვენებას ელოდა მრავალს
 მოვარდინილს დამით
 და სულში ზრდიდა სუსხიან ყვავილს
 აღსავსეს შხამით.

აღსავსე სისხლით —

შურისძიება ოვითეულ მარცვლად
მისხლით მისხლით

არის მშვენიერ ქალაქთა ნაცვლად.

მოხუცი ქალი ოვალურემლიანი
სიღრმეში მიდის

ღრმა არის მისი გულის ზიანი
და ტანჯვის დიდის.

უცებ სანგრებთან მიტოვებული
განათდა სახლიც.

მთავარ სარდლების მოსჩანს კრებული.
ვერ ეტყვით დაღლილს.

შეეჭვევიან უძველეს ლვინოს.
ლვინოს და ბანქოს,

ვიღაც ამღერებს ძველ პიანინოს,
როგორც უმანკოს.

ჰიმნები სახელმწიფოთა.

აყრუებს დაჩაბაზს,

ჰიმნი გაისმა და კრება მოელი
დგება ბარბარით.

ჯარისკაცებო — ოქვენ სულში ნისლით
დიდხანს ეხეტეთ..

ვისოფის იღვრება ამდენი სისხლი?
აბა, შეხედეთ!

ოქვენ დაიხსომეთ ეს გზა, ეს არე.
ეს თოვლი სადა.

სახლიდან ხმები მოისმის ცხარე:
მიდიხართ? სადა?

ფანტომებივით გამოცვივდება
სახლით ქალები

იმათ თვალებში არ გაციდება
 ცეცხლთ მხურვალება.
 ანალგაზრდული თავდავიწყებით
 თუ გაგიუდა, ვინ?
 მათი უგონო ცეკვა იწყება.
 ჯარისკაცთა წინ.
 ფანტომი მიჰქინის და თავს იმეტებს.
 განცდა — ავია.

ძგრიალი გააქცო კასტანიეტებს
 რა ამბავია?
 — ნეტავი მართლა ქალნი არიან?
 — თუ გვეჩენება.
 — სინამდვილეა თუ სიზმარია?
 — ან შეჩენება?
 — ხედავთ, იქ ცეკვაცს ხანჯლებით ყვილა
 — ეს ფანტომია?
 — არა, მსოფლიო არის კოშმარი
 — იგი — ომია.

ომია, რაიც ამრავლებს ტანჯვებს
 და ურიამულში.
 ცეკვაცს, გირდება; ო, იგი ხანჯლებს
 დაიცემს გულში.
 აააჲ!

უეცრად მთებით მოჰქრის რაკეტი
 თვალს ესიცხება.
 და ჩოჩქოლია... ომი? აგეთი?
 აჲა, იწყება.
 ჯარის უფროსი ყვირის იერით:
 თოვი დატენეთ.

მტერი ულმობელს იშყებს იერიშს
მოემზადენით.

საცაა ასე გაზრდილი რიცხვი
ვით მეზღვაურნი ტალღათა შორის
დაპივლებს რისხვით —

და ეკვეთება ერთი მეორეს.

საბრალო ჯარისკაცი.

დაღალული ჯარისკაცი.

ჯარისკაცებო, თქვენ სულში ნისლით
დიღხანს ეხეტეო
ვისთვის იღვრება ამდენი სისხლი?
აბა, შეხედეთ.

აივნიდან ხმა: — იერიშისთვის!

ჯარის ხმა: — არა!

ვისთვის ვიბრძოლო? მთავრობებისთვის?

ომი ომს! კმირა!

— გაუმარჯოს ინტერნაციონალს.

— გაუმარჯოს გაფიცვებს.

— გაუმარჯოს თჯანყებას.

— ამხანაგებო, ომი ომს!

— გაუმარჯოს რევოლიუციას.

ჩეენ ვგრძნობთ ტკიცილებს, მწარე იარას.

ვერ დავრწმუნდებით —

ამ მიღამოებს, სანგრებს იარალს

ვტოვებთ, ვბრუნდებით!!!

საბრალო ჯარისკაცი

დაღალული ჯარისკაცი

ტოვებს ფრონტს, ბრუნდება.

აღმოსავლეთით და დასავლეთით
ისმის ლოზუნგი:
ომი ომს.

აღმოსავლეთით და დასავლეთით
ეომება ომს —
საბრალო ჯარისკაცი,
დალალული ჯარისკაცი!

აღმოსავლეთში —
ცეცხლმოდებული დღეა მქათათვის,
იწყის აზია; იწვის აფრიკა
აჰა, შექმნილი
მმჩნანებელთა და მონათათვის
სასახლე ციხე, ქოხი, ფაბრიკა
ხვეულად პქანგავს მრავალფერ ქარგებს
მათ სხეულებზე, ვინაც ვნებიან
სიმხურვალეთა სულის სუნთქვის არ აისარკებს
და „კულტურული“ ბორკილის ქვეშ იმყოფებიან.
ცხელი ცა სავსეა უთეორეს კრიკებით
რას ნიშნავს ასეთი დუმილი?
სადნობი საკირე, აღმური, ლუმელი
ელვარე გადასაკრავებით.
გადამწეარ ხრიოკებს
მჩე დაუნდობლად ხრავს, აწიოკებს.
კლდეები სიცხისგან სკდებიან შუაზე
რღვევის და სიმწარის მოისმის ხათქანი
გველები გროვებად აცურდენ რუაზე

ყველაზე ბოროტი კი, ერთი მათგანი
გადაწვა მზისაკენ ცქერაში გართული
ეს მზერა აწვალებს მზეს, როგორც გენია,
და ვიგრძენ ამ თვალში თუ რაოდენია
სიბრძნე წარმართული.

სძინავს აღმოსავლეთს...

გაფრენილ დღეებს ის არ მიჰყივა
ერთი და იგივე, ერთი და იგივე
მას ეფარება სიზმრების ღვარი
და მისი ძილი არის კოშმარი.

სძინავს აღმოსავლეთს
ის მძინარე ქსოვს ხალიჩა-ფარჩას
ხატავს ყვავილებს და იალონებს
რომ ქსოვილები მშვენებად დარჩეს
ისევ ევროპის მდიდარ სალონებს
მხარეს ურკინესს,
როკფელლერს, სტინესს.

ზის კრეზი ევროპის
არა ერთს ივონებს მშვენიერ ელენეს
მრავალი ძვირფასი ახსოვს ასპაზია
ქალები პარიზის, ხსოვნა მიტელენის
მცხუნვარე აზია,

შენ კლეოპატრა შიშველი მკლავები
ოხვრა მესსალინა, ისევ შენეული
უფრო ენთებიან ცაზე ვარსკვლავები
აღმოსავლეთისგან მათთვის შელეული.
რამდენს მეტყველებენ ვარდნი უენონი
ფიქრი თაზისზე აღთა მონთებისა
დარჩა სამუდამოთ დრონი მენტენის

დარჩა მენუეტი ლოლა მონტეზისა
 ევროპის კრეზისთვის.
 სძინავს აღმოსავლეთს.
 იგი უგრძნობლად ილებს ფერიდებს
 მაგრამ თვალები,
 თვალები მიღის ეცემერამდე
 მხარისკენ,
 სადაც სანიშნო ბურთად
 მიწა აბოლდა, კვამლი ედება
 სადაც სურვილი გაუდაბურდა
 და ალბრ არის თავგამეტება.
 ლრუბელთა წყება ცაზე აჩქარდა
 დარიგდენ მთების მწყობრი რაზმები
 ყინვა მოსხმული გუნდი ლაშქართა
 ლრუბლების კონკი და ფანტაზმები.
 თეატრებია დიდი, პატარა.
 ბრწყინავს კაბარე.
 კინემოტოგრაფს შემოატარა
 სული გარყვნილი და მომთაბარე.
 ბრწყინავს რეკლამა,
 ნერვებს აწვალებს
 აგერ საეჭვო გამოჩნდა დამა,
 შანსონეტკები იფერენ თვალებს
 იქ ოპერეტკა, აქ კიდევ ფარსი,
 იდუმალებით საკუსე პიესა
 აქ ყველაფერი მოდუნდა ბასრი
 სიცილშიც ჩუმი მოისმის კვნესა.
 მხოლოდ ლორნეტებს მომეტეორეს
 მწარედ დაღალულ თვალს აფარებენ

თავს აწონებენ ერთი მეორეს
 სხედან, დადიან ან ამოქნარებენ.
 ვინ იცის, გრძნობენ თუ არა გრძნობით
 რომ სულ ახალი დროის ჰამლეტი
 მოჯადოებულ ბურუსში მყოფი
 სდგება, იღვიძებს აღმოსავლეთი.
 ბას არ აშინებს ცეცხლის ფანტელი
 და მუხლებამდე ქვიშა სადები
 არც უდაბნოის კორიანტელი
 არც მომავალი ბარიკადები.
 დაცეტიალობს ცეცხლის ამური
 მოულოდნელი სიმხურვალეთი
 მან მოიარა ყველა ქვეყნები
 და ინახულა აღმოსავლეთიც.
 ცეცხლის ამური და ტყდომა ლერის
 თავისუფლების ნაზი ფერია
 მღეროდა-მასზე და ეხლაც მღერის
 როგორც აჩავის არ უმღერია.
 და თუ მოვიდა გრიგალი ისევ
 და ვაზაფხულის ველი მოლია.
 ის სიცოცხლისთვის იბრძოლებს ისე
 როგორც აჩავის არ უბრძოლია.
 დაარტყამს ქარი და მოგზაური
 ბაწარზე წავა როგორც ობობა
 დაიძერის ქვეყნის აურჩაური
 და აღელვებათ ავაღმყოფობა
 ის მიისწრავვის და ეჩვენება
 რომ სულ ახლოა ბედის ხომალდი
 მუქარა, წყევა და შეჩვენება
 თავისუფლების მზემდე, ბრძოლამდე

ო. რა სამოდ სულს ეფერება.
 ცეცხლით იწვება ქვეყნიერება...
 და აი,
 იფეთქა რევოლიუციამ...

ეპოქა იშვა და გაიზარდა
 სამოქალაქო ბრძოლების რკალში
 ტყვევისმფრქვეველის კორიანტელში
 და ზარბაზნების მედგარ გრიალში
 მოგონებან.

ხან ხავხე სპაზმით,
 გრძნობას რომ ვეღარ აუთავდებით
 ხან აღზნებულნო ენტუზიაზმით,
 გმირული რწმენით და თავდაძებით.
 იყო შიმშილი ოცდაერთი წლის,
 იყო სიცივე და წყალდიდობა,
 ყირიმს მიწისძვრა ინაღგურებდა
 და საქართველოს უამიდობა.
 ზღვისგან დალეჭილს ჰევდა ბათუმი,
 ტფილისს მოაწყდა მშიერთა კვეთა,
 იყო კერზონის ულტიმატუმი.
 იყო ჩინელი მუშების ულეტა.
 ამ დროს, ევროპა, შენ უფრო ძლიერ
 სერავდი ხალხის მძიმე იარას,
 უფრო და უფრო და განუწყვეტლივ
 აელარუნებდი მის წინ იარალს.
 ის მაშინ იყო კლასის, რომელმაც
 წყენით დასტოვა ალი ქურისა,

და ერთის დაკვრით გაანადგურა
 შემოსეულნი ყველა ჯურისა.
 ვის შეუძლია უსაყვედუროს,
 რომ მას არ ჰქონდა მშრომელთა ცნობა,
 დიდი შეგნება და მოხერხება
 და უდიდესი სიმტკიცის გრძნობა?
 მისი პასუხი არ იყო განა
 არა მშიშარა და დაბუგული
 ხმა საჭაერო ესკადრილის,
 მრავალრიცხოვან მოტორთ გუგუნი?
 მისი პასუხი არ იყო განა,
 რომ დარაზმული როგორც მზეობა
 იბრძოდა წითელ დროშასთან ერთად
 მთელი მშრომელი მოსახლეობა?
 რა დარჩა შემდეგ დანგრევის გარდა?
 შრომა მიეცა სხვა ამთოვრებას,
 რევოლიუციამ ახალა ფარდა
 ამშენებლობას, ცოცხალ ცხოვრებას.
 და მიღიონთა მძლეოთა მძლეობა
 კილოვატებში გაეშვა ისრად,
 პასუხისგება, მოვალეობა
 მრავალთან ერთად მას დაეკისრა.
 არ იყოს სიტყვა „არ შეიძლება“,
 პაის და ჰოის
 ხმა ხომ ქვეერია
 და შეცდომებიც ახალი დროის,
 რაღა თქმა უნდა, ბევრზე ბევრია.
 მაგრამ როდესაც შენდება მხარე,
 როცა კულტურის ხე-ტყე მკვრივია —

ხარაჩოებში, ხეტყეში, მწარე
 შეცდომა მუდაშ ბუნებრივია.
 ისე ბევრია ხეტყეში უვერი,
 ისე ბევრია იქ ნახერხები,
 კირი, თლილი ქვა, ცემენტი, მტვერი,
 ხელსაწყოები, ლოდი, ვერხვები.
 უხერხულია იქ სიარული,
 მათზე გადასვლა და მიმართება
 მაგრამ შენობა მაინც შენდება,
 შენობა შრომით მიიმართება.
 ხუროთმოძღვარი რკინის კონებით
 რომ იმორჩილებს დროის სიფიცეს
 სავსე ახალით და შთაგონებით,
 იგი არასდროს არ დაივიწყებს
 და არ ივიწყებს ეხლაც კი უფრო
 მოაწესრიგოს სუსველაუერი,
 მშენებლობას რომ არ ასცილდება
 ზედმეტი ქვა და ზედმეტი მტვერი.
 და მასზე ცაა გადასახული,
 შენობა მძლავრი — არა მონური,
 უზარმაზარი, ჯერ არ ნახული,
 რევოლიუციონური.
 დროა კულტურის რევოლიუციის?
 ყოველი ლექსი ამნაირ ხმაში,
 ის მომენტია, როდესაც სიტყვას
 უნდა ჰვარავდეს მქუხარე ტაში.

სალაშოხანად

მთაწმინდას რომ დაჰყარავს ნისლი
არაფერი სჩანს

და არავის ახარებს ქუჩა,

მხოლოდ ხანდახან,

ბლუჯა-ბლუჯად ვით მჩქეფი სისხლი,
ავტომობილმა

გაისროლა შუქების ჰქუჩა.

რა უკამური ამინდია.

თქეენ სახლში ზიხართ,

თქეენ გაქვთ ცისფერი,

ყინულივით ცივი თვალები,

გრძელი თითები

და ხელები თეთრი ვით თიხა

ხართ მშვენიერი

როგორც ყველა ჩვენი ქალები.

ნისლიან ამინდს

შვენის თბილი ნათება ბუხრის

ღრმა სავარექელი და

კომფორტი, ასეა შიგნით,

თქვენ მიწოლილხართ სავარძელზე

და შუქი მწუხრის,

მღერით წინანდელ პოეტების

საყვარელ წიგნით.

თქვენს ცხოვრებაში

ყველაფერი ისევ მშვიდია,

თქვენ ცხოვრებაში

ყველაფერი ისევ ისეა —

წიგნის შრიალი,

ლურჯი მთვარის გზებით მიღიან

რაც კი ამ ქვეყნად
 ოცნება და სიხალისეა.
 აქვე კი გვერდით
 უცნაური კამათი ისმის
 საკითხს სვამს ცაკი,
 არა ერთხელ, ისევ-ისევა —
 რომ ამერიკის
 გიგანტიურ კაპიტალიზმის
 ზრდას — იარაღით
 სურთ შეებან ინგლისელები.
 სვალ, შეიძლება,
 ჩაესვენოს ინგლისის ბეჭი
 და ამას მოჰყვეს
 გართულება თავისი რიგით,
 ჯერარნახული,
 შეიძლება, ავარდეს სვეტი
 და ბევრი, ბევრი
 რამ გაისმის
 თქვენს ოთახს იქით.
 გამოერკვიეთ!
 ყველაფერი ისე როდია
 როგორც სიმშვიდის
 და სიზმრების ავტორს ჰერნია,
 შეხედე: იქნებ
 მთვარის შუქში ეხლა მოდიან
 სოციალური
 გამძალება და აგონია!

იმიტომ ხდება რევოლიუცია
 რომ გაიფანტოს აბრაკადაბრა,

პოეტი ეხლა ამერიკანულ
 მიღწევებიდან არ მიღის დაბლა.
 იმიტომ ხდება რევოლიუცია,
 და დაფარფატებს მსოფლიოს თავზე
 ჯვარედინებზე მყოფი პოეტი
 ახალ სიცოცხლით შეიქმნეს სავსე.
 იმიტომ ხდება რევოლიუცია
 რომ მოიტანოს დიადი ჩრდენა,
 გვჯერდეს საქმე და სიხარული,
 აღფრთოვანება და აღმაფრენა.
 იმიტომ ხდება რევოლიუცია,
 მისთვის გაისმის ტყვიის ჭუჭუნი,
 რომ პოეტების არ გაისმოდეს
 უიმედობა ქვნესა, წუწუნი!
 იმიტომ ხდება რევოლიუცია
 იყოს ოჯახიც ახალით სრული
 და არა ძველისძველი რუტინით
 შებორკილი და შეწუხებული.
 სასოწარკვეთა, უსასოობა.
 ძველ ხანას ჩვენოვის რომ მოუცია
 უნდა გადიწვას და აღიგავოს,
 ამიტომ ხდება რევოლიუცია.
 იმიტომ ხდება რევოლიუცია.
 რომ ამიერით არ გვეფარება
 მწუხარე ხანა დეკადანსისა:
 დაცემა, გახრწნა, გადაგვარება.
 პოეტი, ეხლა გამდგარი განზე,
 დროგადასული და მოხუცია,
 უნდა შეერთო მასიურ ტალღებს,
 ამიტომ ხდება რევოლიუცია,

ფიფქს რომ ააცლის გზას საბერველი
 და აიტაცებს ჰაერში მაღლა
 გადაიარა სახლთა მწვერვალი,
 ავიატორი ცაშია ახლა.
 მძლავრად ზუზუნებს მისი მანქანა
 თავგადაკლული ელავს სხივები.
 თავგადაკლული ტრიალებს ფრთები —
 სად მხოლოდ მზეა და არწივები.

დაპკვირვებიხარ ტრიალა კარებს?
 იგი ჩაგითრებს როგორც ბზრიალა
 არავის შენთან არ მოაკარებს
 თუ ერთხელ მაგრად დაგატრიალა.
 რიგი წავიდა და მოდის რიგი,
 გათენებაა, ქიდეც იალა
 იქ ერთად ერთი ბულვარის ირგველივ,
 ბრუნავს ქალაქი, როგორც ბზრიალა.

გამოსაკეტი ფულის უჯრიდან
 არავითარი ისმის ამბავი
 ჰყინავს. ათასგვარ კლიტეს უჩრიდა
 უჯრას სერთუკი დაუბამბავი
 ამნაირი დღე, იცი, რას უდრის?
 ფერქავდა ტვინი გამძაფრებული
 ვით გასაღები მღელვარე ქურდის
 დაკეტილ განძთან, ჩასაფრებული.

დღითა და ლამით ტელეფონები
 გაიძახოდენ: ალლო! გარაუი!
 დღითა და ლამით დანამონები
 ატრიალებდა კარებს დარაჯი
 და აშენებდენ ავტომობილებს
 აქეთ გუგული, იქით ოფოფი
 და ლრიალებდა მწარედ გაზეთი,
 სახელგანთქმული კატასტროუები.

ამ ცხოვრებაში ბევრია შხამი,
 დაუნდობლობა, გაურკვევლობა,
 ჰოსპიტალების მოთეთრო დგამი,
 სასტუმროების მარტოხელობა
 შხამი წარსულის და მოგონების,
 უცხო ფარდები, უცხო-მდგმურები
 დაუცხრომლობა გრამოფონების
 და გაცრეცილი გრავიურები.

როს მტვირთველები ტვირთავენ გემებს,
 გემთან ირევა გამცილებელი
 მუშებს თავს ადგას უფროსი მათი,
 მალალი, მეხის ამცილებელი.
 მაინა! ვირა! ვირა!! მაინა.
 ტვირთების მთელი დაიძრა კორდი
 ქალების ქუდთა, საყელოების
 და გლიცერინის არის იმპორტი.

დეკორატორი ამზადებს ფარდებს,
სდგამს ტყეს და იქით ქოხებს თოვლიანს
შენ ამ პიესის, მითხარ, რა გმართებს
ან მანფრედები როსმე მოვლიან?
სცენა სუნთქვაა განშირებული,
საწამლავები იღვრება ჭიქით,
რამდენი მახსოვს ატირებული
ამ დერეფნებში, ამ ფარდებს იქით.

„ავაშენებო, როდისმე დოკებს!“
ეხლა? ჩეინისებრს მაგარ მკლავებზე
რომ გადაიდებს უმძიმეს თოკებს
და მიდი-მოდის სახურავებზე.
გამურულია ჭვარტლებით თითქო
არასდროს ის არ ჰყოფილა თეთრი.

ლგიძავს რეინისგზის სახელოსნოებს:
ბორბლებს, რესისორებს, რონოდებს, ლერძებს
• ჭურა ალვივებს და ასხივოსნებს
ყველაფერს, რასაც აქ შრომა ეძებს.
აქ ძახილია ლიანდაგების,
აქ ტრიალია სემაფორების
შორი ძახილი სადგურებისა,
მოსვლის, შეხვედრის და განშორების.

რკინის მაღანი, რკინის კარები,
 ლიანდაგების ცხოვრების, ბინის
 ჰაერი, სუნთქვა და ურიამული
 ყველაფერია აქ ოშოლოდ რკინის
 სახურავები, ხიდი, ლურსმნები,
 თვითონ სიგნალი საღმე თუ არის
 კვლავ ყველაფერი სუნთქვაა რკინის
 უზარმაზარი რეზერვუარის.

ამ ფერადებში შველა არაა:—
 გახალისდება ასე მგონია
 აღმოსავლეთის ქარის მარაო
 ან გეიშების იაპონია.
 აქ რაღაც უცხო ახალი ვნახეთ
 გამოხვეული: წარმტაც ბაღეში
 ხანდახან ქალაქს უნდა გახედო
 ასეთ შუშების სიფერადეში.

გადიკეცება შუაზე შუშა
 გახურებული ისვრის სმარაგდებს
 და სარკეებში უყურებს მუშა
 აზურმუხტებულ ფიროსმარაგდებს.

ცისკრისას ოდეს შემოგცინოდეს
 აღმოსავლეთი ფერებში სხმული

ექ გადასული ოცნება სრული
ეისხე იქნება გამოსახული?
ო, მახსოვს, მახსოვს! შვების ამომქსოვს
ფიქრს რომ დაადე ბორკილი, ბადე,
ყველაზე აღრე გამოიჩადრე,
შენს უნებურად, განთიადამდე.

დაიძინე ალვის ტანი,
ბევრია კი შენისთანა?
მშენებლობის დიდი დროა
რომ არ თქმულა იმისთანა.
იქნებ ძილში პრესსა ჩაგუვა თანა,
ან რადიო დაგეხმანა?
გაქანება და მატორი...
სიხარული არის განა?
წინანდელი თოხის ყანა,
დარჩა მამაპაპასთანა,
შეესია ტრაქტორები,
კვალიკვალზე გაიტანა,
ინჟენერი თუ ხარ განა,
ცოტა არის გამოცანა?
სახლი დადგა იმისთანა,
საუბრობდეს ღრუბლებთანა,
ნეტა რაა იმისთანა,
ამომავალი მზისთანა,
შრომისთან რომ დროშებია,
გაერთიანებისთანა!

თოვლიან ღრუბლებს
 ლაჟვარდოვან ცის კუნძულებში
 გადავაფრინეთ ჩვენ ტყვიები
 ქარის ურთიანი
 თავისუფალი,
 მონავარდე ვით არწივები
 და როგორც გველი
 შხამიანი, განგებიანი
 და ცის სივრციდან მზემაც გვტყორცნა
 ოქროს ტყვიები
 გადმოიშორა
 მოხვეული სიგანთიადე
 ტბაში ჩაეცა მზის სხივები
 და ანარეკლად
 მწვანე ნაპირზე
 აკანკალდა ეს ოქროს ბადე.
 ჰაერში იბრძვის ორი ქროლა
 ტყვიები ცაში გატყორცნილი
 ამაყ ქვეყნიდან -
 და ის ტყვიები
 რომელთ ძალუძთ მგზნებარე ფრენით
 ოქროს სიმძიმე მოიტანონ
 ლაჟვარდი მზიდან.
 ხომ ყველაფერი
 შექმნილია მხოლოდ მიწისთვის
 ვერც ერთს ვერ ფარავს
 დავიწყების მტვერი და უანგი,
 შენმა სიმღერამ
 შეაერთა ორი სიმღერა

რომ ძირითადათ
დარჩეს მიწის მქუხარე ჩანგი.

ახალგაზრდა ხარ, მბორგავი,
არც ღვინო და არც მაჭარი
და შენც თავს იყლავ... გათავდა!
ლაჩარი ხარ და ლაჩარი
შენ უთროთი, შენ გეშინია
გარბიხარ მხდალი, მშიშარა
ბრძოლა ჯერ არც კი გქონია,
მაგრამ გრძნობებმა გიშარა.
ო, გაქცეულო! წაშლილო!
მუდამ ვიქნებით მკიცხელი
როს მოგივონებთ და დაგვწვავს
შენს მაგიერად სიჩუხვილი:

ის მონა არის, მონა საბრალო,
თვალთმაქცი მონა და უბედური,
ამაოდ ეძებ მასში თანაბარს,
ან ამაოდ გსურს იძიო შური.
დღე ღრუბლითაა გარემოცული,
მიმალულია მნათობი ცისა,
ლირს მასზე ფიქრი? არა: ეძიე,
მხოლოდ ჰანგები სიხარულისა.

შენს მოწოდებას, შენს სიმთავლერას
 ყურს უგდებს მასსა სულგანაბული
 და გრძნებებს ფარულს, როგორც სიყვარულს
 ის აორკეცებს გამოწაფული
 უყვარს მას ეს ხმა, გამოშუქება,
 მიმავალ დღეთა დიდი დიდების
 მასში განითქვა მრავალი სიტყვა
 ბრძოლათა მძლავრთა გაბედითების.

როცა უწყალოდ იღვრება სისხლი
 ახალთა დღეთა არის დამდეგი
 დაეჯახება ერთმანეთს რისხეით
 დღეს კლასი კლასის წინააღმდეგი.
 დედ, მჭექარე შენი ხმა ქუხდეს,
 ხმა სიმართლისა, ძლიერი, ურჩი
 ესმოდეს მშრომელს მთელი ქვეყნისას
 რომ მტკიცე არის მომავლის ბურჯი.

შორს მოსჩანს მთები ამწვანებული
 და სილაუვარდის სიმალლე მწვანე
 მაგრამ ახლოა ნავთსაყუდარი
 მისკენ მიიღოტვის მეიალქანე.
 სიმშვიდის გრძნობით გული ევსება,
 ხეტიალს უგზოს ელება ბოლო.
 ო, რა რიგ ძალგიძს, მოახლოებავ,
 გული იმედით ააჩოჩქოლო.

როს, უცხოეთში, იალქნიან ნაეს
გრიგალმა ნაპირს მიაღწევინა
მიწამ აღირსა შორით ალერსი,
ნაეთსაყუდარმა არ მისცა ბინა,
ვერარა ჰპოვა უცხო მხარეში
ფილისტერების და ჭუჭყის გარდა
ისევ შვოთიან ზღვას დაუბრუნდა,
ისევ სივრცისკენ გაინავარდა.

ამოდის ბოლი. კვამლების რკალმა
მილის ღეროსთან იშვი თამაში
გამოუქროლა ბორიოქარმა
და გაიტანა სახლთ ძკლდამაში
ნისლი ერევა სიშავის ფენებს
და ნაპერშეკლებიც ერევა თვალში.
იყვავილებენ ეს ყვავილები
წარსულში, ეხლა და მომავალში
არა დამჭერარი და გაცრეცილი,
როგორც რვეულში, ჩარჩება რკალი
საღაც გაისმის ქარხნის გუგუნი
და ეჯახება ბორბალს ბორბალი.

ზღვის ზეღაპირი გარინდებული,
და იყო ცეცხლი გულში ნთებული
მშვიდათ სუნთქავდა ცა მოწმენდილი,
იყო საღამო შებინდებული.

იყო საღამო თვალუწვედენელი,
ხარობდა ჩუმად სამყარო მთელი
თითქო შორიდან მოვიდა გემი
და გამოცოცხლდა დღე დღევანდელი.

აინთო შვება და მძლავრი ღამე
აღარ ეშვება სულს სითამამე
სტიქიის გრძნებით არ არის შხამი,
ძლიერი ხმებით გიმლეროთ რამე.
მეზღვაურებო, ეს ოკეანე
მოიბურება ქარივით მწვანე
შენ ხარ სამშობლო, ნავთა საეანე,
არ დაგვაობლო:
იქ მიგვიყვანე.

აღმოსავლეთით და დასავლეთით
სახელოსნოთა რკინით ნაგები
ჰკივიან, ჰგრგვინვენ სიმძიმე-დავლით
გადაქვამლული ლიანდაგები
ბორბლები ბორბლებს ეჩქარებიან
რომ დაკარგული დრო ნაარმია
აღმოსავლეთით და დასავლეთით
ეს უძლეველი არის არმია.

ჩარიჩამას და დრანანაპუჩას
 გამოძახილი კი ნუ გვონია
 უზარმაზარი მცედლების ქუჩის
 აღტაცებაა და სიმფონია
 გრვეინვა, გრიალი, რექვა, ტეხილი,
 ელვა, ქურაზე მაჯა მაგარი,
 ფოლადი, რკინა გადაგრეხილი
 გადააბრუნე, ასწი დაჰკარი!

ქარხნის ლანდების დაგადგა რიგი,
 სულ შავი ოოგორც ეშმაკის ხარო,
 ბევრი გინახავს: ამნაირი კი
 დრო არ გიგრძენია არასდროს, მტკვარო!

გზა სახიფათო. როგორ მცვიდრია
 ბროლის მინები, ოქროს აკვანი
 ფეხი გაუსხლტა... „რა სიმდიდრეა“
 და უეცრად ძირს მოსძვრა ბრაგვანი.
 „ლმერთო! მოსტეს ბურეუაზიას
 კისერი, თავი, ძვალი ზურგისა
 როგორც მან უქმად გამოიგონა
 პარკეტი პოლკის და მაზურკისა.“

გაშლილო ველო! ტყვიებო ქოხის,
 რა წამებაა თქვენთან იობის?
 აქ საიდუმლო პატარა ქოხის
 საიდუმლოა კაცობრიობის!

ვინ? ამნაირი გამოძახილი
 არაფერს ქვეყნად ჯერ არ ქონია
 მას ხომ თავისი არ აქვს სახელი
 მისი სახელი — ლეგიონია.

ტყე ღაბურული
 პროცეკტორმა აანთო შორით
 ეს შუქი იყო
 ბროლიერით წმინდა და გამჭვირვალე
 ის მტერს ეძებდა
 ჩასაფრებულ გორითიგორით
 სისხლის მწყურვალე.
 გაღმა ჰკიცოდა ბნელი ჭოტი,
 გამოღმაც ჭოტი,
 ეშურებოდა წყარო ჩქრიალა,
 უეცრად ჩაჰქრა პროცეკტორი,
 ავარდა შფოთი
 და ზარბაზნებმა დაიგრიალა.

ამ პლაკატების უამრავ გროვამ
 შარშანწინისწინ, კორიანტელზე,
 გადაიქროლა საქართველოზე,
 როგორც სამუმშა უდაბნო ველზე.
 თუ პლაკატები გაიძახოდენ
 სიტყვას ჯერ ახალს, სიტყვას ჯერ უთქმელს

და ყველგან, ყველგან წინ უხვდებოდენ
 ღიმილს დამცინველს, ღიმილს დამთუთქველს;
 განა ეს სული მომაკვდავია?
 შეხედეთ, აი კიდევ პლაკატი —
 სხვადასხვა კუთხით მუშათა გროვა
 შეერთეთ როგორც ნაკადს ნაკადი.

ნუ გვინდა რომ სიმღერას
 შენსას ვერვინ გაიგონებს,
 ვერ გაარღვევს მწუხარებას
 და ვერავის დაიმონებს,
 არა, მუდამ ახალია
 და ძლიერი შენი სიტყვა
 იგი წინათ ხალხის გულში
 დაფარულად გამოითქვა.
 ძლიერია ჩანგის ხმაზე
 ბევრის წრუველი ღამეთ ოედა
 და იდუმალ სიმღერაზე
 სულის ცეცხლად გადაქცევა.

რატაციონის მანქანის გრგვინვა
 ცხრაას ჩვილმეტ წელს მე მომაგონებს,
 ხან ალტაცებით მევსება გული
 ხან უცნაური ხმა ღამალონებს,

ხან ისმის მარში სამგლოვიარო,
 თვალწინ დროშების შრიალი კრთება,
 ხან გაიქროლებს ავტომობილი,
 რომ მოაგონოს ხალხს გამარჯვება.

ის პოეზია გაჰქრა,
 იგი ოქრო და ვერცხლი,
 დრომ ძველ მიღამოს გაჰქრა
 ცოცხალ ცხოვრების ცეცხლი;
 და უბოლოოდ მიჰქრის,
 როგორც გაშვება ქორის
 მწარე გათიშვეა ფიქრთა
 და სინამდვილეს შორის;
 მაგრამ მე მოველ! მოველ!
 მძლავრი გუგუნი ქნარის
 ძალაუფლება ყოველ
 დღის ახალახალ ქარის,
 რა საჭიროა ნანა
 ან მოგონება ხშირი
 დღეს თანასწორად დგანან
 მზე, პოეტი და გმირი.

ნამდვილ ვარდების ვეერდით
 სდგას ხელოვნური ვარდი
 თქვენ სივრცეებზე სწერდით,
 როგორც ნამდვილი ბარდი.

ფეოდალიზმის ნანა.
 მიუსსესა და ვერლენს
 დღეს მოიგონებს ხანა
 როგორც გარდასულ მწერლებს
 რა გამოიტანს ეხლა,
 რაც სამუდამოდ გიზის
 ინტელიგენტის გულში
 შეჭრილ შხამიან სინდისს?

„სინამდვილეზე უფრო ძლიერი
 არისო ფიქრი“ — ამბობს ბალზაკი.
 მე ფიქრზე ცსწერდი და იპარავდა
 სინამდვილეში მას ავაზაკი.

განათებათა რიგი
 ეთამაშება ლანდებს
 და არ ღალატობს იგი
 ძველი თაობის ანდერძს
 დავიწყებული, ძველი
 ფელეტონების წყება
 მათი ცრემლებით სველი
 მხოლოდ ობობა ძღება,
 ქარი მწერვალებს ხრიდა
 და აფარებდა ფოთლებს

უცებ გასული წრიდან
ართმევს ყვავილებს ბოდლერს.

ო, რა თქმა უნდა! ბრძოლა,
დაუნდობელი მოდის
მოაქვს ახალი ქროლა
სამოქალაქო მოტივს.
გამოურკვევლად მიდის
მოსაგონებლად მწარე
გამოურკვეველ ბინდის
და მისტიკურზმის მხარე.

წუთთა შვენება თანდათან ჰქონება.
მიჰქონან დღენი, მიჰქონან წლები
და სიბერის ფამს კვლავ მაგონებს თავს
ეს ტირანის ძველი კედლები.
მომაგონდება მოთქმა, გოდება,
მკაცრ დესპოტების შური და მტრობა
და მოგონებით კვლავ გამახარებს
ძველი ერთობა—და მეგობრობა.

კვლავ მიხარია ძველი კორდიდან
რიონის ზეირთთა თვალის დეგნება

დაუცხრომლობა გაზაფხულისა
 და ფერადების აშადრევნება
 რაღაც ახალის და კარგის ნახვით
 ამიღელდება იმედით გული
 ო, მომავალზე მიმდევნო ფიქრო,
 რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!

ახალგაზრდობა, მომავლის ძალა,
 სწუხდა ჯეარედინ ფიქრში გართული
 მათ პქონდათ გული იმ უდროობის
 მწუხარებაში გამოკვართული
 მაგრამ ელოდენ ჩევოლიუციას,
 ყოველთვის ახალ გრძნობას რომ ბადებს,
 და თავგანწირვით უერთებოდენ
 სიმართლისათვის მებრძოლ ნაკადებს.

სოქეი: რისთვის გერქვას ადამიანი
 და მომავალის გეძახდეს ვალი
 თუ დაიკარგა შენი გულიდან
 ნების ნაკადი თავისუფალი?
 რომ გრძნობდე ამას, მოგაშველებდა
 თავის მარჯვენას მთელი ქვეყანა,
 რომ მოისურვო მხოლოდ და მარტო...
 მაგრამ სურვილი შენ ძალგიძს განა?

სიცოცხლე! დიალ, სიცოცხლე გვინდა!
 სიცოცხლე გვინდა ასი, ათასი!
 შორი ალპების წყაროზე წმინდა,
 სამხრეთის მზეზე უდიადესი.

გზას არ ასცილდე, სულთამხუთავი
 რომ მოგეხვევა ბურუსი შემდეგ.
 ბილიკებს მოჰყევ, იარე მარცხნივ.
 მზეა — იარე. ხრამია — შესდეგ.

ასე, ამგვარად... ეხლა დადიხარ
 და შენს ალსასრულს გულმშვიდათ ელი.
 არ იცი ვინ ხარ, არ იცი რა ხარ,
 რას მოგცემს შემდეგ ცხოვრება ძველი
 იცოდე, ერთი, აუცილენტი,
 ბედი თავისით ჭარს მოგადგება...

ნუ მინდობ, შენსა ლხენასა!
 მთლად მიმეც აღმაფრენასა
 შენს ხმებს ვუმონებ, გეოაყვა,
 მღელვარე გულის ძერასა
 მოყვრის გულს გავახალისებო,
 მტერი დაგვაკლებს ვერასა
 დაპყარი მარჯვნივ და მარცხნივ,
 ჩხიკვს, შავ ყორნებს და ძერასა.

კვლავ სიჩუმეა გამეფებული,
 ზღვა არ ბობოქრობს, ტალღა არ იძვრის
 წყალზე ლამაზად ფერს ილამაზებს
 ლაუცარდი სახე გაშლილი სივრცის.
 ვდგევარ ნაპირზე და იალქანი
 ნათლად ბრკუვიალებს, მზის სხივრთ სტკბება
 ოჭ, აღელდება ნეტავი კიდევ,
 თუ არასოდეს არ აღელდება?

ვეგებებოდით ნაცნობ ქარიშხალს
 და აღტაცებით გვიძგერდა გული.
 მოვა დრო, ისევ მივეგებებით,
 დიდიხნით იმას დაშორებული.
 საბრალო ნავი!
 გულშემზარავი
 ტალღა შეასკდა იმის სუსტ ნაპირს
 ტალღას გადაჰყვა აბობოქრებულს
 და სხვას არაფერს
 ცხრაასჩვიდმეტის ზღვა შეხვდა მწარე,
 ბრძოლაში მოკვდა სიმშვიდით, წყნარად.

თუ მე არა მსურს? როცა არა მსურს
 ამაო არის ძალა და მცნება
 ჩემს სულს ბრძოლაში ქცეულს ფოლადათ
 კვლავ ასხიერსნებს ერთი ოცნება
 იგი, მოვა დრო, მწარედ იფეოქებს
 დიდიხნის გზნებით უხვად გამთბარი
 გაანგრევს კლდეებს და გადალეკავს
 ის სწრაფი ტალღა და ნიაღვარი.

ო, განთიადო! მუნჯ ბორკილებში
 მე გავატარე ლამე წყეული
 გამაცოცხლებელ მზისა სხივების
 ლოდინათ ვიყავ გაღაქცეული
 ფეხისხმას მოვკარ ქუჩაში ყური,
 ახლო ქვაფენილს გაექრა ლანდი
 სწრაფად დარკინულს მივადექ სარკმელს
 მაგრამ მზის შუქო, შენ არსად სჩანდი.
 დაიკაკანა ტყვიის მფრქვეველმა,
 იარალებით გამოჩნდა ფორდი,
 და ზარბაზნების ხანდახანი ხმა,
 ძველი ცხოვრების იყო აკორდი!

ჩემო მენავე, შენი ფიქრი
 და შენი ზრუნვა
 გაუზიარე შენს მეგობარს:
 მშცოთარე ზღვასა
 ნუ შეგაშინებს მისთა ტალღათ
 მრისხანე ბრუნვა
 გულს ჩაუკვირდი და მიზეზებს
 სხვასა და სხვასა.

ნუ გამაგონებ ნურასოდეს
 ფიქრებს მწუხარეს
 ნუ ითვალთმაქცებ ცხოვრების წინ,
 ნუ დაეცემი

დიდიხანია გზა ბრძოლისკენ
 გადაუხარეს
 შენ მათ ფიქრიდან ისევ ლელვას
 გადაეცემი:

ვარსკვლავთ ციმციმი
 და ზღვის სუნთქვა აღარ დაგატკბობს
 არ გაგიტაცებს
 მყუდროება დაკარგულ ცისა,
 შენი სიმღერა
 სხვანაირად გულებს გაათბობს
 როგორც სიმღერა
 განწირულის და მებრძოლისა.

მიღამოებო,
 ეს ოცნება თქვენი ნერგია
 საჭირო არის
 თუ არ არის სინათლეთ ღვარი
 მეტი სისწრაფე,
 მოძრაობა და ენერგია
 თავი და თავი
 დღევანდელ დღეს აი ჩა არი.

ორის ცხოვრების უსამართლობა
 შენთან მოსული მწარე ფიალით
 ის ეკლის გვირგვინს შუბლზე დაგადგამს
 და შუბლი ელავს სისხლის სიაღით
 ნუ დაუმალავ ხალხს ამ იარას,
 დადექ იქ, სადაც შუქი ინთება
 ეკლიან შუბლზე უფრო ძლიერი
 და ანთებული მზე გაბრწყინდება.

დილით მსწავლულთა გროვაში გართულს,
 მწუხრით პალებში მიგჭონდა ბინა
 მაინც ვერა ჩამ დროის ნამდვილი
 სიხარული ვერ გაგაგებინა.

შენ გალიმებით მისჩერებოდი
 მორთულ-მოკაზმულ უცხოელ ქალებს
 ჰე ვნახე შენი ლია თვალები
 როდესაც სხეები ნაბავდენ თვალებს
 მაგრამ მათ სულაც არ ჰქონდათ გული,
 მოწყენილობა ფარავდათ დაღათ
 შენში კი გულმა ბუნებრივობა
 უცხოეთშიაც კი შეინახა.
 შენზე ამბობენ: რა სიმარტივის
 უბადრუკ ნიმუშს ხატავსო, ბედო!
 მაგრამ ცუდ რამეს ვერავინ იტყვის,
 ახირებულსაც ვერ დავარქმევთო.

რა საჭიროა ის მეშჩანური
 და უცხო გულის კრთოლვა-ცივება,
 ამ ხელუხლებელ შვენების შემდეგ
 შენ ყველაფერი გეპატივება.

მის წლოვანების შესაფერ ფიქრებს,
 ვერ შეაჩია, ვერ დაუბრუნა
 „ჩვენს ბავშურს და ზნეულერულ ღროში“
 ბავშებზე ქარმა გადიგუგუნა.

ყმაწვილი, პირველ შეხედვით ყველას,
 ის უსათუოდ მოწონებს
 მაგრამ წუთს შემდეგ... რაღაც სკეპტიზმით
 დამწერარი სხვაგან მიჰქოის გონება.
 ისე შრიალებს მოწყენილი დღე,
 როგორც ქარისგან მოტეხილი ხე.

შენის სიმღერით აღელვებული,
 ცისკარო, ნისლით ოხემზე რომ იწვა
 გადმოექანა როგორც თეთრი ზღვა
 და ფანტომებათ დადნა, დაიწვა
 დაე, ისმოდეს კვლავ სიმღერაში
 ახალი ლელვის ელვა ტყიური
 გულს მიეც სული და დაიქუხებს
 იმისი ლტოლვა-ტიტანიური.

მეტებს იქით ცა, აპა, ნათლდება,
 მზე ეფინება მიდამო-არეს
 და როგორც მთელი ქვეყნის ვედრება
 აწყდება ბნელი ტფილისის კარებს.
 მისვენებისა ნაცვლად რას ელი,
 სამარადისო რას მოგცემს ძილი?
 ახალი ერის დასაწყისია
 ყოველმხრიდან ხმა, ყველგან ძახილი.

უღრუბლო მყინვარს დიდი ხანია
 ჩვენი ზრუნვები ვერ ეკარება
 მხოლოდ ხანდახან უცნაურ ამბად,
 ტურისტი მხრებში შეეპარება,
 ის ტფილისიდან ფიქრობდა მასზე,
 ახლო ენახა მთების დიდება
 რომელიც არღვევს საუკუნეებს
 და დავიწყებით არ იბინდება.

მთებში, სიმშეიდით გარემოცული,
 განმარტოებით შენ ისევ მღერი.
 ერთის მხრით ვრცელი ტყე, დაბურული,
 მეორე მხრით კი ძეწნა და შეერი.
 სალამი მთებო ტოტებგაშლილო,
 სალამი შორო და მწვანე მდელო
 მუხაო, დროთა ფიქრში გართულო,
 კლდეებო ირემჯიხვთ სამფლობელო.

სპეცტრი, შუქთ გუნდი მოაწყდა კარებს,
სხივთა ისარი გულზე დამასო.
ისევ გაბრუნდა და მე მომესმა
მისი ძახილი: იცოცხელე არსო.

ჩვენ გვასწავლიდა რაზე ვიღწოდეთ
ან რაა ჩვენი დანიშნულება
თავდადებულთა ძლიერი რიგის
მუდამ ახალი და მძლე თქმულება.
ბევრს დიად საქმეს დაუნანებლად
აქ განაგებდენ მაგარი ხელით
ასრულდა ბევრი რასაც ველოდით
და ასრულდება ის, რასაც ველით.
და ბევრ ადგილას, სადაც კი დღემდე
ვერ მკვიდრდებოდა ახალი რკალი
ეხლრ უკვდავი გრგვინვით გაისმის
დაუძლეველი ინტერნაციონალი.

საღამო მშვიდი, საღამო წყნარი
დღემ ამართულ მთებს გადააფარა,
დუმილს მიეცა შორი სოფლები
და ყაზიბეგის თეთრი ჭალარა,
უკანასკნელის მზისა ალერსით
აწითლებული და მოელვარე
დასავლეთისკენ ჩასვენდა ალი,
გაურკვეველი, ჩუმი, მთვლემარე.

ქვევით ნიაღვრით გადარეცხილი
 ჩაყუდებული პიტალო მთები
 თითქო ფიქრებად გადაქცეულან,
 როგორ ჰქვდებიან მზისა სხივები,
 პატარა ქალი სასხლავით ხელში
 კორდიდან კორდზე დახეტიალობს
 საყვარელ ლექსებს იმეორებს და
 აყვავილებულ სალამოს ჰეგალობს.

მუდმივი ბრძოლით და შურისგებით
 შთაგონებული, ცეცხლით გამთბარი
 შეურიგებელ, ნათელი გრძნობით
 სავსეა, როგორც ცეცხლით ლამპარი
 ამ დროს იმისი მთელი არსება
 სხვადასხვა ფრთებად ირგვლივ ვრცელდება
 მისი აზრები სავსეა სიტყვით,
 რომელიც საქმით ხორციელდება.

სცენაზე მიდის
 ადამიანთ შური და მტრობა
 ხან სიხარულის,
 ხან ტირილის გულლვარძლი გრძნობა
 სანახაობა!
 ყველაფერი რუტინის გარდა
 არ გვაშორებს მას
 მშვენიერი თეატრის ფარდა.

ძრწოდე სამყარო. ეს ჩვენი დროის
დაუნდობელი მზე და ნისლია
მის წინააღმდეგ წასვლა არ ძალგიძს,
მის წინ განძრევაც არ შეგიძლია
ციურო სულო, დაუმორჩილდი.

დედამიწაზე აიღე ხელი.

შენ ცა გეკუთვნის — მას დედამიწა.
შენ ძლეული ხარ — ის უძლეველი.

არარა ჰეიბს უკუნისადმე,
სუსველაფერი მიღის და ჰქრება
ლრუბელს ამართულს უზრუნველ ცამდე
იდუმალება არ ესიზმრება.
მშვენიერების უხმო სიკვდილი
კარგად იციან, როდის მოელის...
შენთვის, ლაჩარო, კი უპვდავია
ხმა სატანასი და სამოელის.

უბრძანეთ არწიეს მთის მწვერვალიდან
დაეშვას დაბლა და განადგურდეს
უთხარი ირემს მთაზე იმ მთიდან
ნუ ხეტიალობს, სიკვდილი სურდეს.
უთხარი ცამდე ამართულ მუხას,
მუდამ იხვიოს ნისლი გრძნეული
ეხლა უბრძანე ამ ბობოქარ ზღვას
იყოს პატარა და იჭვნეული.

არ შემიძლია. შენში გულისთქმა
 უფრო მძლავრია ვინემ ზღვის ბსკერი
 სილამაზისა კვლავ გიტაცებს ხმა
 დაუშრეტელი როგორც ჩანჩქერი.
 ყოველთვის როცა ხედავ ან ისმენ
 სამარადისოდ რასმეს მიმზიდველს
 შენ სიხარული აგაფორთოვანებს,
 ვით მწუხარება უდაბნოს ტიტველს.

ესპანიოლკით,
 პარიზიდან დაბრუნებული
 ის ბრძნულად სდუმდა.
 ტუჩე ლიმი სჩანდა დამცინველი
 ამ სახისაგან
 მე ვილტოდი გაფითრებული
 ის მაშინებდა
 როგორც უცხო შავი ფრინველი
 საით მიღიხარ! —
 მომჩხაოდა დაუთრგუნავი
 „იქ სადაც ყველა“ —
 ვუპასუხე და გავეჭანე
 სად ხალხის ჰქუბდა
 უკამარობათ დაძრული ზეავი
 სადაც ვიპოვე
 მღელვარე ზღვა და ოკეანე.

აბა რა იყო შენი ბაგშობა!
 მამა არ გყავდა, დედა არ გახსოვს
 არც სიყმაწვილე, არ თამაშობა
 სულ სილარიბე გართმევდა სასოს.
 გყავდა გამდელად ქუჩა, ის გზრდიდა.
 საკუთარ სახლად მას უცქეროდი
 თითქო ეს ბინაც მწარედ გდევნიდა
 და შენ მომავალ ბრძოლებს მღეროდი.

გახსოვს? გახსოვს ის ქარბუქი
 რომ ფანტავდა ფოთლებს დილით
 ეხლა... ეხლა კი სიცილით
 ცის დასავლეთს როგორც ლუქი
 გადაეკრა ნორჩი შუქი,
 შემორტყმული ნაზი ლილით
 აფერადდა ყვავილივით
 სილაჟვარდე მუქი... მუქი...

კლდეებს ამტერევენ... ეხლა გაიგებთ
 შრომის კუნთების ძალას იღუმალს
 იფი მძლეველი ლომებით ანგრევს,
 ლოდათ ჩამოჭრილ კლდეთა სასოფლალს.

ჭეცა შეშფოთდა. სული განაბეს
 ანგელოზებმა განცვიფრებულმა
 იდუმალების გაწყვეტილ სიმთან
 ამოიოხრა ვარსკლავთ ქრებულმა
 რაღაც უცნაურ სულისკვეთებით
 იბურებიან ლრუბელთა გზანი
 მისკენ საშინელ შურისძიებით
 მიეშურება ჰაეროპლანი.

გაზაფხულზე ყვავილები
 იმღერიან ქებათ-ქებას
 და ნაკადიც უზრუნველად
 მოიმღერის გამარჯვებას
 ყველაფერი, ყველაფერი
 მაისისას ერთვის გიმნებს
 ეჭინება სიხარული
 მრავალ ვარდებს და გვირგვინებს.

მოგონებები ატოკებს
 ტბის ლელით მოსილ ნაპირებს
 ლალ-იაგუნდებს, ზურმუხტებს,
 თვალმარგალიტებს, საფირებს.
 მოგონებები ამბობენ:
 დასტკბი და გაიხარეო
 ცის კიდით-კიდემდისინა,
 მრავალთ მრავალო მხარეო.

სხვაურივ იაზრე კაცთა ყოფნის
 არარაობა
 იცანი ყველა საიმქვეყნო
 მიწა და მტვერი,
 იმ გრძნობის გარდა, დღეს ომ იბრძვის
 ჩვენი თაობა
 მსოფლიოს ჰქონდეს ერთი სახე
 და ერთი ფერი.

ხელოვნებისთვის მთა ბუმბერაზი
 და ვარსკვლავებიც ამბობენ ამბავს
 მხოლოდ მასისთვის სიმღერა კარგი
 უკვდავებისკენ გზას გაიკაფავს
 არსებობს ხეთა მშვიდი ჩურჩული,
 ისევ და ისევ მხოლოდ მასისთვის
 სანატორიის მინდვრებზე ელავს
 განმკურნებელი მზე ალმისისა.

ვერცხლის ცივ ნათელს შუქთა დამფანტველს
 ფუნიკულორი მიღამოს ჰუენდა
 სულგანაბული ავტომობილის
 სიჩენა სტვენდა
 როგორც აგატმა. ხალხთა ნაკადმა,
 კვლავ მიაშურა კინო-თეატრებს
 ქარად არღვევდა, შარფებს არხევდა.
 აპა, გაარღვევს. აპა, შეამტვრევს.
 ხმა ბობოქარი, ხმა ჯალოქარი
 გადმოიღვარა საღამო ხანად.

სალამო ხანად ვისმენდი ამ ხმას
 ხან მწარე ქარად, ხან უტკბეს ნანად.
 ცეცხლით ალვავსებ, გავიათასებ
 ამ მშენიერ ხმას ტყვემქმნელ გრძნობაში
 სალამო ხანად, ისევ იმ ნანად
 ჩემთვის სანატრელ ბობოქრობაში.

მუდამ ახალი იწყე ცხოვრება
 ახალი სხივი ედება არეს
 ნუ დაენდობი სიტყვებს უმიზნოს,
 არა ერთს მოგცემს ის სიმწუხარეს.
 წარსულისაგან კვლავ დაიბრუნე
 შენი მარადი თანამგრძნობელი
 ჩემო სიმღერავ, იყავი მაღლა,
 როგორც ცხოვრება, როგორც სოფელი.
 საზიზლარ საზღვარს გადააცილე
 შენი ამაყი სულისკვეთება
 მეტი მზის სხივი შემოგეხვევა,
 მეტი ნათელი შემოგედება.

რა ზღვისფერი და კარგი დილა
 ამწვანებულო ტყეთა დალალო
 სიკვდილი მწარე სინამდვილეა
 ღამისთვის მკაცრი და სავალალო.

სურნელებათა გაირღვა კონა,
 ყცავილთა ეშხი გულზე დამასე
 ახალგაზრდული ყანის შვენება:
 სინათლე, გრძნება და სილამაზე.

სალამოვ, ტყეზე ააბი ბინა,
 შენმა ნიავმა ააბიბინა
 სოფლის ყანათა გულის ნადები,
 სად გუგუნებენ ნადურს ნადები.
 საღაც ჩქარია სიმღერა და ხმა,
 საღაც ლერწამის ფოთლები დახმა,
 საღაც თვითეულ ბალახსაც ესმის,
 რომ შემოდგომის ისარი ესმის
 სად გაუსწორე ტყეს შენა თავლი
 და სიმღერები დლით შენათეალი
 სალამოვ, მითხარ გულის ნადები.
 ღამდება, სწყვეტენ ნადურს ნადები.

ორო ყურძენო შემოდგომისა,
 აღტაცებულო ქალის სიცილო
 ახალგაზრდობავ, თვალების ელვავ,
 რისთვის არ ძალმის შემოგიცილო.
 ხეავით ვიხილავ წუთსა ბედნიერს,
 მყუდრო სოფლისთვის უცნაურ წამებს,
 გათენებული სიცოცხლის ისრებს,
 და შეღამებულ თვალთა წამწამებს.

შენობლად კვლავ ადგიხარ გზას,
 ზეცა ჰქუმს, ზეცა ირლვევა
 ოთხივ მხრივ ვადმოხეთქილი
 მთელი სოდომი იღვრება
 ელვანი იკლაქნებიან
 არის ელვა და ქუხილი
 შორით შორს ისმის, ხეებში,
 გზა დაკარგულთა წუხილი
 დაბრუნდი! ერთი მეორეს
 ამ დროს არავინ იცოდებს
 მშველელ ხელს მხოლოდ გრიგალი
 და ქარი გამოგიწოდებს.

ამ წიგნში მთელი საუკუნის
 ვიპოვე ბინა
 უცხო წალკოტში, სადაც კალთა
 გადაეფინა
 მზის ელვარებას და უსაზღვრო
 ძებნის სურვილებს
 ძველი ელვადით, ძველი რომით
 გადაბურვილებს.
 აღმოჩენილი სულ შემთხვევით,
 ნახევრად მკვდარი
 ძლიერ მომავალს უმღეროდა
 მომავლის ქნარი.

ოოგორც მნათობი მსოულიო ცაში
 ისე ერთი ხარ პოეზიაში
 ქარიშხალივით მხნე, ბობოქარი.
 ნიაღვარი ხარ მღუმარე მთებში.
 სულს ნუ დაზოგავ მღელვარე ხმებში
 რა კი ქარის ხმას ყური მოჰკარი.

ლამის წყვდიადს ბოროტ გულში
 განთიადმა სტყორცნა შუბი
 წითელ სისხლით შეიღება,
 ჰქვდება ღამე
 საუკუნეთ იდუმალი
 სხივი გულში დანაგუბბი
 ცის ტატნობზე გაიშალა
 მოკამკამე.
 ხრიკოში კი მიზნედილი
 და სისხლისგან მთლად დაცლილი
 დაკლაკნილი როგორც ზოლი —
 ჰქვდება ღამე.
 მედგარს მებრძოლს, ნორჩ განთიადს
 მალლა ნაძვებ-ავარცნილი
 სიხარულით ეგებება
 დღის სალამი.

უცქერ დიზელებს და სიხარულის
 ნაცვლად ვაებით გევსება მკერდი
 გაზაფხულია, არე მიღამოს
 სიმწვანე ფარავს ოოგორც გავერდი
 რა მშფოთარე და ტკბილია ნანა.
 დაძინება გსურს. არავის უცდი.
 ხედავ, რა მალე წაგერთო ძალა.
 უდაბნო, ტყეო, ოოგორ მოხუცდი.
 წყევლანი გულში ვერ დაეტია,
 მწარე განცდებით აიქსო სურა,
 ქარმა და წვიმამ ასე გაგხადა,
 ხანგრძლივმა ბრძოლამ დაგაუძლურა.
 შენი ბორკილი იყო სიბნელე,
 მაგრამ ხანგრძლივი არის ის განა?
 დაუგდე უური ისევ დიზელებს,
 რა მშფოთარე და ტკბილია ნანა.

დასძარ. დროა. დროა. ინჟენერია.
 და ერთბაშად ახმაურდა სადგური
 აგრიალდა დიზელების სერია,
 განათებამ ლამე გაანადგურა.
 ტყე და მთები საზღაპრო სურათია,
 გაჩირალდნდა შენობათა ბურული
 ცეცხლოვანი ზოლების გზა ანთია
 სადაც წინად ტყე იყო დაბურული.

წყალს, გადაშვებულს ტბიდან ანაზღათ
 ცისარტყელათა დაადგა ზოლი
 გადაფუნგულა ორომტრიალი
 ტურბინებიდან გადანასროლი
 მალე მზე ჩავა და დასავალი
 ფარშავანგებათ შემოიმწკრივებს
 აუწერელად დიად ფერადებს,
 ჩამავალ დისკოს ჩამავალ სხივებს.

გამოსცადე ყველაფერი,
 რაც კი ძალუძს ქაცს თუ ჯადოს
 რაც კი ძალუძს მარტოობას
 ლამის ნისლში გამოსცადოს
 იგრძენ რაც კი შეიძლება
 ქვეყანაზე გულმა იგრძნოს,
 იცან რაც კი შეიძლება
 კაცმა ქვეყნად გამოიცნოს.
 მხოლოდ ერთი, სამუღამოდ
 საიდუმლოდ დაფარული
 ვერას გზით ვერ გამოიცან
 კაცთა მეშჩანური გული.

უცებ გაცოცხლდა ირგვლივ ყოველი
 ველებს აღელვებს ნიავის ბინდი
 ამოიშალა ძველი სიტყვები
 ახალი გზებით მიდის რაინდი.

ნუ იცქირები გარეშემო
 ვით დასასჯელი
 გახსენი გული, უთხარ მეგობარს.
 უთხარ თავის თავს ყოველ წამში
 ათჯერ, ათასჯერ
 რომ გზა გაეხსნას
 ქაოსს ნაგუბარს.
 შენ თეით შენში ხარ, საკოდავო,
 დატყვევებული
 მარტოობაა შენი საკანი
 იყავ გულწრუელი,
 გაიგონე ხმა ანთებული
 და სასიცოცხლო რამე საგანი.

დელვას დაფარულს ალისფერ მტვერით
 სიმხურვალისგან ასე ფერმიხდილს
 შენ ესალმები წრფელი სიმღერით,
 წრფელი სიმღერით წაართმევ სიკვდილს
 ირგვლივ ფერადებს შემოიკერებ,
 რომ აღსდგეს მხდალი და დაცემული
 დიდხანს იმღერებ, დიდხანს იმღერებ,
 დიდხანს იმღერებ გატაცებული.

ერთხელ, მანქანავ, არ ვიცი რაზე,
 ისეთი როგორც ბუნება შენი
 შენი ბორბლების სიბუმბერაზე
 ერთად შეჰქონე და შეისვენე

მუდამ, მარადის მე მას ვატარებ,
 როგორც სიყვარულს, ძლიერს, გამოცდილს
 უვნებ ნიავსაც არ მივაკარებ,
 არც მე მაკარებს ზრუნვა ღამით ძილს
 ვონება ირგვლივ ნისლივით უვლის,
 ბორბლებს სათუთად კარებს აფარებს
 ძმობა გრძნობისა და მეგობრობის
 შენდამი სურვილს თან დაატარებს.
 ვინ არ დაფიქრდეს ან არ აღელდეს
 გრიალი შენი რომელმაც ნახოს
 ინდუსტრიალურ აღფრთოვანებით
 რაც მებრძოლ გრძნობას სურს შეინახოს.

ჩვენ ყველას გვიყვარს: უზარმაზარი
 როცა გუგუნებს მსოფლიო ქნარი
 სტებს, ანადგურებს, ჰქმნის, კერპადა ხდის
 დაუძლეველი, სწრაფი მედგარი
 რისხვით ჰქუბს ცივი, ტალღათ გრეხილი,
 სწუხს სივრცეებში ფრთაატეხილი
 რად არ უგდებთ ყურს, სიხარული გვსურს,
 ალტაცება გვსურს გაუტეხელი.

პროექტორი
 გალტოლვილი,
 ფიქალ კლდეზე გაწოლილი,
 მალალ ღრუბელს მოეჩვენა

დროთა მრავალთ
 გამოვლილი,
 ვალმოხდილი და მოულილი
 მთვარის შუქი ცას ესვენა
 ორი შუქი. ორი მძივი.
 შედარებამ ჩვეულებრივ
 ჩემს გულს
 მძაფრად გაჰკრა ბრჭყალი
 ორმა შუქმა გაიელვა,
 მიწა ცას გრძნობს
 და ბუნებრივს
 ხელოვნური ნაპერწყალი.

რაღიოსა და ელექტრონის
 ხანაში გრძნობით
 შენ ბავშობის დროს გადაჰყევი,
 ასე არ არის?
 ტოლ-მეგობრებში ამაყობდი
 შენ ზე-კაცობით
 მაგრამ რა არის აქ ისეთი
 მომსპობის დარის?
 გესიზმრებოდა მუზა ქალად,
 ნაზი, კეთილი
 ხელში რომ ქნარად უკვდავების
 ეჭირა ცნობა
 ეხლა კი კლდე ხარ და ფოლადი
 შემოჭედილი

აგრე ადვილად არც მუზა გრწამს,
არც ზექაცობა.

პატალოგია, ენა დაბმული!
გიცქერის, ღამე სულგანაბული.
კარებთან მკვლელი. სარდაფში ჩახვალ
იქაც მკვლელია და ურიამული
ამოხვალ, ქუჩით დაგედევნება,
დაუცხრომელი, მრავალთ-მრავალი
და ვერსად ქვეყნად ვეღარ ისვენებს
მთელი თაობა გარდამავალი.

თუ ყურს უგდებდი ბარიკადის
ხმას ჩასაფრებული
თუ ყურს უგდებდი ყუმბარების .
სიმღერას მწარეს
იგი ჰანგები ტალღას სცემდა
გულს გამძაფრებულს
იგი გვამცნევდა მისაწდომელ
ჰანგების არეს.
ვერა, ბუნებავ, სუსტი ენა
ვერ გამოხატავს
ცხრას ჩვიდმეტის სიღიადეს
და აღმაფრენას
არ შეუძლია მის წინ რამ სოქვას
ენას მომაკვდავს

აღარ აქვს ძალა იმ ძალასთან
უბრალო ენას.

თუ ყურს უგდებდი ცეცხლს და გრიგალს
მრავალ შვენებით
განა ვერ ამჩნევ რომ მზის სხივი
მიმოიჟანტა
გავიდა ხანა. ეხლა მაინც ხარ
მოსვენებით
მაგრამ იგი დრო ენამ მაინც
ვერ გამოხატა.

ის ინდოეთი, საქართველო,
სპარსეთი, ტომი —
რომ შეერთდება ერთი გრძნობით
და ერთი მიზნით
მათი მარადი, ჰერალდიის
ვეფხვი ან ლომი
თქვენ, აჩლილებო წარსულისა,
ვეღარ დაგიხსნით.
წარვლიან თქვენგნით მოელი ჯგუფები,
მთელი თაობა
სადაც არავის წაეჩუბება
უკვდავებათა სხვადასხვაობა.

იქ მშვენიერი სუნთქვით სუნთქვას
მზეთა მაგია

სტრიქონებია ვით ციფრები
 და ხანა ტოკავს.
 ეხლა მე მესმის, ყველაფერი
 რაც კი კარგია
 მომავალს რად სურს მიაკუთვნოს
 ჩვენსა ეპოქას.
 სმენა! ოვალყური! ეპოქა ისვრის
 ახალ ერესებს,
 და იგი არის — დღეებს რომ გასცდა
 უძლიერესებს.

ნავსი ედება კოშკებს უძველესს,
 დრომ შუბლს ნაოჭი გადაუხარა
 ვერავინ აჰყრის მტკიცე საფუძველს,
 ჩვენმა დრომ ახალს რომ ჩაუყარა.

აღმოსავლეთი გვჯეროდა ჩვენ
 ყველაზე უფრო.
 და დაუინებით გავცემეროდით
 ეფრატს და ნილოსს
 შუა გაჭიმულს არაბეთის
 ნახევარ კუნძულს
 რომ ლტოლვა მისი არასოდეს
 არ დაიჩრდილოს
 თანასწორობა, მიწა საერთო,
 დაე, ბორკილებს მას ნუ აღებენ

მშრომელს მიეცეს ჩაც მას წაერთო,
წყვდიადს უფრო ნუ აწყვდიადებენ.

ლრმა სიყვარული შრომისადმი.

თავისუფლება.

მეგობრობაში და მტრობაში
ძლიერად სრული.

თანასწორობის მწვერვალი რომ
ეალუბლება

აი რა იყო, აი რაა

უკვდავი სული.

კლასის სიმართლე და სამართალი
ბევრის წამრთმევი, ბევრის მძლეველი
მუდამ დარჩება როგორც სარდალი
საუკუნეთა გაქროლების
დაუძლეველი.

იმ საგანძურებს, რომ არ ნდობდენ
ბარბაროსები

საუკუნეთა გაქროლების მოიტანს დალი.
აიშლებიან ამიდები

და ტაროსები

გადარჩენილი ნანგრევების
უერალი ბალი.

გრძნობენ: ევროპა, საოცარი
რამე მოხდება

სანამ მსოფლიოს არ აღმოხდება,
ამდენ ცეცხლიდან მზეების თაღი.

ვარსკვლავთა ფიფქით გულია სავსე,
ელვარებს მთვარე
შავი ზღვის ზეირთთა სცურავხარ ნავზე,
შენ, შუქთა მხარე
კიპარისები, დაფნები, პალმა —
მოსჩანან შორით
და ნაეთსადგური ცისფერმა ალმა —
დაბურა ტბორით
როგორც ეს გული, მიეცა ჯადოს
მიდამო მთელი
სულაც არ უშლის ქარიშხალს ლრიალს —
სიმღერა წრფელი.

ვისაც ელოდი მას აღარ ელი,
სდუმს ლამის ურნა
ქორწინების ხმა გასახარელი
მიდუმდა ზურნა.
ნუგეში მშვიდი სიბერის დღეთა,
ძვირფასო სახლო •
მიიღე, როგორც თავის შეილს დედა
სიკოცხლის ახლო.

მე გამახსენდა ქარი პირველი
 მთებში რომ მღერის
 საღამო ჩქარი და გამწირველი
 უბანიერის
 არ გამოითქმის გზად ალმართული
 ის ბილიკები
 და მდინარეზე ფიქრში გართული
 ტყეთა რიგები...

იმისთვის მღერის ცეცხლმოდებული,
 ის ცეცხლის ხმაზე
 რომ მთლად იგონებს აზვირთებულის
 დღის სილამაზე
 მაგრამ თეითონვე ეს იცის განა?
 გული, ტიალი!
 უყვარს მთელი ზღვა, მთელი ქვეყანა
 და ხეტიალი.

იყო ნისლი და უარეს
 ხმით მორევი ბარბაცებდა
 გემზე შენს თმებს მომღელვარეს
 ქარიშხალი იტაცებდა
 იგი, ნისლი ამართულ მთებს
 ერთმანეთში გაურევდა
 აშორებდა მწვანე კალთებს
 და შორიშორს აშურებდა

ქარიშხალო, მომაშუქე
 შენი ბრძოლის სიხალისე,
 გაგყვა ჩემი სიჭაბუკე,
 მე მასთან ვარ ისევ ისე.

ტროპიკულ ხეებს შავიზღვის პირად,
 ვაზებს დახლართულს
 ოომ მიყვებოდი ზურმუხტისფერად.
 უიქრებში გართულს
 ჩამავალ მზეში მას მხოლოდ სხვისი
 ერქვა მამული.
 ხან იშუქებდა, ხან ნელდებოდა
 ცა მეწამული.

კავკასიონი სჩანს მიმზიდველი,
 განთიადის უამს
 შის შორთა ყინულთ ფრთები ტიტველი
 იწყებენ კამკამს
 და სიზმარივით ცივი, მსუბუქი
 ნისლების კრება
 ძნად მოხვეულით შემკრთალი შუქით
 ირლვევა, ჰქრება.
 რომ ცისფერია ის ყელსახვევი,
 გულმა ვით არ სცნოს
 რაღაც სარკეა იქ შორეული;
 მიყვარს ის ამ დროს.

უეცრად ტალღა აღშფოთებული
 ქუხს და გრიალებს
 ზღაპრული ნგრევა აგორებული
 ფრთებს ატრიალებს
 რისხვა ქაფს იყრის და მრისხანებით
 ჰაერში არხევს
 ვით ცეცხლის მარცვლებს საზარელ ხმებით
 შიშის მთებს არყევს.

გადახვეული აფრა ანძაზე
 მიმოფრიალებს
 სტიქის სული განგაშებს ზღვაზე
 ღრეობს, ღრიალებს
 ვერა, ვერ ითმენს იგი მონობას,
 ყოფნასთან აფთრობს
 ოშში, გრიგალში, ათავსებს გრძნობას.

მკაცრია ამ დროს.
 თითქო პირველად შენ დაგიხახე
 ბრძოლის აჩრდილი
 მას სტიქიური შვენოდა სახე
 ჩადრგადახდილი
 ცეცხლის შადრევნებს გადასცემოდენ
 თვალები შენი
 და შენთან ერთად თითქო მლეროდენ
 მთანი და ტყენი.

კმარა, ნუ ფიქრობ უბედობაზე,
 გასწი, იარე ვით აქამომდე
 ნუ დაგიმონებს, მგლოვიარება -
 თუ ულოდნელად ასაღამოვდეს.
 იქ უნდობლობა, კიცხვა და დევნა
 მუდამ ახალი ალით ინთება
 სადაც კი დიდი მიზნისთვის ბრძოლის
 ნათელი შუქი გამობრწყინდება.

გუშინ ქარმა და გრიგალმა
 ტყის ნაპირები დათელა
 ეხლა ღამეა. აქ და იქ
 ანათებს ციცინათელა.
 გიგანტიური მუქიდან
 კილოვატებში ცახცახებს
 გათენებამდე ტურბინის
 ძარღვს ეს გრიალი დასძახებს
 დასცექერის მტკვარის ნაგუბარს
 ვით ფანტასტიურ მონავეს
 სანამდე ცისკრის ნათელი
 მის ძალს არ დაიმონავებს.

ჭლვა არ ბობოქრობს დროვამოშვებით
 სირენას ისმის ხმა გაბზარული
 სდგანან გემები ფერად დროშებით
 და შავი კვამლით გადაფარული.

იდუმალებით ისევ სავსეა,
 ზღვის ცივი გული, ნისლი სოველი
 გულხელ დაკრეჭით, ბიჯგადადგმული,
 დგეხარ, არსაით ხმას არ მოელი.
 კრეისერებო უცხო ქვეყნების
 ზღვა გადმოლახეთ მძლეთა მძლეველი
 ნუ თუ იმისთვის რომ შეითვისოთ
 მხოლოდ სიჩუმე დაურღვეველი?

როცა დაღამდა —
 გადადაღავდა
 ტფილისის არეს
 ალების კალა
 ფიქრებით ძველით
 სუნთქავდა ველი,
 ფინიქულიორი
 და ნარიყალა
 როცა გათენდა,
 გადაადენდა
 შუქს ნაძალადევს
 მზე შემოდგომის
 გაისმა ვრცელი
 ქარხნის გუგუნი
 და აიმართა
 სასახლე შრომის.

დღეს მებალემ სარებს ვაზი
 მიაკონა, მოაკონა
 მზემ მიდამოს მშვენიერი
 გაზაფხული მოაგონა.
 ახმაურდეს ყველა ჩანგი
 და გამძაფრდეს გულთა ძერა
 ვერ დამაცხრობ, ვერ დამძალავ,
 ვერ გამისწრებ ვერა, ვერა.
 მაინც ვიცი, მაინც ვიცი
 ვერაჟური შესცვლის შვებას
 ალტაცებას იმედისას
 და მსოფლიო გამარჯვებას.

შენგნით იმედს შეუპყვრივარ,
 განცდა მომდევს გაბასრული
 ჩემ სიხარულს, ალტაცებას
 ეხლა არ აქვს დასასრული.
 გრძნობა ლბება უხილავად
 უტეხელი იმა ხმებით
 გალეიძებულ ოცნებითა
 და აშკარა განახლებით.

განთიადისა პირველი ალი
 ნარიყალისა ნანგრევზე წვება
 ელექტრო ჰქერება და- შუქი მზისა
 იფეოქებს როგორც ახალი შვება.

ჰყვება ტფილისი სხვა და სხვა ჰანგებს;
 ხმა სიშორიდან გულს ალვად ხედება
 ჩემი სალამი გიგანტის ჩანგებს,
 ბნელს სული ხდება სიბნელე ჰქვდება.

უკანასკნელად სხივები მზისა
 იჯგუფებოდენ გულგაპობილი
 როცა მცხეთისკენ მიმავალ /გზისად
 შენი გამოჩნდა ავტომობილი.
 მშვიდობით — მითხრა უკანასკნელად
 ირისისფერმა ქროლამა შარფის
 გადამავიწყდა ეს განშორება
 ვით მწუხარება დახრილი წარბის
 დაღამდა, მთვარემ ამოანათა,
 ტყე შუქითაა გადანალაქი
 ახალ იმედათ, მშვიდობით, ეხლა
 განათებული მოსჩანს ქალაქი.

რა ჩრდილი აეროპლანის
 ველებზე გადისრიალებს
 გაზაფხულის დღეს დიადი
 ტყე საიდუმლოდ შრიალებს.
 მთაკლდენი უზარმაზარნი,
 შესცემერენ: რა ამბავია?
 მთიდან ჩანჩქერი გადმოჭუხს
 თითქო გრგვინვა და ზვავია.

ველი, მინდორი, ჭალები
გადაიქცება თვალებათ
და თითქო არაფერია —
ის ჩრდილიც მიიმალება.

მოღუდუნებენ ზეირთნი მტკვარისა
სანამ ტფილისი შორით იგრგვინებს
სამხედრო გზაზე ოქროსთმიანი
ალურთოვანება მაწვდის გვირგვინებს.
მე პოეტი ვარ. ვერარა ძალა,
შენს ოცნებაზე ფიქრს ვერ ვამძერობს
„საით წაიღებ შენ ამ გვირგვინებს“?
წარსული ამბობს, წარსული ფიქრობს.
ახალ ეპოქის ვარ მე მხედარი:
დრო საქმარისი მიჩნს უკმარისად
გზად იშლებიან თმანი ქარისა,
მიღუდუნებენ ზეირთნი მტკვარისა.

შენ ჩვენი დროის არ გაქვს გაგება,
შენ გული გეწვის და გედაგება,
დიდი ხნისაა სიზმარი ტკბილი
შენ სასომიხდილს მოელი სიკვდილს
თვითონაც მწარედ სასომიხდილი.
იყავ უგუნო, იყავ თავხედი,
სხვა ფერთაკონა გჯეროდა ბედი
შენ გქონდა გული უსპეტაკესი

სანამ ზღვასავით, სინათლით მწვავით
არ აელვარდა მძლავრი ზაჰესი.

შენ მიღიხარ. შენის წასკლით
კიდევ უფრო დაგვალონე
რატომ წინად, რატომ ადრე,
სიტყვაც კი არ გაგვაგონე?
ვაი თუ გზაში დაიღალო,
თრთვილმა დაჰკრას ახალ მდელოს,
კარგი ბედის ნაცვლად ღამე
კიდევ უფრო დააბნელოს.

ორთქლმავალი სტვენს. შენ კითხულობ ტვენს
გადააგდე ის, გაიხედე წინ...
ბუჩქს შარფივით ბოლს, ორთქლმავალი ჰუენს
და გაისმის თან: რა-რა-რა-რა, ძინ!
ასწლოვანი ხე გაუპია მეხს
ქორი მიაქვს ქარს, რაღაც მიაქვს ქორს.
შეგვიძლია ჩვენ გზაზე გავყვეთ გლეხს
მის ზრუნვას და ფაქრს უბოლოოდ შორს.

მშვიდი კოლხიდის მღინარეებზე
კვლავ არის მთვარე

სწორედ ის მთვარე, „პოეტები“ რომ
 ებრძვიან მწარედ.
 საღლაც მომნიბლველ საოცარ ჰანგებს
 სტვენდა ბულბული
 სწორედ იმ ჰანგებს, რომელთ სწყევლიან
 სულშეგუბული
 და მე მივქრივარ მოვერცხლილ გზაზე
 უძღვებელ რკინად
 სწორედ ისეთი როგორიც ვიყავ
 ოცი წლის წინად.

ეს ნატვრი იყო უკანასკნელი:
 გაჰქრეს ცხოვრება მწარე და ბნელი
 როცა ზღვა აღზდგა და მის ტალღებში -
 შთაინთქა ბედი გაუტანელი.
 ხრიალ-ლრიალმა ქარიშხალისამ
 სიცოცხლის ძალა იქ წარიტაცა
 და მოელოდენ ახალ ცხოვრებას
 გარინდებული ზღვაც და მიწაცა.

ჩვენ ხომ იმისთვის გავჩენილვართ
 და ის გვაქვს მიზნად
 მივსცეთ სიცოცხლე თუ გაჰქრება
 დღე შხამიანი,

შეუზღუდველად არსებობდეს
 ამ სოფელქვეყნად
 თავისუფალი და ძლიერი
 ადამიანი.

თუნა იყავი გარემოისა,
 მონა უსახო, მონა ძლეული
 ვით იქნებოდი გვირგვინი ქვეყნის
 უსულო საგნად გადაქცეული?
 მონა მტარვალი, უგულო მონა
 უმოქმედობის და უგნურების,
 თავისუფლებამ რომ მოვაშუქა,
 ეხლა რაღა გჯის ბედის მდურებას?

მშვენიერება ეს მანქანაა
 დიზელის შუქით გასხივოსნება
 ქარიშხლის ზუზუნს ის მომავონებს
 და გამიტაცებს მისი ოცნება.

მძიმეა მეტად, დიდია მეტად
 ღელვათა ზვავი
 იგი ცხოვრებას დაადგა სვეტად
 მკაცრი და ავი,

რაღაც გრძნეულად გარს ახვევია
ხვეწნა-მუდარა
რა საჭიროა? სულს არ სჩვევია
ნაეთ საყუდარი.

მწვერვალს ჩრდილი თავს წაადგა,
მთა ლრუბელმა გადმოფარა
და მწვერვალმა შენანების
ტრემლი მშვიდათ გადმოჰყარა.
მხოლოდ როცა ლრუბლების ქვეშ
მწუხარებით ის თავს ხრიდა
მინდორჭალებს მზე მაღლიდან
უხვად სხივებს უგზავნიდა.

უზარმაზარი კლდეს მიემსხვრა
მაღალი გემი
თავისუფლების, წინმსვლელობის
დიდი ემბლემით
გარემოების გულდახშულ და
უგრძნობელ ზღვაში,
ცხრას ჩვიდმეტში ჰპოვეს იგი.
მშრომელთ ზეიმით
გამოაცურეს ნავთსადგურის
მქუხარებაში.

ვისაც სიხარულს ვუზიარებდით,
 ის ისევეა ამაღლებული
 და არ ვერწმუნოთ მას ამის შემდეგ?
 ალარ მივანდოთ სიცოცხლის გული?
 უნდა ვიცოცხლოთ, უნდა ვიცოცხლოთ!
 ცხოვრების მიზნად ის დავისახოთ.
 სულ იმედები უნდა ვიპოვოთ.
 სულ გამარჯვება უნდა ვიძახოთ.

სადღაც სადგურის მახლობლად მყუდრო
 დღე ეუბნება „მშვიდობით“ ივლისს.
 ორკესტრმა დაჰკრა ინტერნაციონალი
 და ურუანტელი სხეულში მივლის.
 მუდამ მაღლვებს ეს ჰიმნი ჩვენი,
 ეს ურუანტელი ჩვენი დროისა
 ადგილს რომ მოსწყდა კაცობრიობა
 და უფსკრულებში მიიმსხვრ-მოიმსხვრა.
 ამ ჰიმნშა დასძრა ძეველი ტაძრები
 და ვარსკვლავები აჰყარა ცაზე.
 მწერვალს მოსწყვიტა სასახლეები
 და დააქანა მოლიპულ გზაზე.
 მე მომაგონდა არ ვიცი რატომ,
 როცა ორკესტრის ჰანგი მინელდა
 გამარჯვებამდე ტერორის მომხრე
 მტკიცე რაზმები იაკობინელთა.
 მე მომაგონდა არ ვიცი რატომ
 სცენა ჰარიზის საშინელ დღეთა.

ვერსალელების მიერ მხეცურად,
 კომუნარების რბევა და ულეტა.
 მე მომაგონდა არ ვიცი რატომ
 ურანკო-პრუსიის მძვინვარე ომი
 სადგურის იქით უკრავს ორკესტრი
 და ემატება ფანტომს ფანტომი.
 აი პარიზის რიგები მუშის,
 აი გამოსვლა ტყევიის ზუზუნის,
 ჯერ გამარჯვება სიხარულისა,
 სისხლში ჩახრჩობა შემდეგ კომუნის.
 ისევ ამძაფრებს გრძნობას ორკესტრი,
 სანახაობა აღარ ახარებს.
 ლუი-რუ, მამა და კალატოზი,
 აგებს სახლებსა და ყავახანებს.
 კისკისი ისმის უდარდელ ქალთა,
 მარჯნისფერ სასმელს სვამენ ფრანტები
 აი ვის უგებს სახლებს ლუი-რუ,
 თვითონ სარდაფში განალანდები.
 ლუი-რუს რვას ორმოცდარვიდან,
 ახსოვს დღეები მწარე ივლისის
 როცა საშინელ გამძაფრებაში
 დაპხერიტეს ბევრი და მამამისიც.
 ლუი-რუ იღებს ხელში იარალს,
 იგი მიიღო მუშათა რიგმა.
 მაგრამ დაეცა მალე კომუნა.
 და სხვებთან ერთად ის მოკლულ იქნა.
 შემდეგ როდესაც კვლავ ხერეტდენ ტყვეებს,
 ქალმა კისკისამ — მოსილმა შავში.
 მოპელა ლუი-რუს პატარა შეილი.
 ის, კომუნარი, ოთხი წლის ბავში.

მე მომაგონდა, არ ვიცი რატომ,
 რუსი უანდარმი, უბრალო გლეხი,
 ბუნებით ტკბილი და გულგეთილი
 და გულუბრყვილოდ მაინც უქმეხი.
 მეფის მთავრობა მას აიძულებს
 რომ სამარცხვინო იწყოს ხელობა
 გლეხს აიძულებს ეხლა იკისროს
 ჯალათობა და ციხის მცველობა.
 და ალექსეი პეშკოვის მაშინ
 მელოდიები სჩქეფს გაზაფხულის
 ჰიმნი მომავალ რევოლუციის,
 ჰიმნი მასისთვის მებრძოლი გულის.
 და ციხეები, გამოძიება,
 სასამართლოთა განაჩენები
 გადასახლება, რბევა, კატორლა,
 და შემუსცერილი მუშათ ფენები
 თითქო მიწისქვეშ ისმის გუგუნი,
 არალეგალურ სტამბათა ბორბლის
 ცხრას ხუთი წლის მღელვარე ფონზე,
 საქართველოის მრავალი ორბის.
 იშლება პრესნის ბარიკადები
 და ილვრებიან სისხლის წყარონი,
 ორკესტრი გრგვინავს ვით გიგანტიურ
 ბორკილებისა მძიმე უღარუნი.
 ორკესტრმა დაჰკრა ინტერნაციონალი,
 ეს ხმა არ არის მშეიდი და ნელი
 კოლოსალური, ძლიერი ხმაა.
 ეს ხმაა ცხრას ჩვიდმეტი წელი.
 დიდი კულტურის ნამდვილ სამჭედლოს,
 ახალი გზით რომ მიიმართება

შეეუწყოთ ხელი აღორძინებას,
 ვუსურვოთ წინსვლა და წარმატება.
 თქვენ მარტო არ ხართ სადარაჯოზე,
 და თქვენთან ერთად იბრძეის თასი
 ჩვენი და მთელი კაცობრიობის
 გაღვიძებული მუშაოთა ქლასი.
 წადით პირდაპირ ამ გზით და მუდამ
 მაღლა გეჭიროსთ წითელი ღროშა
 ჩვენ კი ყოველთვის თქვენთან ვიქნებით
 გამარჯვებისა და ბრძოლის დროსაც.
 და კიდევ ბევრი ბრძოლის გადახდა
 ეჭვს გარეშეა ჩვენ წინ დაგვხვდება
 თუ მთელი ქვეყნის თავგასულობა,
 თავდასხმისათვის ქვლავ ემზადება.
 ხანდახან გული გექნება მშვიდი.
 რომ მოიხედავ — ბრწყინავს მზეები
 რომ გაიარა თავისი დიდი
 ისტორიული ბრძოლების გზები.
 გვასწავლა ბრძოლა და გამარჯვება
 ათასმა, ბევრმა ათიათასმა
 ვინაც შესძლო და მოიგერია
 დაუნდობელი მტრების თავდასხმა.
 სად ათეული ათასი რიცხვი,
 რიცხვი უფრო მძლე და უფრო დიდი
 წინად ჯანსალი და ლონიერი —
 დაგრძომილია და ინვალიდი.
 წყლული მორჩება. არაფერია.
 ნუ უმორჩილებ სულ მუდამ გრძნობებს
 სამოქალაქო ომის პერიოდს
 და ცხოვრებისა მძიმე პირობებს.

მსხვერპლს კი ამაოდ არ ჩაუგლია.
 ესკადრილით, ხმალით და თოფით
 კიდევ ბევრს ვნახავთ მტრის დამარცხებას
 ერთი სურვილით და ნებისყოფით.
 მუდამ მაღლვებს ინტერნაციონალი,
 ეს ურუანტელი ჩვენი დროისა.
 აღგილს რომ მოსწყდა ძეველი ცხოვრება
 და უფსკრულებში მიიმსხვრ-მოიმსხვრა.

დიდი ხანია მას შემდეგ განა
 რაც პანსიონის ჰქუბდა კედლები?
 რა ფერადებით სჩანდა ქვეყანა,
 რა რიგ გვეძახდა სიცოცხლის ხმები.
 პოეტის სული ირგვლივ უვლიდა
 აბობოქრებულ მშრომელთა მხარეს,
 ყვავყორნებს წყევლა-კრულვას უთვლიდა,
 მათზე სატირებს თხზავდა მქუხარეს.
 შენ ჩრდილოეთში გადაგასახლეს
 და, წერილებში, გული გწყდებოდა,
 გელირსებოდა ისევ ჩამოსვლა
 თუ არასდროს არ გელირსებოდა.
 მაგრამ იქუხა რევოლიუციამ,
 შენც გამოჰყევი ხომ მოძრაობას?
 მაშ სადლეგრძელო ავსწიოთ თასი:
 ეს გაუმარჯოს მებრძოლ თაობას.

ო, ამერიკა; ჩოდის იქნება
ოკეანეთა ნისლი — სუდარი
გაიფანტება და გამოჩნდება
ნიუიორკის ნაცოსაყუდარი.

ჟველა ქვეყნიდან — ქვეყნად დაუთვლელ
შენს სიმდიდრეებს უგზნებენ თვალებს,
სიმდიდრე ზღაპრულ სილარიძესთან,
სიმდიდრე დღეს რომ მრავალს აწვალებს.
ესაა კუთხე, ედგარს, უიტმანს,
უგრძნიათ ფეოქვა დიდი ხანია
„ვარ უიტმანი და ვარ კოსმოსი,
ჩემი სამშობლო მანგატანია!“

ქარხანა შრომობს, ბორბალი ბრუნავს,
წარმოებისთვის წამი არ იცდის,
საკაცობრიოდ იცვლება შრომად
ძველი ბუნავი კაპიტალისტის.
დაატრიალეთ მედგრად ბორბალი.
ამ მტკიცე ხმაში მკაფიოდ ისმის —
პროლეტარული „ალჭურთოვანება
მოახლოვებულ სოციალიზმის!

ქალაქს ალვიძებს დილის
ხალისიანი კრთომა,
ქარხნის დაზგებთან ღვივის
თავგანწირული შრომა.

გადაიტანა დრომა
 ბევრი ლელვა და წყრომა,
 მინდორს ედება გლეხი
 და ასკეცლება შრომა,
 აზრმაც დაიწყოს შვება,
 ლექსმაც დაიწყო ტყდომა,
 მთელ ქვეყანაზე ჰქუედეს:
 შრომა, შრომა და შრომა!

ლელვის დროს გემზე „ტეოდორ ნეტტე“
 ანძები დატყდენ როგორც მშვილდები
 ფიქრებს მორევში რაც უნდა კეტდე
 ერთს მათვანს მაინც ვერ მოსცილდები.
 რომ დააყარი ქარმა ფაფარი
 უზარმაზარი გორების ეტლებს
 პოსეიდონის ძველი ზღაპარი
 ეხეთქებოდა ფოლადის კედლებს.
 ასფუთიანი ჩაქუჩის ცემით
 ცა ჩემზე ცდიდა ძალთა მოკრებას
 მან დაამზგავსა მგზავრობა ჩემი —
 ცხოვრების ჩემის აბობოჭრებას.
 გადმოანგრიე შენი ზეირთები,
 რომ მხარეებმა მხარეს გაასჭროს...
 იქუხე — გასწყრი! არ ავტირდები
 არც შებრალებას ვითხოვ არას დროს.
 მე სხვანაირად ზეირთი მოვსახე,
 მზემ ჩემკენ შუქი რა მოიღერა,

ბოლოს ხომ მაინც მე შემოვძახე
 გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა.
 როგორ? მე უქმნიდი იმედებს განგებ!
 და მისთვის მსურდა ვარდების ფენა,
 მისთვის ვფერავდი მრავალჯერ ჩანგებს
 რომ მხოლოდ მტრიკოვის დამეტკბო სპენა?
 როგორ? გიგანტურ სიმებს და წყირას —
 გაუქმებული შუქი შვენოდა
 მისთვის რომ იგი უგულო ტირანს
 და ფილისტერებს ხელთ შერჩენოდა?
 მისთვის ავაგე კოშკები — მინა
 გამძლე დღეების ფოლადათ, რკინად,
 რომ გაიძვერას პოეტის ბინა
 გადაექცია საკუთარ ბინად?
 არა და არა! მრავალი სტანჯა,
 მრავალს დაუფრთხო სიმშვიდის ძილი
 ლექსი ყოველთვის იყო ხანჯალი,
 ლექსი მტრებისთვის იყო სიკვდილი.
 მოგხვდათ? იგრძენით? შევატრიალე
 თუ არა ნისლში მყოფი ბორბალი?
 იყო თუ არა ჭექა-გრიალი,
 ჩვენი დღეების ცა ნაჭორფალი?
 ა, შავო ზღვაო! ასწიე გემი,
 შუქი დაენოოს ქაფთა მოკრებას
 დაე, ქვლავ გავდეს მგზავრობა ჩემი,
 ცხოვრების ჩემის აბობოქრებას.
 მაგრამ შორს ლურჯი გამოჩნდა მთები,
 ეხლა იქ მყუდრო ნაეთსაღვურია
 წყალში შთასული არის მითები
 და ძველისძველი დიოსკურია.

ნავსალგურიდან თავდება ხაზი,
 ერთდროს აქ იდგა მრავალთ-მრავალი
 სხვა წინაპარი ჩემი, აფხაზი,
 უძველეს დროის შთამომავალი.
 გენიალური, უკვდავი ტემა!
 პოეტებს, მსხვერპლებს ტლანქი ფურიის
 მე შემიძლია მივსცე პოემა,
 პოემა ახალ დიოსკურიის.
 მასში ცხოვრება ღვივის მედგარი
 უნდა ჩაეშვა ზღვაში მსახავად.
 დახარბდებოდა თვითონ ედგარი
 იმ იდუმალი გზის სანახავად.
 ზღვის ფსკერზე ეხლაც მეზღვაურები
 ძველ კედლებისას ჰპოებენ ხვავებს
 ამოაქვთ ოქრო აუარება
 და საგანძურით ავსებენ ნავებს.
 ქალაქი წყალქეუშ მძინარი მხარის!
 როს შეღამდება ნაცრისფრად ასე
 მაგრამ სინათლე ჯერ კიდევ არის
 და ალმაცერად იშლება ზღვაზე —
 ნაპირებიდან კავკასიონის
 მოებამდე მოსავს ბინდები შავი
 მაშინ მძინარე პონტიის დონეს
 მე მიმაქანებს ფარული ნავი.
 ზღვის ფრინველების გამყივარ ხმაში
 თითქო სხვა მესმის იდუმალება
 ილიუზია! ჩვენება! მასში
 სულ ახლო, ახლო რომ იმალება.
 თითქო ეს ხმები ეკუთვნის არა
 მხოლოდ და მხოლოდ ფრინველთ გვიანებს.

მათში წყალქვეშა გუგუნებს ზარა
და ხმა ეკუთვნის ადამიანებს.

მიკუყურადებ: ისევ და ისევ
განმეორადება ხმა უცნაური
ის იღუმალი ქალაქი სფინქსი,
მექახის უცნობ აურზაურით.

ვგრძნობ თითიქო ფსკერზე ვეშვები ცურვით,
ხელით ვეხები წყალქვეშა თხემებს
წყალში დამარხულს ვიგრძნობ მომდურვით,
ნანგრევებს, ლანდებს, იღებს, სქემებს.

აქ დაფარულა მთელი კრებული,
და სიბნელეში ელავს ოვალები
ის ძელთაძველი შთამომავალი,
ის უძველესი ფეოდალები.

მათი ვერა გრძნობს ფიქრი და ბავე,
რომ მცხეთის ახლო ახალ ნათებით
ელექტრონების გაჩნდა ქალაქი
ათასეული კილოვატებით.

იყო ქალაქი, იყო საგანი —
ოდესმე მძლავრი და ალიერი
ეხლა ციფია გზა შინაგანი
და იღუმალი სიცალიერე..

„ტეოდორ ნეტტე“ ეხლა ისვენებს,
და ფრინველების დასკრპტა გუნდები.
მშვიდობით! ხსოვნათ და აგულ ფენებს
არასდროს აღარ დავუძრ უნდები.

გრგვინაც თრუსტრი, სინათლეთ სვეტი
 ხან გაიელვებს, ხან იქუფრება.
 ქარიშხალიანი ცხრას ჩვიდმეტი
 ცხრას ოცდაშვიდს ესაუბრება
 მძლავრი გამოდის ქუჩაზე მასსა
 რომ უბრალოდ სიქვას გულის ნადები
 მე ვიგონებდი სიმღერის ხმასა
 წარმოვიდგენდი: ვაჰე, ვათავდა
 შიმშილის გრძნებათ, სიცივის შვავთა
 და დანგრევათა წელიწადები.
 რევოლუციის მუზეუმიდან
 დაფიქრებული გვიან დავბრუნდი
 უცებ... სხვა ქუჩათ ყრუ სიჩუმიდან,
 მოჩვენებათა შემომხვდა გუნდი:
 — ჩვენ პოეტები
 ვართ არეული
 ვართ შინაური
 და გარეული
 ჩვენ დეპეშებით
 მივიღეთ ომი
 და ოქტომბერი
 მზა-მზარეული.
 — არა, /ჩვენია
 ბედი მთოვარი
 მიწა და ზეცა
 სწორ-უპოვარი
 ჩვენია ბედი
 და ყოველგვარი
 რევოლუციის
 მონაბოვარი.

— ნება მომეცით ბგერის
 ენა-არა მაქვს მჭევრი
 ვიყავ ბრძოლის და ერის
 მხსნელ კომიტეტის წევრი
 — ვიყავ მეხური რიხი
 და უაბრიკანტი ძელქვა!
 — მე ეკლესია ვიყავ!
 — მე ადმირალი მერქვა!
 კელავ ჰქუეს ორკესტრი, ვით წინანდელი
 სამოქალაქო ომის ტეხილი
 გაპქრა ჩეენებათ კორიანტელი
 წარსულ დღებთან გადაგრეხილი.

მაგია მზისა, მაგია მთვარის
 იყო ამ ქვეყნად თუ აღარ არის
 უჩეეულოა მაგია ზოგი —
 როს სიბნელეში რენტგენოლოგი
 ეძებს და ამჩნევს ავადმყოფ მხარეს.
 დარჩენილ ტყვიით — ტკივილებს მწარეს.
 იგი ეპოქის არის მაგია —
 მზეა, ჩეენია, ამხანაგია.

ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი
 გათეთრებული თოვლიან მხრებით
 და იყო ცხრას ჩვიდმეტი წელი
 თავის ქარიშხლით და ამბოხებით

უდგა თეთრ წვიმას ქროდენ ეტლები
 და ტრამვაების მძიმე ტივები.
 ნისლში სახლები და გამვლელები
 მოსჩანდენ როგორც ნეგატივები.
 თოვლქვეშ კი, როგორც ქსოვილი ბადის
 მრავალ მიუვალ გზებით უარული
 ათი ათასი ნაკადი გაჩნდა,
 მჩქეფი, ანკარა და მოხარული
 მიწისქვეშ გზები ვიდოდენ წყნარად
 და იქ სხვადასხვა ადგილას რგული
 ერთიმეორეს ექებდა მარად
 ასიათასი მდინარის გული.
 გადათეთრება ზამთრის დროული
 ყველას სწყუროდა ზეცა მზიური
 და აი როგორც გადანათოვლი
 მიწით აღმოსკდა ხმა მაგიური
 გზებიც გაიხსნა მაშინ, ჰიალა!
 ჰაიდა, გასწი! მკაცრი, ულევი
 მეწყერად, რღვევად და ხეტიალად
 ამოიღვარა ნაკადულები!
 რა ხანა იყო! რა უკმარობას
 ჰქუხდა და გმობდა გააფთრებული
 რასაც მიწისქვეშ ჰქვარავდა გრძნობას
 ასიათასი მდინარის გული
 არა შისტიურ ფრთხით ფარული,
 არა ოცნება და ზეფირები
 არამედ ნაღდი და რეალური
 დაპქანდა ხილი და ჯებირები
 იყო მაშინ იქ და ეხლაც არის
 გრძნობა, რომელსაც ფარავს პოეტი

მთელი სიმძიმე ეპოქის ქარის,
 ყველა მდინარე და ოქროეთი.
 რა დაუინებით, რა უკმარობით
 გაიძახოდა გააუთრებული
 რასაც იდუმალ პფარავდა გრძნობას
 ასიათასი პოეტის გული.
 და მაისის დღეს მაშინ და დღესაც
 და მომავალის ბედნიერ დროშიც
 უძლეველ გრძნობით ფრიალებს ალი
 ასიათასი ნათელი დროშის
 ბოძთან რომ ვაგონს უცდიდა მგზავრი,
 გათეთრებული თოვლიან მოხვრით.
 ამ გაზაფხულის დღეს იმავე მგზავრს
 ირონიულად და ამოოხრით —
 უფლება აქვს რომ შეხვდეს ძეელს რუსეთს
 წლების სხვა წლებთან გადამწინდველი
 იმის კითხვაზე: ის დრო სად არის? —
 სოჭვას: სადაც თოვლი შარშანწინდელი.

არტილერია,
 ტრანშეებში ჩაფლულო ჯარო
 ყველა ქვეყნებში
 თქვენის სისხლით გაწითლდა ველი
 გინდათ თუ არა
 რომ ამოშრეს
 ეს სისხლის წყარო?
 ამოშრეს ეს სისხლის
 მაშინ ძირს ომი.
 ჩამოართვით ერთმანეთს ხელი.
 ცხენოსანთ ჯარო,

მოთარეშე ქარის სისწრაფით
 თქვენ არ ხართ მტრები,
 თქვენი მტერი ხანაა ძველი
 გინდათ რომ ძმობა
 გაიჭიმოს მაგარი ძაფით?
 მაშინ ძირს ომი!
 გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი
 არტილერია,
 უცარი ცეცხლით ძლიერო
 გაუბიცის და
 მორტირების გრიალი მწველი
 იქ მიაშურეთ,
 საღაც უნდა სამაგიერო,
 აქ კი ძმებია.
 გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი.
 ჯავშნის გმირებო,
 უძლიერესს რომ უძლვით ტანკებს
 შემოაბრუნეთ
 ჯავშნიანი მატარებელი
 ნუ თუ ვერ ამჩნევთ
 ამ თხრილებში თქვენ ამხანაგებს
 რომ მოგიწოდესთ:
 ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი!
 ავიატორო,
 გამბედავო ესკადრილია
 ციდან ტყვიების,
 ყუმბარების და გაზის მღვრელი
 გზა თქვენივ დედის,
 თქვენივ დების სისხლის ჩრდილია.

ძირს მწარე ომი!
 გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი
 ინუენერებო,
 თქვენი მწარე ტეხნიკა ომის
 შხამია, რითაც
 ისუსხება ქვეყნად ყოველი.
 ის ანადგურებს
 რაც ნაყოფი რამ არის შრომის.
 მშრომელებისკენ!
 ჩამოართვით ერთმანეთს ხელი.
 დივიზიებო, კორპუსებო!
 უცდით ბრძანებას
 როდესაც შტაბი,
 მუქთახორია ტახტების მცველი
 მოითხოვს თქვენგან
 თავგანწირვას და გაქანებას
 შაგრამ არასღროს.
 გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი.
 რადიო ფოსტა,
 ტელეგრაფი, მორჩეს ანბანი
 ბათალიონებს
 უმალავდა სად იყო გველი,
 დღეს აგვისტოა.
 მსოფლიოში ისმიან ხმანი
 ძირს მწარე ომი.
 გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი.

გუშინ რა ცეცხლი სწვავდა ქუთაისს!
 დღეს რომ ტფილისაც სწვდეს იგივ ალი
 ჩვენი გული გრძნობს ცეცხლიან მაისს
 და ცრემლებს მაინც არ დაღვრის თვალი.
 გუშინ რომ ლარიბ მოსახლეობას
 გაუნადგურდა კერა და ნიში
 დღეს რომ იგივე დაატყდეს ტფილისს
 ჩვენს გულში მაინც არ შევა შიში!
 ჩვენ მივაშურებთ ლარიბ სადგურებს
 გულში არ იქნეს ლელვა და კრთომა:
 რასაც დღეს ცეცხლი გაანადგურებს
 ხეალ გულდაგული ალადგენს შრომა.
 გუშინწინ რალაც სწვაზე დავიწყეთ
 ეხლა კი მასის გრგვინვა გაისმა:
 კერძო დარღები, სიგულმავიწყე
 გადაგაეიწყოს ათმა მაისმა!..
 გვესმის შენი ხმა და გაფიქრება
 ო, გადამწვარო სახლო და შროშა
 რა თანაგრძნობით შენს წინ იხრება
 დღეს პოეზიის მაღალი დროშა.
 ჩვენ მივაშურებთ დამწვარ სადგურებს
 გულს არ ჩიდო შიში და კრთომა:
 რასაც დღეს ცეცხლი გაანადგურებს
 ხეალ გულდაგული ალადგენს შრომა.

თაობაჲ მისდევს კიდევ თაობა,
 გამბედაობის დიდო გენია,

აღმოჩენანი ახალ-ახალი,
 ქვეყნად, შეხედე, რაოდენია!
 თაობას მისდევს კიდევ თაობა,
 და მიღწევების დამახსოვრება
 ქმნის ახალი გზის, ახალი ქვეყნის
 ადამიანის ახალ ცხოვრებას.
 სხვაგან, სხვა მხარეთ განვითარება,
 რაღაც უმიზნოს მიჰყავს ღინებას
 ჩვენი ეპაქა მისწად ისახავს
 კაცობრიობის აღორძინებას.
 ეს განსხვავება უფრო მკაფიო
 სინათლითაა ნაბინდუნდები
 როდესაც მდიდარ საზღვარგარეთით
 ღარიბს ჩვენს მხარეს დაუბრუნდები.
 და შენ განიცდი დიად სიხარულს,
 სახლში, ყანაში თუ ქარხანაში
 შრომის სიხარულს, წინსვლის სიხარულს
 ჩვენის საქმისთვის, ჩვენს ქვეყანაში.
 სხვა ქვეყანაში დღის რვა საათი
 უფლებას იცავს ყველა ბრჭყალებით:
 ესკადრილის, დესანტებისა,
 ხვრეტის, დარბევის საშუალებით,
 კოლონიალურ მუშების ბედი
 ნუ დაესიზმროს ჯარს და ჯამიათს,
 იმ „კულტურული“ ბორკილის მუშა
 მუშაობს 14 და 18 საათს.
 კაპიტალიზმი სცდილობს ააგოს
 და განამტკიცას თავისი ბედი
 მუშათა კლასზე გააფირებული
 და გამარჯვებულ ბრძოლის იმედით.

კაპიტალიზმი ცდილობს დააბას
 მუშათა კლასი მაგარი ურვით
 მის ნერვებისგან კიდევ წედმეტი
 ღირებულების მთლად ამოწურვით.
 კაპიტალიზმი ცდილობს ომისგან
 მოხდენილ კრიზისს გაართვას თავი
 და ემუქრება პროლეტარიატს,
 იგი, ბურუუა, სულთამხუთავი.
 კაპიტალიზმი სხვა გამოსავალს
 ცერ ხედავს
 მუშის დაჩბევის გარდა.
 ჩვენში სხვა გვარი არის ეპოქა:
 აქ სახელმწიფოს თვით მუშა მართავს.
 ყოველმხრივი ზრდის და გამარჯვების
 თვითეული დღე არის უაქტორი
 მხარეში, სადაც მშენებლობაა
 დღეს ჰეგმონი და დიკტატორი.
 ვინა სთქვა: — საქმე სად გაიქცევა?
 ზოგია წრფელი გულის, ზოგია —
 ვერ წაუშლია გულით წარსული
 და თაოქარიძის ფსიქოლოგია.
 მეცნიერების, ტეხნიკის, ყოფნის
 და ხელოვნების დასაყრდენია
 გამბედაობა ახალ-ახალი,
 გამბედაობის დიდო გენია!
 გამბედაობის დიდო გენია!
 თაობას მისდევს კიდევ თაობა,
 გამბედაობა, გამბედაობა
 და ერთხელ კიდევ გამბედაობა!

დრო გაფაშორებს შეჩვეულ ბინას.
 ყუმბარების ხმა. ტყვიების ქროლა.
 ცეცხლის სახმილი გამოსცდის რკინის,
 ხოლო კაცის-გულს მედგარი ბრძოლა.
 ნუ დაგაღონებს, ნუ შეგაწუხებს,
 დროებითია ის მწუხარება.
 გადმოადულებს ოქროებს ქურა,
 კაცს კი ბრძოლათა ცეცხლში ტარება.

ხელში გეჭიროს სიცოცხლის თასი.
 მასში მტევნები გრძნობის ჩასწურე.
 რასაც არა აქვს სიცოცხლის ფასი,
 დალეწე, დასწვი, გაანადგურე.
 ხელისშემშლელი გაჰკვეთე ბინდი,
 ხავსს განშორების ცეცხლი აპეურე
 გათენებათა იყავ რაინდი —
 დასწვი, დალეწე, გაანადგურე.

დრო აღარ დარჩა რომ ახალი
 იწყო ცხოვრება!
 არა! ყოველი წუთი გზაა
 თავისდაგვარი.
 ამ გზაზე ბევრი თანამგზავრი
 უცდის: მომავალს,
 ბევრი გადივლის ქარიშხალი
 და ნიაღვარი.

კვლავინდებურად
 ირხეოდენ ალვის ხეები
 ცად ატყორცნილი
 ჟინვის მთები იდგენ მეფურად
 კვლავინდებურად
 შრიალებდენ ხშირი ტყეები.
 მხოლოდ ტაძარი
 აღარ იდგა კვლავინდებურად..

მხოლოდ ეს გული,
 ჩვენი გული, ისევ მხურვალე
 გრძნობდა, რა ნამი
 გადასუსხულ ველს ეჭკურება.
 მას გაზაფხული ენატრება
 და არა ცივი,
 საშემოდგომო, უიმედო
 დაუძლურება.

კმარა!
 რას გადასცერიხარ
 მდინარის ზვირთთა დენასა
 წყალმა წაიღოს წყალისა,
 ღრო ლამობს გადაფრენასა.
 კმარა
 სიზმრები ჰაეროვანი!
 შრომა სავსეა უეცარ შვებით

სიზმრებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს,
თუ გადაიარ გზას გამარჯვებით.

ვდარაჯობ იმ დროს როცა ძილიდან
გამოგაღვიძებს სულის მუდარა
რომ ხალხს ადგილი ექნეს იმ გულში,
უამბა ხანჯალი რომ გაუტარა.

მიჰქოდნ დლენი. გული არ გვწყდება
რომ რაც გვჯეროდა დლეს ალარ გვჯერა
თვალთ დევნებაშე არ გვენანება
ის აღმაფრენა, ის გულის ძერა.

ცხოვრებისათვის ძეელ იღმაფრენით,
საუკეთესო ახალში ვცხრებით
ვიპოვეთ გზები და ამ ღრმა ჩრდენით
სიცოცხლისაკენ მივეშურებით.

ვიპოვეთ ქვეყნად ჩვენ მეგობრობა
და სიყვარულით გამობარი სხივი,
თანამედროვე ცხოვრების გრძნობა,
მუდამ მართალი, მუდამ ხანგრძლივი.

ნუ თუ ლირს დროთა კველავ მოგონება
 წარსული წყლული რომ განიახლო?
 არ გიცხოვრია შენ ქევყანაზე,
 შენ გაიარე სიცოცხლის ახლო.

შენ აარიდე ყველაფერს თვალი,
 არ დაგინახავს წრფელი ღიმილი
 ყველაფერს ირგვლივ ჩაც კი რამ გერტყა,
 შენ დასცინოდი მშვიდი, გულგრილი.

სასწაულს, რასმეს, ელოდა ჟული,
 გიუურ ღიქრებით, იკლავდი შენ თავს
 შენ ვაიარე სიცოცხლის ახლო
 და სიცოცხლისთვის არ შეგიხედავს.

ყველაფერს მისწვდი შენს სიცოცხლეში
 ბედნიერებით სიცოცხლეს გარდა.
 რომ შრომა არის ბედნიერება —
 ეერ იგრძენ — ისე დაეშვა ფარდა.

ქველი ქვეყანა! ნიშნად იმისა,
 რომ მკაცრი იყო შენი სიმრუდე

შენს იდეებში ობობა ხლართავს
ქსელს, და მიკიოტს ჩაუბამს ბუდე.

როგორც მინდვრებში პიონერები
ნაღარასა სცემს და ბუქს აყვირებს
შეფარებულა შვლის ნუკრი თხემებს
და უცნაური ეს ტმა აკვირვებს,
ისე სოფელის სმენას აოცებს
ხმა უჩვეულო ხმა გადაწნული
ჯერაბნახული გამოგონება,
სიტყვა რადიოს ყელში ჩასმული.

ცა პირიდან წვიმის აქცევს
სერავს ელვის ნათებას,
ყურადღებას არვინ აქცევს
მის სამხედრო მზადებას.
ტყეში კრთომა არის ნუკრის
და გრიგალი ამავე დროს
ველად დაძრწის და თავს უყრის
თავის ძალებს სამხედროს.
გაპქრა ძველი დუბეითი
იბრძვის განამალები
საპაერო და ქვეითი
დარაზმული ძალები.

ჩვენ დავხედეთ საზეიმო დატას.
 გაზაფხული დაჩნევია მიწას
 ოპტიმისტურ ფერადებით ხატავს
 პერსპეკტივებს მომავალი დღისას.

უნდა ბოლო მოეღოს
 ამ წყრომას და ვაებას
 ყველა ქარხნად გავიდეს,
 ყველა მტვერში ჩაებას.

კაპიტალიზმის ობი,
 აბა რისაა მდომი,
 სად გავარდება თოვი,
 როდის იფეთქებს ომი.

ქუჩებს დროშები მოეფინება
 და გაბრწყინდება სახეთა ლვარი
 ინტერნაციონალის სიმღერით წავა,
 ამ ქალაქებზე მუშათა ჯარი.

ფერადი ფერით შეიმოსება,
 ყველგან სახლები გიგანტიური

შველგან ელვარე გაზაფხულია
და ვარდებია ყველგან მზიური.

პროლეტარიატს შუბლზე ჰეჭენია
ცხარე ბრძოლების ალი ჩქერებად
ბედნიერება შეიქნეს ქვეყნად —
სოქვა და იქნება ბედნიერება.

ჩვენ შევეჩვიეთ ბრძოლაში ყოფნას
სიცოცხლით, მთელი შემოქმედებით.
თავზე ტყვიები დაგვთარდატებდა,
და გატაცება უოლალის ფრთებით.
ჩვენ შევეჩვიეთ ქარს და ქარიშხალს,
ბავშობიდანვე ჩვენი ცხოვრება
იყო მარტოდენ რევოლიუციის
მქუჩარე ძალთან დამეგობრება.
რომ გაგიჟებას გავდა დღეები,
მრავალფეროვან წამთა ფერხულში
წინ მივდიოდით და იმედები
გამარჯვებისა ხარობდა გულში.

დღეს გავიმარჯვეთ!
დღეს გავიმარჯვებთ.

აშგვარად ვფიქრობთ ჩვენ ყოველ დილით
 და სიღამოხანს კვლავ ვიკრიბებით
 აღფრთოვანებულნი დროით განვლილით
 ეძალებიან მოგონებები
 გაზაფხულისას გრძნობებს რჩეულებს
 რა სიხარულით, რა სიამაყით
 ვათვალიერებთ ახალ რვეულებს.
 ერთი სტრიქონიც იქ ვერ ვიპოვეთ
 რომ იმედებით არ სძგერდეს გული,
 ყოველ სტრიქონზე შრომას დაუსვამს:
 გამარჯვებული გამარჯვებული.

წინად მეტეხის ბურჯი
 და ნარიყალა აგეს
 ეხლა მძლავრი და ურჩი —
 სიტყვა ეჭუთვნის ზაგესს.
 სიბნელე? არასდროს, არასდროს!
 სიკვდილი წყვდიადის ჩრდილებს,
 სინათლეს გაუმარჯოს,
 სინათლის ყვავილებს.
 დრო მიღის ნათელ გზით
 რომ მტრობა დათრთვილოს,
 სალაში ახალგზით
 გაერთიანებულ საქართველოს.
 სიბნელე? არასდროს, არასდროს!
 სიკვდილი წყვდიადის ჩრდილებს.
 სინათლეს გაუმარჯოს,
 სინათლის ყვავილებს.

პაპას ზღაპრები შემოელია,
 დიდედას კიდევ ამბები ძველი.
 სიტყვა უკუთვნის ეხლა პიონერს,
 ხვალ რა მოხდება — კარგი თუ მწველი?
 მეურმეს გზაზედ წყნარი სიმღერით
 წისქვილისაკენ მიაქვს ხორბალი.
 კოლექტივებზე ჭრიალებს ღერძი
 და ტრაქტორებზე მღერის ბორბალი.
 ზამთრის ღამეა. სიჩუმის სახით
 გაწითლებული დაღის ყინული.
 დიდი ზამთარი დაგვიდგაო წელს.
 გზა თოვლითაა გადაზეინული.

ო, საუცხოვო ახალი წიგნი!
 ადამიანურს ვამჩნევ მის თვალებს.
 ვერავითარი სიტყვის მოსმენა
 უფრო ძლიერად ვერ გამაწვალებს.
 მე არ ვკითხულობ ვისია გული,
 და სიხარულის ცეცხლი ვისია.
 ჩემთვის ამ-მარად მშვენიერ წიგნის
 აღფრთოვანებაც საკმარისია.

არსად ჰქვდება წვეთი ოფლის.
 ჩვენ ხომ ჩვენის ქვეყნად მშობლის,
 ნაწილი ვართ წუთისოფლის
 სამუდამო, განუყრელი.

და ჩვენს ირგვლივ რაც კი ხდება,
ჩვენს გულებში იხატება.
და ისევე — ჩვენით ჩნდება
რაც კი არის. ჩვენ ვართ მქმნელი.

თვითონ ღელვაც როს ნელდება,
და სიცოცხლე ჭვესგნელდება
ის არსებობს. თუმც არ ჩნდება
და ღუმილი ფარავს ჭაობს.
მარად, მარად ჩვენი გული,
ბუდით საზღვარს გადასული.
იღტვის, სცოცხლობს და მოძრაობს.

დაფარული შედეგებით,
შედეგებში ბედს ვამწვავებთ.
სიცოცხლეს არ ვაშორებთ თვალს.
ნიადაგზე ვაყრით ხორბალს,
და ამ გვარად ყოფნის ბორბალს
ისევ ისე ვამოძრავებთ.

რადიოს ფრთებით დაპქრის სიმღერა,
ფრთხილი რუპორით გაღმონაცემი.
იგი იღვიძებს, იბრძვის, გრიალებს
ის სიმღერაა შენი და ჩემი.

გამარჯვებული ბრძოლების რიგით
მიღიან დღენი, მიღიან თვენი,
წელიწადები და საუკუნე.
და ის სიმღერა ჩვენია, ჩვენი.

ღამის ქალაქი,
გამოაღე სწრაფად ფანჯარა.
რომ ახმაურდეს
ტრამვაის და ეტრების ჯარა.
აღტაცების ხმა
მოიტაცოს და შემოღვაროს,
ლორთქი შუქები
მაგიდაზე მიჰყარ-მოჰყაროს.
ნათელი იგრძენ
და მუსიკის ხმობა მეშურე,
გამოერცვიე,
გამოფხიზლდი და გაეშურე.

ხარობს ღრუბელი
დაყრდნობილი ტყეების წარბზე
ქალაქისაკენ
მიმავალ ქალს რომ იცნობს შარფზე,
კისკისებს
შეოლის მოაჯიროან სოფლელი ქალი.
თავისუფლება,
სიხარული! გააღე თვალი!

შენ გძულს მთაბარი? გამოერკვიყ!
 ნუ დაატარებ წამებულის ჯვარს,
 შენ ყურს არ უგდებ ინტერნაციონალს,
 ეგ იმიტომ რომ მასსა არ გიყვარს.
 წითელი დროშა არ გიმონებს შენ?
 გაზაფხულისას არ ემონვი ქარს?
 აჰ, უსაფუძვლო რაღაც შეიქმენ!
 ეგ იმიტომ რომ მასსა არ გიყვარს.
 შუალამდსას მწარე დუმილში,
 შენ უზაპესოს დასცერიხარ მტკვარს.
 გამოერკვიყ. ასე არ უნდა.
 ეგ იმიტომ რომ მასსა არ გიყვარს.
 ვინ უწყს, რამდენჯერ ამოიხერებ,
 და უცნაურად აამლერებ ქნარს.
 შენ სიცოცხლეში არავის ეძებ?
 ეგ იმიტომ რომ მასსა არ გიყვარს.
 შენ ყურს უგდებდი განცვიფრებული,
 და ეხლაც ისევ ისე გწადია
 ადგილი სადაც მყუდროებაა,
 სად დანგრეული ბარიკადია.

ის ყველგანაა, მთელ მსოფლიოში.
 ბარიკადებზე კლასს ებრძვის კლასი
 იცვლება, მიდის და ისევ მოდის
 მებრძოლთა წყება ათას-ათასი.

ყური დაუგდე ქარხნების გუგუნს,
ძველი ქვეყანა ჰქონება ვით ჩრდილი
უნიადაგო ჰქონდა სიცოცხლე,
სამარადუამო ექნეს სიკვდილი.

წარსულს გუნდგუნდად გადაეფარა,
შავი ყორნების და გახრმნის სუნი
მხოლოდ განახლდა და ისევ სცოცხლობს
კარგი გუგუნი, შრომის გუგუნი.
კაგშირმა, კლასმა მასში გახვია
თავისი სული, თავისი გრძნობა,
წელიწადები წელიწაფს შეცვლის,
შთამომავლობას შთამომავლობა.
შრომის უწმინდეს სიდიადეში
დარწმუნდებიან მუნჯნი და ყრუნი,
სანამ ჰქუნს ახალ საქართველოში
მძლავრი გუგუნი, ქარხნის გუგუნი.

ელექტროსადგურს აშექებს მთვარე,
ელექტრონისთვის ხსნა ქვეყნად არი.
დაუსრულებელ მდინარეებზე,
დაუსრულებლად ელავს მეღვარი.
მას ენატრება გამოძახილი.
ის გაჩუმდება და დაუგდებს ყურს,
მღელვარე გუგუნს მოუცავს არე,

მღელვარე გუგუნს მოტორისებურს.
 თესავს და თესავს. თან ნელი
 ხმით მხიარულად ლილინებს,
 სწამს მხოლოდ შრომა მძლეველი,
 მოსავლით დააგვირგვინებს.
 გრძნობს, თესლი სად დაეცემა
 სალ კლდეზე თუ ლალ მიწაზე
 თესავს და თესავს თან მღერის
 მთესველი მხიარულ ხმაზე.

მიდიან, თუმცა ძალუბთ ისევე
 გაფეამხნევონ და აგვიძრან ძალა.
 მიდიან, რომელთ სული არა აქვთ
 ძალი და ლონე გამოეცალა.
 მოდიან, ვისიც სიცოცხლე, გვინდა,
 აქ მრავალთათვის იქნეს მალამო.
 მოდიან, მოაქვთ ახალგაზრდობა
 და სიხარული სამარადჟამო.

ქალაქისგარედ, როს ძმაბიჭურად,
 ერთად ხელიხელ გადახვეული.
 კარს მოადგება ახალგაზრდობა,
 გესმის არღნების ხმა დამტვრეული.
 მათი იღუმალ ფიქრთა ნაყოფი,
 მათი ცხოვრება და მათი გული,
 შენთვის სამუდმოდ გასაგებია

როგორც ჰიცოცხლე და სიხარული.
 არ დაფიქტდები: ახალგაზრდობას,
 შენ რომ ვენვევა ირგვლივ ჩრდილებათ
 თუ კი უყვარხარ— რად გიღერს დანას,
 თუ სძაგხარ რისთვის გემორჩილება?
 როდესაც ვნების მკაცრი გრიგალი,
 თხოულობს შენგან სრულ თანაგრძნობას,
 გკოცნის, გავართობს, გეალერსება
 და ფეხქვეშ ვიგებს უსაზღვრო ტრუობას,
 რა შუაშია მერე ხანჯალი,
 მერე რომ სისხლით ავივსებს უბეს.
 ამდროს სადღაც შორს გრგვინავს ორკესტრი
 და ელექტრონი აჩალებს კლუბებს.

დღენო მშვენიერ სიყმაწვილისა!
 აწ გარდასულნო სიმღერის დრონო,
 ბევრი რამ დარჩა თქვენგან ძლიერი,
 მაგრამ რომ დარჩა, არ მოვიგონო?
 ო, აღელვებულ დღეთა შვენება!
 მრავალ ახალთა იმედთა მფენო,
 ბევრი რამ მომეც დაუვიწყარი.
 არ შემიძლია, არ გაგიხსენო.
 იდუმალ ფიქრთა სახიერება,
 თქვენს მოვლენებში ჩემთვის სრულია.
 ბედნიერება წარმავალია.
 სიცოცხლე მაინც სიხარულია.

წვეთი წვეთებზე გადადის,
 წვეთი წვეთებზე ირჩევა,
 ერთ ადგილას სცემს მარადის,
 და ქვა შუაზე ირღვევა.
 ეს დაუინების წყურვილთა
 მარადისია განგება
 როდესაც გული ძერლისძველ
 ფიქრებით დაიუანგება.
 სინათლეს უშვებს წვეთწვეთად
 კატაკომბებში სანთელი
 გული შუაზე ირღვევა
 როგორც ცა გასალანდელი.

იმედთა ძებნა გულის სილრმეში,
 მე არასოდეს არ მომწყინდება,
 მგრნია, არვინ არ გამილიმებს.
 უეცრად: შუქი გამოპრწყინდება.
 მადლობელი ვარ, ჩემო ვარსკვლავო,
 სხვა ვარსკვლავები შენთან მერთალია,
 ჩემთვის ეს შუქი მოულოდნელად
 ალმოჩენილი კაპიტალია.

სიმღერა ახალ სახლების ახლო.
 იყოს ასფალტის გასხიერასნერა,
 ახალგაზრდული ალფროვანების,
 ვინა სოჭვა, თითქო მოკვდა ოცნება?

გაზაფხულისა დღეთა ძლიერი
 ნაკადულები გულს არ ელევა,
 ვიპოვეთ ჩვენი დაკარგული ცა,
 და ჩვენი მიწის ამეტყველება.
 აღმოვაჩინეთ ახალი მხარე,
 სადმე ქ. გულის ახლო ეფლობა,
 რომ გიგანტიურ კიბეებს აჰყავს
 ახალ სიმღერათ აღმშენებლობა.

ბედო, იმისთვის იყავ მდუმარე —
 მფლობელი იყავ, მე კი სტუმარი?
 დრო მცინარეა და მოხუმარი:
 მე მიმღები ვარ, შენ კი სტუმარი.
 გამოასწორე, ჩქარა, კუმარი,
 ნაწვიმარი და ნასამუმარი.

მნათობი დადის ჩირალდნით ხელში,
 თავზე დაადგა ჩვენს საქართველოს,
 მისი დიდიხნით დაჭრილი გული
 რომ გაიგონოს და გაამრთელოს.
 ჩანგის სიმებო! იულერეთ მარად
 სპეტაკ ახალის აღმაღვენ უინით.
 მიმოიჭინოს ჩვენი ქვეყანა,
 უბრწყინვალესი შრომის გვირგვინით.

ტბის ბროლება ელექტრონის
 სიცილს იჭერს
 არაგვიდან ატრიალებს
 შუქთა გიშერს.
 აქ ახალი სიხარულის
 ხელმა ჩადო
 კილოვატთა ფოლადის და
 რკინის ჯადო.
 და მაღლიდან ცისარტყელას
 ალთა ცემა
 მუდამ მძაფრი და ნათელი
 არის - ტემა.

გაბედე გულში ჩახედვა,
 იქ ნაპერწყალი ცივდება
 მალე სხივები გრძნობისა
 ფერფლებად გადაცეივდება.
 უჩქარე ისევ გაღვიცდეს,
 უჩქარე ისევ აენთოს,
 ის საჭიროა ბალხისთვის
 რომ სიბნელის დროს დაენდოს.
 ხალხი ჯერ ტკივილებშია,
 ოდნავ მოშუშდა იარა,
 იქ ხომ მძლავრმა და მქუხარემ
 გრიგალმა გადაიარა.

გრიგოლო, შენი ძლიერი ქროლა,
 მიწას ანებებს შუოთიან საფარს,
 უდაბურებად გაშლილ სივრცებს
 დაჭრილ ლომივით მიაფენს ფაფარს.
 რა აღტაცებით, რა სიამაყით
 აღაგებს ბინას ნაპრალთა შორის
 შენთა ლელვათა გამოძახილი,
 დაიგრიალებს მეხი მთაგორის.
 სვეტად ავარდნილ ლრუბელთა ცაში,
 გასწვრივ აენთე და აგუგუნდი
 რა საარაკო სანახავია —
 აურიალებულ ყორნების გუნდი.

მაშ გაუმარჯოს, დღევ დღევანდელო
 შენს შეუცდომელ და მტკიცე რწმენას,
 ჩვენ ხომ გსცდილობდით ბედნიერების
 თავისუფალი შრომით შერჩენას.
 ჩვენ ხომ გვინდოდა აქ ნაპერწკალი
 ქურის გულიდან ამორლვეული
 ანთებულიყო თანაბარ შუქით;
 ძირს, ძირს სიბნელე! იყოს წყეული!

ხანდახან, როცა გაზაფხულები
 უახლოედება ჩემს მხიარულ სულს,
 მინდა ვიმღერო, როს იდუმალი
 ძალა შუაზე სწყვეტს ამ სიხარულს.

რა მოხდა? ქარი, ქარიშხალია?
 როგორ უარვყოფ ძალას ამ ხმისას?
 დიდიხანია რაც რომ იმგვარად
 არ-უმღერია ჩანისლულ მიწას.

დაე, შეებას მკაცრად ჯარი ჯარს,
 ვიცი განანოთ ქცევა უცვლელი,
 სულყველამ იცის რა გვირჩევნია,
 თბილი საწოლი თუ ბრძოლის ველი.
 ულტიმატუმი? ძალიან კარგი!
 უნდა დაინგრეს სამყარო ძველი!
 შენ იმუქრები — თბილ საწოლიდან,
 სად საწოლი და სად ბრძოლის ველი?

ეს გაზაფხული გამძაფრებული,
 პატიმრობისას გაარღვევს საკანს
 გახარებული ხელის კანკალით
 არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს.
 გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი.
 მფეთქავი ძალა არეს ჰერენია,
 სულ რომ არ იყო ქვეყნად ლიმილი,
 შეხედე ეხლა რაოდენია.
 მჩქეფარე წყაროს, ამოყრილ ხეებს,
 მათ განახლებას ეუბნება ბანს
 ეს გაზაფხული უხარებს დღეებს
 და არხევს ახალ სიცოცხლის აკვანს.

დღემდე შენ თუმცა გქონდა
 სასოწარკეთა მწერლი
 მას მწუხარების გველი
 ტკიცილებისგან ღრღნიდა
 მაგრამ წამება დიდი,
 დაგუბებული გულში —
 საშუალებას გვერიდა —
 გამწარების და წყევლის.
 ის მწუხარება დარჩა,
 მაგრამ ემსგაესა საფლავს,
 ჩლუნგი, დახშული, ცივი —
 გადაეფარა ოჯახს,
 ის მოძრაობას ბოჭავს,
 ის ნებისყოფას დამბლავს,
 იგი მომავალს ავსებს
 გაუშუქებელ ლამით.
 თან შემოდგომა დადგა,
 თან წამოვიდა წვიმა,
 ქარმა დაპბერა უცებ,
 ბალიც გაშიშვლდა უცებ,
 გულდარდიანი ისმის
 ახმაურება ხეთა.
 ლამეებია ბნელი,
 ლამეებია ცრცელი.
 უცებ დაბრუნდა შენთან,
 გადაკარგული სადღაც,
 ეხლა გამხდარი, ჩუმი,
 და ავადმყოფი — იგი...
 ვერ გადაურჩა ყინვას,
 ვერ გადაურჩა სირცხვილს,

„აი დავტრუნდი“ — ამბობს.
 „დარჩი“ — პასუხი შენი.
 მხოლოდ ეს იყო თქვენში.
 არც ერთი სიტყვა მეტი.
 არც ერთი სიტყვა წარსულს,
 არც ერთი სიტყვა მყობადს.
 ერთიმეორის თვალწინ
 საბედისწერო დღიდან
 თქვენ ერთ ბინაში სდუმხართ
 და რაღაცაზე ფიქრობთ.
 თქვენ შეიძლება უცდით
 სასწაულების მოსვლას,
 როცა გათბება გული
 პატიებით და გრძნობით:
 ან აღტაცებას უცდით?
 მაგრამ ამაო ცდაა.
 თქვენ ერთ ბინაში სდუმხართ
 და რაღაცაზე ჰეიქრობთ.
 იქნებ გასრესილ ფიქრად
 მოგეზმანებათ თავი
 ერთი მეორეს უცქერთ
 და მხოლოდ ამას ჰეიქრობთ;
 შენ: ხომ დაამხვე ჩემი,
 ცივი ტიკინა, ბედი?
 ის: რომ გასრისე, გველო,
 ახალგაზრდობა ჩემი?
 თქვენში რომელი სტყუის?
 ან რომელია წმინდა?
 გამოიღვიძეთ, კმარა!
 ყოფნას გაპხედეთ ახალს.

გაიფანტება ჩრდილი
 გარდამავალი დროის.
 საქართველოში, გრძნობდეს,
 ყოველი ჩუმი სახლი.

რევოლიუცია თავისუფალი,
 მთქმელი სიმართლის დაუფარავის,
 ძლიერი სული გაბრწყინებული
 არ ემონება ქვეყნად არავის.
 მხოლოდ სიმართლემ დაიმონავოს,
 ეს გაქანება, გრძნობა, გონება,
 ბევრმა არ იცის რა რიგ ტკბილია
 ეგ მძიმე ხუნდი და დამონება.

შრომით ისევ აღდგენილი
 თვალუწვდენი შინდორ-ველი
 შენი დიდი სიხარული
 და შვენება შეუცელელი,
 შენი ხევი და გორები
 შენი მთა და შენი სერი —
 იყოს მრავალ, მუდამ მრავალ,
 კიდევ მრავალუამიერი.

იქ საღაც მთანი დარაჯად დგანან,
 ბიბინი გააქვს ზურმუხტის ჭავლებს
 საღაც არწივი მწვერეოლებიდან
 დიად ბუნებას ხარბად თვალს ავლებს,
 საღაც ფაზისი მოქუს და გრგვინავს
 ხან მკაცრი; ხანაც დალონებული
 დიდიხანია შრომის სახლი დგას
 ძებნათა ეშხით დამონებული,
 დრომ რომ წაიღო უბოროტესმა
 აქ საწმისია ძმ ოქროისა
 მოვდივართ ახალ აღმოჩენისთვის
 არგონავტები ახალ დროისა.

დაჰკარ, ორკესტრო! გული გააპე,
 ნაპერწყლებია დღეს ყველას გულში
 ეხლა განათლდა მის ჯურლმულებში,
 იმის მაისში და სიხარულში
 თვითეულ შუქში, თვითეულ ქვაში,
 დაუძლეველი ლალადებს გრძნობა:
 ინტერნაციონალთან, ინტერნაციონალთან,
 გვჯერა ალსდგება კაცობრიობა.

შენ მიატოვე მონობისაგან
 გაგდებლილი გზა. და გზა ნაცადი.
 ახალ ბრძოლებში კი გამარჯვება
 შენი ხვედრია, იარე, წადი!

ო, არ გატყდება არსად ეგ ნავი,
 შენ შეგიძლია ტალღებთან შებმა,
 არ დაივიწყო რომ მოგაწყევლეს
 და სხვა სიტყვები გისაგზლეს სხვებმა.

გებოფა ლურჯი ნაკადი ცისა,
 ხალისიანი და გამჭვირვალე,
 აი ეს თასი, ბრძოლათა თასი..
 თვალი დაპუშე და გამოსცალე,
 დაჩუმდი, კმარა! მალე გაიგებ
 სხვა ოცნებისა იღუმალ ძერას,
 იქ, სადაც დროშა აღიმართება,
 იქ სადაც სისხლი დაიწყებს ჩქერას.

გაბრწყინებული სიმშვენიერით,
 მახვილით ხელში, დღის გათენება
 აღმოსავლეთით სდგას ანთებული,
 ხალხის ნუგეში და მოსვენება,
 აღმოსავლეთით, აღმოსავლეთით!
 თვისუფლებას ეძახის ქნარი
 ფიქრი თვალს აწევს ზრუნვით აღვსილი,
 იზრდება რისხვა და ნიაღვარი.

დღემ გაიარა, დღემ გაიარა,
 ლაქადან ლაქას, ფერიდან ფერზე,
 არც უჩვეულო შრიალებს ქარი,
 არც ავი სული ხრიალებს სერზე
 არც ფერიაა, რომ სასიამო
 ამბავი ჰქონდეს რწმენა-სიმტკიცის -
 დღემ გაიარა, ისვენებს შრომა,
 და მომავალიც მან შრომის იცის.

ყაყაჩოების გუნდი!
 საჩრდილობელი ფარდა,
 აყვავებული წალო,
 ბრძოლის დაუმცხრალ უინთა.
 გაპქრა ბორკილი, ხუნდი.
 გაპქრა ფრიალი ფართა.
 ქვლავ განახლება, ქარო,
 გვწყურის, ვეძიებთ, გვინდა.
 გვწყურის, ვეძიებთ, გვინდა!
 არ გვენანება შრომა,
 ის მოწითალო კიდე,
 მსგავსი ელვარე ქურის,
 კაცობრიობა წმინდა,
 უსამართლობის კედომა
 კიდევ, კიდევ და კიდევ
 გვინდა, ვეძიებთ, გვწყურის!

როგორ არ იცი თუ რა ძალაა —
 შრომაში მარად დაუთრგუნველი,
 კარგია შრომა ახალგაზრდული,
 თავგანწირული და უზრუნველი.
 იმედი კიდევ, ბევრი იმედი,
 გზა სხივოსანი მომავალისა,
 ეს სამუდამო აღტაცებაა
 დაუთრგუნველი შრომის ძალისა.

მწარე წარსულო, იგრძენი, შენი,
 გადამტყდარია ბედითი მშეილდი,
 აწმყო შრომაა, და მომავალო
 შენ მხოლოდ შრომის დაუმორჩილდი.

ხვალ მაისია. რა სიხარულით
 ჩენ გავალთ ხალხში აფრთოვნებული.
 სადაა მტერი? ისევ მაისმა
 მას სასიკვდილოდ გაუპო გული.

ხვალ მაისია. წითელ დროშებით
 და ყვავილებით გამოვა მასსა,
 ის ლირი იყო გამარჯვებისა,
 მაისმა გრძნობა გაუალმასა.

გახსოვთ? რა ქარჩა გადაიარა
 ეელი ბრძოლისა მძლავრად ფარ-ახდით.
 რა სიძლიერით ყოველმა მხარემ
 დაიგრიალა: შეიარაღდით!
 თითქო საზღვრები გადაიშალა.
 ორი ქვეყანა გიგანტის ტოლა
 გაიყო ორად და გაიშალა
 ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა.
 მახსოვს ბრძოლისგან ნანთები სახე
 და ავარდნილი ზეცამდე ალი
 მწარედ დაჭრილმა მე თვითონ ვნახე,
 ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.

ვინ იფიქრებდა იმნაირ დროში:
 ყინვა, ქარბუჭი და ცეცხლის ალი
 რიგებში ხელში წითელი დროშით
 ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.
 გადიშალეს ცეცხლის ზოლთა
 უამი ბრძოლით შელახული,
 სიმტკიცე და სცე მებრძოლთა
 ჩვენს გულშია შენახული.
 გულს თუ კარი დარაზოდეს
 გადაქცეულს ბრძოლის ხმადა
 არ მსმენია არასოდეს
 მე იმგვარი კანანადა.
 ასე გასჭრას ჩვენმა ბედმა
 თუ არ არის ძველებური
 დაიმღეროს კიდევ გელმა

ცეცხლი გადაჭენებული.
 რაღა დარჩა ძველ სამყაროს
 მეგობრად რომ მოაჟეს თავი
 და სურს ჩუმად გაგვითხაროს
 ფეხქვეშ მიწა და საფლავი?
 ო, სირცხვილო, თუ მონებად .
 შევუქმნივართ ჩვენს წინაპრებს
 განა კი ლირს მოგონებად
 თუ დაუშვებთ ბრძოლის აფრებს?
 კარგო ქალო, ხსოვნა შენი .
 სხეულთან არ დამარხულა,
 საგმიროთა საქმეთ მჩენი
 ხალხის გულში შენახულა.
 ვინც გიგონებს ასე ამბობს:
 გამარჯვება დარჩა გულსო
 იგი გვანთებს, იგი გვათბობს,
 ქარიშხლებით დალალულსო.
 შენ მუდამ ხარ და, და დედა,
 ეხლა აღარ შეწუხდები
 თუ ქვეყანას გადახედავ
 და ახალი გესტის ხმები.
 ქალებს ეხლა იგივე აქვთ
 საამაყო მზის შვენება
 ის გმირობა კიდევა სწამთ
 და იგივე ძლიერდ გრ
 მათაც შერჩათ და გრც ძველად
 გიტაცებდათ, ცყო ისმი გხვევდათ
 ჩვენი დროის სა გაცელად
 მუდამ გგრძნობა უდამ გხედავთ.

იგი ქარხანის ერთგული შვილი
 ხალხისთვის გულსაც კი გაიპობდა
 და მანქანების გრიალი ტკბილი,
 ქალის ფიქრებთან მუსაიფობდა.
 თითქოს მუსიკის ჰანგების შრიალს
 მოტორი მხრებზე გადაიფენდა
 ღვედების რბენას, ბორბლების ტრიალს
 უსმენდა და ჰანგს მშობლურს ისმენდა;
 მაგრამ ელვარე ხმალმა გალესა,
 შვილის და ყველა შვილების ბედი
 უცებ გაისმა ხმა გრიგალისა
 ქარხნებს მიაწყდა ცხრას ჩვიდმეტი.
 „გასწიე, წადი—ისტუმრებს ის შვილს—
 მტერს ნურას დროს ნუ შეუშინდები
 და უნანებლად იდექ იმ ადგილს,
 სად შენი ძმების ისმიან ხმები.
 „რა საჭირო! მდიდრის ქადებზე
 არ გაიცვლება თავისუფლება
 ყოველი გმირი ბარიკადებზე,
 დოველი გმირი დროშასთან ჰკვდება“.
 ქუჩაზე იდგა. თოვლის ფენობებს
 ხმაური სდევდა მძაფრი, მრღვეველი
 სულ ახლო ცეცხლი ედო შენობებს
 და კაკანებდა ტყიისმფრქვეველი.
 ქალის სახეზე იყო შთეს ძვე
 იმ ქარიშხალთა ძლიერიც გხვე
 ფიქრი მის შობლზე გად გხვე
 და ერთად ერთი საქვეყნის გუნვა.
 მეხუთე დღეა ჩაც განცდის შუქში
 მებრძოლი შვილის სახე ტრიალებს,

უმაგალითო ბრძოლის ქარბუჟში,
 სხვათ მისწრაფებების ის იზიარებს?
 ვინ იცის იქნებ სასირცხოდ შვილი
 გასაჭირს ასკედა და მიიმაღა?
 როდესაც მის წინ იდგა სიკვდილი, -
 იქნებ ლაპრულათ დაჭკარგა ძალა?
 არა და არა. მტერთან ბრძოლაში
 არ შეშინდება იმ დედის შვილი,
 იგი მუშაა, ქურების ალში
 ჭირნახული და გამოწროთობილი.
 რა არის მასთან სხვა ძლიერება,
 თუნდაც ვაება, თუნდაც სიკვდილი?
 სულის სიმტკიცე და სრული ნება
 სიყრმიდანვე აქვს თანდაყოლილი.
 ასე ფიქრობდა ქალი, როს ფერთა
 შემოიხვია სალამომ ჩრდილი,
 სახლთან საკაცით უცებ გაჩერდა
 ძველი, საბარგო ავტომობილი.
 დედას საკაცე სისხლში მოსცრილი
 შვილის სიკვდილზე ეუბნებოდა,
 ბარიკადებზე დაეცა შვილი:
 იცოდა ასე რომ მოხდებოდა.
 ქალი იგონებს გულგანგმირულ შვილს:
 არ სტირის გული განაგრძობს დაგვას
 ო, როგორ მწარედ გრძნობს იმის სიკვდილს;
 ო, როგორ მწარედ გრძნობს ამ დაკარგვას.
 გრძნობამ, რომ იყო ის ღირსეული,
 დედის თვალთაგან გაფანტა ნისლი.
 არ წყდება ბრძოლა ცეცხლმოდებული,
 ბარიკადებზე იღვრება სისხლი.

„პირველად ქრემლთან მოგვისწრო მტერმა,
 და ქარიშხალი დატრიალა,
 უჩვენი. სიმტკიცე რომ იგრძნო მტერმა,
 თითქო, ასე ჩნდა, დაჰკარგა ძალა.
 „მაგრამ როდესაც მან შეამჩნია
 ჩვენი სიმცირე და სიცოტავე,
 მოჰკრიბა ძალა რაც კი გააჩნდა
 და ცეცხლი ისევ გაჩაღდა მწვავე.
 „რაღას ეიზამდით. ოცი ერთ მუშას
 მოპირდაპირე ხვდებოდა მტერი,
 რას დააკლებდა მტერი ამ ხროვას,
 თუნდ უმტკიცესი, თუნდაც ძლიერი.
 „მებმება ენა: მას, ერთგულ გუშაგს,
 არ ასცდებოდა ტყვია, ცხადია
 რადგან ის იყო ნამდვილი მუშა,
 მუშის მიზანი კი დიადია.
 „ცერრა გავაწყეთ, როგორც აჭთარი
 მძიმედ დაჭრილი თვალს აცეცებდა
 ბევრს უიმედოთ დასცა თავზარი.
 თავს არ ზოგავდა, ხსნას არ ეძებდა.
 „ბარიკადებზე ჩვენი ამალა
 დგას ამ ცეცხლებში და ქარგავს იმედს,
 ელევა საზრდო, ტყვია-წამალი,
 პირდაპირ უცქერს აუცდენელ ბედს.
 მტერს, რა თქმა უნდა ის ვეღარ დასძლევს,
 თვით დაიძლევა ის, ვალ მოხდილი,
 ის გამარჯვებას სიცოცხლეს აძლევს,
 მაგრამ სილაჩრეს არ აქვს აღგილი.
 ბარიკადებზე ბრძოლაა რთული,
 გაცხარებული ალ-ამსახველი

ცეცხლს ეტანება სიცოცხლე, გული,
 ცეცხლში ტრიალებს ტყვია, მახვილი.
 გზიდან ყუმბარამ გადისრიალა,
 სახლების თავზე გაინავარდა,
 ცაზე ძლიერი ზოლი გაშალა
 და შუა რაზმში მძიმედ ჩავარდა.
 ხმლები ეხვევა სისხლიან აღმებს.
 სისხლში მრავალჯერ ამოვლებული
 ბევრს წუთისოფელს გამოასალმებს,
 საბოლოოდ სცემს მომაკვდავთ გული.
 ბრძოლაა. შორით გამოჩნდა ცხენი,
 მტრის რაზმს, ზღვადქცეულს შუაზე აპობს,
 ხან თოფის კვამლის ედება ფენი,
 ხან ყუმბარების აღში კიაფობს.
 ხან მიაწყდება რომ შოდებული
 გადაარღვიოს ალყათა რკალი,
 დაუზოგველი თავდადებული
 ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.
 იქიდან რაზმმა დაიგრიალა!
 ჩენია — იცვნეს მხედარი ქალი,
 „მიეშველენით“! მოსწყდენ ადგილებს:
 გადაერიეთ, ჰყა მაგათ ხმალი.
 აფრთოვნებულნი ხმალთა ვადიდან,
 მებრძოლნი წამის დაკარგვის შიშით
 გადავარდნილნი ბარიკადიდან
 მტერზე მიდიან აჭ იერიშით,
 რა დააკავებს შეტევას ძლიერს.
 თავს დაატეხენ მეხს და სიავეს
 ბარიკადს იქით გამაგრებულ მტერს,
 ეკვეთნენ, მოსპეს, გაანიავეს.

შებინდებისას დაჰქროლა ქარმა
 და დაიღვარა სუნთქვა შევებისა,
 სიმართლისათვის მებრძოლმა ჯარმა
 გაშალა დროშა გამარჯვებისა,
 აღმოხდა შუქი და გაანათა
 უსწორო ბრძოლით განვლილი კვალი,
 დაცლილი იყო ოდგილი სადაც,
 ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.

თოვლმა და ქარმა თხრილი დასილა
 და აირია ქვიშა სადები,
 შუალამება. თოვლით ავსილა
 მიტოვებული ბარიკადები.
 ეძებენ დაჭრილთ ამხანაგები
 საკაცებით, ვრცელი ჩრდილებით,
 სავსეა თხრილი და ბანაკები
 დაჭრილებით და დახოცილებით.
 ლონემიხდილი, დაჭრილი ქალი,
 თხრილებისაკენ კვლავ მიდის ნელა,
 უკანასკნელი მას აწევს ვალი,
 თუ კიდევ ძალუძს ვისიმე შველა.
 და შეიძლება იპოვოს შვილიც,
 უკანასკნელად მიიკრას გულზე,
 ის არ ინახებს სიტყვა უთქმელად
 მოჰკვდეს ამ ბეღზე და გაზაფხულზე.
 აგერ იპოვა კიდეც — ის. ხელებს
 მაგრად უჭერდა იარაღს მკვდარი
 სახეზე აჩნდა საშინელი ბრძოლის
 იარა, სისხლი და ნატყვიარი.
 აწითლდა შორით აღმოსავლეთი,
 დაჰქრა საყვირმა განთიადისამ,

ქარხნებმა ცისკენ აუშვეს სვეტი
 და განახლება ქვლავ იგრძნო მიწამ.
 ბევრმა დალია სული გმირივით,
 ეხლა ქალაქებს ეალუბლება,
 ამდენი მსხვერპლით და თავგანწირვით
 მოპოებული თავისუფლება.

ვინ არის მთვლელი მათი ამაგის,
 შემქმნელის დიდი მომავალისა
 რწმენის სიმტკიცის და სიამაყის
 გრძნობას მარადის რომ ახალისებს?
 პროლეტარიატს თუ აფოლადებს
 და ერთის რწმენით უფეთქავს გული
 და წინ მიიწევს, ისევ მხოლოდ ეს;
 თვის კლასისადმი მძლე სიყვარული.
 ბრძოლა მარადი, ბრძოლა მზადებით
 სად კი ქალაქი და ხევებია
 თუმცა არ არის ბარიკადები
 და მხოლოდ მათი ნანგრევებია.
 და იქ, სად ტყვიით გულალმაცერად
 გაპობილია რკინა და რკალი.
 ამართულია ძეგლი წარწერით;
 ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.
 რევოლიუცია! ვინ მოთვლის რამდენს
 შენთვის გულიდან სისხლი უღვრია,
 პროლეტარიატს ამ ახალ გზამდე
 არისდროს ქედი არ მოუხრია.
 ცხრაას ხუთიდან ჰანგებს ექებდა,
 ღროის შესაუერს, მებრძოლი ქნარი
 მაგრამ არასდროს ის არ ყოფილა
 მხდალი, უძლური და მოშიშარი.

რამდენჯერ ბრძოლით დასუსტებული
 იდგა მებრძოლი გულდამაშვრალი.
 და ამ დროს როგორც ჰეშთაგონება,
 ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.
 ეხლა მოვიდა დრო განახლების,
 კვლავ ძალა დასცემს მოსეულ ძალებს.
 მაგრამ აღდგენილ ოვისუფლების
 ლროშა იქნება და იფრიალებს.
 ძალას ვპოულობთ ქარიან ხმებში,
 ჰანგი სულს ხიბლავს და გულს იმონებს.
 და გვიყვარს, როცა ჩაქუჩით ხელში,
 მებრძოლი წარსულ დღეებს იგონებს.
 გმირული სული ცხრაას ჩვიდმეტის,
 რომელ ტილოზე არ დახატულა?
 გაუმარჯვნია აღფრთოვანების,
 სასოწარკვეთა ბნელში შთანთქმულა.
 დაფიქტებული ამბობს მოხუცი:
 რას ფიქრობთ, მე კი არა ვგრძნობ, განა,
 რამდენი იხალ გამარჯვებისთვის
 გამოიცვალა ზნე და ქვეყანა?
 გვინდა ეს შუქი და არემარე,
 გვინდა ცხოვრება, გვინდა ბუნება,
 რაკი ხუნდები დამსხვრეულია,
 და მომავალი გვესალმუნება.
 გვინდა მარადი ძმობა-ერთობის
 ჰაერში ლროშა დათრიალებდეს,
 გვინდა სიმტკიცის და სიამაყის
 უკვდავი სული მხარეს აგზნებდეს.
 იქ, სადაც ერთხელ უმეტესობას,
 ერთი დიადი რწმენის აქვს გული,

აფოლადებდეს სულსა და გრძნობას
 მომავლისაღმი მძლე სიყვარული.
 სადაც ერთხელვე შრომა და შრომა,
 ემბლემად მშრომელ მასსას რგებია,
 არვინ არ ნანობს წმინდა ტაძრების
 ნაცვლად თუ მხოლოდ ნანგრევებია.
 მამაკაცებო, დედაკაცებო!
 მზემ გააშუქა, ასწიეთ თავი,
 მზემ გააშუქა წინედ რომ რისხვით
 ეფარებოდა სულთამხუთავი.
 ზვინდა ეს გრძნობა და გულის ძერა,
 იყოს ახალი, იყოს უმანკო,
 იმღერეთ ხალხო ეს ბედისწერა,
 სასიხარულოდ აუღერდი ჩანგო.

ქვეყნად სახლებია, ზღვაზე გემებია,
 ყველგან დირიჟორი არის ინჟენერი.
 არჩევს ხელსაწყოებს, დაუჩემებია
 არტეზიანების გული ნაშენარი.
 მისით მანქანები აგუგუნდებიან,
 მისით რკინისგზები გადაიხლართება,
 მისით ხომალდები შორით ბრუნდებიან
 რთული მექანიკა მწყობრად იმართება.
 მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული
 არის საუკუნე ინდუსტრიალური.

დავბრუნდეთ ხანდახან ალვებთან.
 ჩვენს თვალწინ იგივე ველია
 სადაც ჩვენ ოდესმე ვმღეროდით:
 დელია, დელია.

წყალს იქით რომ ერთი სახლია
 და მთების მაღალი ყელია
 ის, ისე მგონია, ახლოა —

დელია, დელია, დელია.

ლიხს იქით რომ ერთი ალია,
 — ანთია, მზესავით მწველია
 ჩვენ დილას ვეძახით ალიონს,
 დელია, დელია, დელია.

ოდეს სილაჟვარდეს ნაეი გადალახავს
 პაეროპლანების არის ესკადრები,
 თქვენი ელვარება, ავტომობილებო,
 ციფი ასუალტების რკინებს ეკაჭრება.
 ახალ ტრამვაიდან, ახალ ტურბინებზე
 ახალ რესსორებით უცდის შედარებას,
 გასთხრი მაღაროებს, მაღლა კვლავ აიტან
 დროის ქიმიური ფენის მშფოთარებას.
 მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული,
 არის საუკუნე ინდუსტრიალური.

გულში ვრცლადაა ჩარიგებული
 განცდათა ჯარი

ქვეყნად კი არის გამეფებული
შრომა მედგარი.

გზა ახალ-ახალ გადამთოვჩების
გაიხსნის ღილებს,
ჩემი სალამი ახალ ცხოვრების
ხეს და წეხილებს.

რკინა, ფოლადები, რკინა, ქვანახშირი
ქუჩის ხერხემალი, ქარხნის საფეთქელი
შრომით იბურება სუნთქვა განახშირი
როგორც მასალები ასაფეთქებელი.
დგანან მშენებლები როგორც ქვა-პიტალო,
არის ანგარიში მაღალ სართულებით
მოსჩქეფს ზაჰესიდან ალი მოწითალო
ბინდში გატანილი მწყობრი მავთულებით.
მიჰყევ, გაუგონებორბლებს სიარული,
არის საუკუნე ინდუსტრიალური.

რისხვიან გზაზე, რადგან მჯეროდა,
მე მძლავრ სიმღერას ყური მოვკარი
ეხლა მე ვიცი როგორ მღეროდა
მძაფრი ქარი და ზღვა ბობოქარი.
ეს იყო ბრძოლა. გამოდარების
ჰანგებით ჰქმნიდა ჰანგებს მქუხარეს.
გადაეჭარა იგი მრავალ ხმას
და მოეფინა უმრავლეს მხარეს...

იქ, სად ცემენტის არის ბუღობი.
 ამოზღვავება მიწილან გველის
 მრავალმილიონ ტონა ქვაკირის,
 მრავალმილიონ ტონა მერგელის.
 იქ სად ცემენტის არის ბუღობი,
 და მუშაობა დაუმცხრალია,
 რომ გაწოლილა, იგი რიკინისგზის
 დაუცხრომელი მაგისტრალია.
 ორასიათას ტონას წლიურად
 ელის ქალაქი და იგარაკი
 ორასი წლისთვის არის საკმაო
 ამ მასალების დიდი მარაგი.

გადაეფარა საქართველოს გზებს
 ინდუსტრიალურ რიცხვების გეგმა,
 მისი ზრახვები და გატაცება
 მიიღოს ქროლვამ ვამოსადევგმა,
 იქ, დიდუბეში, პანთეონს იქით,
 მზით მიღამონი რომ იღაგება,
 კამარა შეჰქრეს უზარმაზარი:
 ლითონის ქარხნის იწყეს აგება.
 ქარხნებს ამიერკავკასიისას
 უპირველესი მიუდგა სწორი
 ეს უდიდესი იქნება ძეგლი
 ყველა ლითონის ქარხანათ შორის!
 და კონსტრუქციის უკანასკნელის,
 საქსოვ მანქანათ მოდის პარტია,
 გზაცნის ვილიამ და სკოტის ფირმა,

ეს ამერიკის მისამართია.
 და კონსტრუქციის უკანასკნელის
 მანქანებს ძაფით ევსება უბე
 კვლავ ახალ-ახალ მანქანებს გზავნის
 ფირმა „ლეკოლი“ ფირმა „დიუბე“.
 და აწყობს მხოლოდ ერთი ფაზრიკა,
 რომლის აგება მომავალს მართებს
 ჩეიდმეტი ათას კილო აბრეშუმს,
 და სამიათას ქაღალდის ნართებს.

ბატარეებში,
 რომლებშიდაც ელექტრონია
 რომ მიაქანებს
 ამ რონოდებს, დაგვწვავს მგონია.
 ანბანებით და
 ნიშნებით რომ ხაზავს რეკლამას,
 ვენტილიატორს
 ატრიალებს ქარივით ლამაზს.
 ღინამოების
 მანქანების მძლავრია ენა
 გენერატორთა
 სადგურები, ბუკი, სირენა.
 იცოდეს ყველამ
 სადაც დგამენ უმძიმეს ძრავებს,
 რომ ესაუბროს
 რკინისგზებს და მიმქროლ ტრამვაებს.
 ყველგან გაისმის
 ელექტრონის ზარის ჭკარუნი

კაბელების და
კამესტანის სჩექეფენ წყარონი.
ელექტრონული
ონკანების რბიან ბრბოები
მცქანიკური
საზომები, ხელსაშეყოები.

დააჭროლებენ
კიდით კიდე ახალ სანათებს,
ლიჭიტებს უმაღლესს
სართულებთან ის ათანადებს.

მოდიან შორით
გაზეოები და ბარათები,
ელექტრონული
საკანტროლო აპარატები.
რა წარმტაცია,
რა მღელვარე ძალთ გადაცემა
ბოძების ჩუმი
დაფიქრება და აღტაცება.
ის მიიჩქარის

ვით კივილი ავტომობილის
იბრძვის სინათლე
და სიბნელე გულგაპობილი.

გამობარ ღუმელებს
მხიარული გააქვს გუგუნი
რომ მათ ეკუთვნისთ
ელექტრონის ეს საუკუნე..

შუალამისას
მძაფრი გააქვთ სისინი სინებს,
ის ზეცაშიც და
მაღაროშიც არ დაიძინებს.

ბურღავს მიწის გულს
 და შადრევნებს აისვრის ცაში,
 ბროლთა და მინათ
 საოცარი არის კაშკაში.
 რომ მოანატროს
 მიბნელებულ ლრუბლებს ფერები
 მათ ძალთა მთვლელი
 ჯგუფდებიან ინჟენერები.
 ელექტრო-თეატრს
 უხარია, რამდენად მეტად,
 თავს დაადგება
 შაყურებელს ფარვანის სვეტად.
 ელექტრო-საათს
 მიაქანებს თავის შატორი
 სადაც წამს უცდის
 ელექტრონის ტრანსფორმატორი.
 ელექტრო-ლინზას,
 სპეციალისტს, ელექტრო-მედიკს,
 უფრო უმაღლეს
 საუკუნის ესმის იმედი.
 უფრო უმძაფრეს
 იულვებენ ცივი ლანდები,
 ელექტრო-უთო,
 ტეხნიკები კონსულტანტები.
 მბუუტავი გაზი
 იღუნება ვით ბერიკაცია,
 და უჯსკრულისკენ
 მიდის ჩოგორც ძველი ბარკასი.

მოავარაყე შუქო, მზავთავი, .
 ოქროს სხივებით და მინანქარით
 ჩვენი ყანების ოქროს თავთავი
 აღელვებული ამ ზენაქარით.
 დასავლეთიდან აღმოსავლეთით
 გადაშლილია ოქროს ტყავები,
 სად დაუხოცავთ ამდენი ვეფხვი,
 სად აქვთ ამდენი სალებავები?

თითქო მხრებს ესხას ბრწყინვალე ჩოხა,
 დღეთა ულმობელ სასაფლაოსთან,
 ჩვენი ელგარე ოქროს ეპოქა,
 ჰქმნის სულ სხვა ახალ ვეფხის-ტყაოსანს.
 განთიადისას ალნალვივები,
 კროომაკანკალით და მისალმებით
 ფერებს ყაზბეგზე სწერენ სხივები
 მარადიული ოქროს კალმებით.

მანდარნის და ჩაის ბალები!
 როდის გახდება ლირსი ნახვისა!
 საბედისწერო კარის გაღებამ
 ის შეაკრთო და გამოალვიძა.
 მას თავზე ადგა ციხის ფარეში:
 „აღექ, უ-ჩან-სუ, მომყევი ნებას.
 ლეთის სამსჯავრომდე შენს სამარეში,
 კიდევ მოასწრებ გამოძინებას“!

შევედით ვიწრო გამოქვაბულში,
 საღაც მზის შუქი ვერ მოატანდა
 მალე მალალი მემალაროვ
 სანთლის კიაფში გადაილანდა.
 მომყევით — გვითხრა, და ჩვენ გავყევით.
 ლოდები იდგა სულთამხუთავი
 აგერ მუშები და წერაქვები.
 მრავალ სინათლეთ ალი მბეჭდავი.
 მქუხარედ, როგორც რევოლიუცია,
 ვადმოდიოდა ქვები ლოდებათ,
 რომლის ქვეშ მალე დაიმარხება
 კაპიტალიზმის გაბოროტება.

კოლონიალურ მხარეთ გენია.
 ის აძლევს პასუხს შხამიან ენით.
 განა ბრალი გვაქვს რომ მსოფლიო სწუხს,
 სიმძიმისაგან გამწყდარი თმენით.
 განა ბრალი გვაქვს რომ გემს აჩნია
 ქარიშხლიანი იარა მწვავე
 და ცისქვეშეთში ჩვენ გაგვაჩნია,
 მრავალი სული მონათესავე?

ალთ კაშკაში.
 ქარხანაში შუადღეა.
 შრომის სხივით
 აელვარებს, რკინად აღნობს,

ქურას ანთებს სიმღერაში.
 შრომის ცეცხლით, შრომის ალით,
 სავსე ცეცხლის მომავალით
 მზის კაშკაში
 დაგრიალობს ქარხანაში.

მოტორი მღერის
 აღელვებულს და წარმტაც ჰანგებს,
 მოტორი ჰანგით
 დაატყვევებს მანქანებს-მხეცებს,
 მოტორი მთელი
 სიამაყით ღამეს განავებს,
 მოტორი ისევ
 იმ ადგილას ტრიალებს, ეძებს.
 მოტორი ისმენს,
 ისმენს ენებით, ისმენს დუმილით.
 ქარხანა ისმენს,
 გამურულით სავსე კაცებით
 ქარხანა ისმენს
 თავის შრომას, ფიქრით-ღუმელით,
 ქარხანა შრომობს
 სიხარულით და აღტაცებით.

ტუილისს მზეების დაეცა ტბორი,
 გრიალებს თერგი, არაგვი, მტკვარი.
 კავკასიის მთებს გავსცერით ორი,

სხვადასხვა გული, სხვადასხვაგვარი.
 ან თემურლანგის, ან ჯარის სხვისის,
 ცეცხლად რომ იქცეს მზეთა ეს ალი,
 დასწვას, აანთოს მთელი ტფილისი.
 დასწვას. ცრემლს მაინც არ დაღვრის თვალი.
 შრომა აღადგენს გააფთრებული,
 რასაც დაანგრევს სიმძაფრე აეი.
 შრომით ტფილისის გაკაუდა გული.
 აი, რა არის თავი და თავი.

სულერთი არის, სულერთი არის,
 უნდა ვიშრომოთ; წინ მივდიოდეთ.
 გუშინ ცხოვრება არ გვიბრალებდა,
 და გზა მოცული იყო წყვდიადით.
 წყვდიადი იგი გადაითანტია,
 სხვა აღტაცება მოვიდა ოდეს,
 პოეტიც მარად, დაულალავად,
 უნდა შრომობდეს, უნდა იბრძოდეს.
 გვიხმობდა ცეცხლი და აღელვება,
 ის გვიხატავდა სულ ახალ მხარეს
 სადაც უფსერულში შთამჭვრეტი ცქერით
 წინასწარ გრძნობდენ ხანას ელვარეს.
 შენ გადალახე ბრძოლით მთაბარი,
 თავისუფლება დიდხანს ეძებე,
 შენ არ ყოფილხარ ცის თანაბარი,
 არც უსაგანო და მეოცნებე.
 შენ არ იცოდი გზაჯვარედინი,
 ევლინებოდი მტერს დამამხობლად,

შორს რომ მოსჩანდა გზა სასურველი,
ეხლა იგი გზა არის მახლობლად.

აგერ ვაზები, სიმინდები და ტყე მზიანი,
საღამოს ქარი მოძახილი იყო ახოთა.
აჩქარებული, მხიარული, თავაზიანი
„უნდა იცოცხლო“ — დედამიწა გაიძახოდა.

გათენდა დილა და ალისფერად,
შემოიბურა აღმოსავლეთი,
ყველგან ველია და ურიამშული,
მხოლოდ ზეცაში არაა ღმერთი.
მხოლოდ ქვეყნების მაცოცხლებელი,
გადმოიღვარა სიცოცხლე — ძალა,
და აბობოქრდა, და აღტაცებით
შრომის სიმღერა დააგრიალა.

დაე ახალი, ახალი ცეცხლით
გადაიბუგოს უნდო სოჭელი
გულში ვატარებთ შურიძიებას,
და ჩვენ ბევრი გვყავს თანამგრძნობელი,
განახლებისკენ, განახლებისკენ
მიისწრაფოდეს ფიქრი რჩეული

საკაცობრიო გზათა ბრძოლაში
სიმშვიდის სიტყვებს გადაჩვეული.

შენ ვაჟკაცი ხარ? გსურს ისევ ტრფობაშ
გული იანთოს, თვალი დალულოს
განა ვაჟკაცი ქალს უნდა უჯდეს
და მუდამ იმას ესიყვარულოს?
არა, გათავდა! შენ არ სწერიხარ
მათში, ვინც ეძებს მოვალეობას,
სწორედ ისინი ებრძეიან ეხლა
გადაგვარებულს სულს და ზნეობას.
უნდა ელგარე შრომის სხივებით —
ჩვენი ახალი მოვრთოთ მამული,
ავამეტყველოთ სიცოცხლის გერი,
ჯერ კიდევ ბნელში სულგანაბული.
დაე, ვისაც სურს ტკბილი ცხოვრება,
ნუ გამოგყვება. დასცხრეს, დამუნჯდეს.
ასეთი კაცი არ გამოდგება,
იგი ვაჟკაცი ქალს უნდა უჯდეს.

არ გვაშინებდა წეიმა და ქარი,
ჩამობნელებულ ეკლიან გზაზე
არც ქარიშხალი, არც ნიალვარი,
არც ბოროტება დედამიწაზე.
არ გვათროთოლებდა შური და მტრობა,
წყურევილთა შეება არ გვეცხრებოდა,

ყველა წაშალა თანდათანობამ
 და სიხარული მხოლოდ ჩჩებოდა.
 არ გვაშინებდა ვარდების გრძნება,
 დიდება, ღვინო, ალერსი ქალის.
 არც სიმღიდრე და ფუფუნება,
 და არც გადახდა უძველეს ვალის.
 არც წამთა ჩბენა სხვადასხვაგვარი,
 მრავალფერობა, გიჟი ოცნება,
 არც გარდასული ყრმობის სიზმარი,
 არც მოგონებით გასხივოსნება,
 სულ არ ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში
 სიყვარულისა ლტოლვა და ვნება.
 ყველა წაშალა თანდათანობამ.
 შრომას ვერც ურთი ეერ შეედრება.

გაწოლილა მხარე ლეკის
 და შრიალი ისმის ყანის
 აქეთ შუბლი ყაზიბეგის,
 იქით მთები დალესტანის.
 მიყვარს როცა ხმას იძლევა,
 მოგრიალე ხევის წყალი
 გველივით რომ შეუჭრია
 მოღუშული დარიალი.

ო; დღე არ გავა არ შემიყვარდეს
 ახალ სიტყვაში მყოფი სამყარო

თვითო იმედი გულს არ მიეცეს,
ან თითო რწმენა არ დავამყარო.
ახალი ყოფნა. ის ყველასია.
კორიანტელში ძლიერად ზრდილით,
გვინდა — ქალაქებს დაადგეს თავზე,
გიგანტიური მსოფლიო ჩრდილით.

სიცოცხლეო, როგორა ვქნა,
თუ კი ღელავს გულში გრძნობა
არ აფუხსნა სიხარული?
არ შევჩივლო უკმარობა?

ო, დაპყარი, დაპყარ ჩაქუჩის,
თავს ნუ იგრძნობ ეხლა ობლად,
რომ აენთოს ნააურწყლები
აღელვებულ წუთისოფლად.
ცეცხლი ცეცხლზე გადინთება,
დაუბერავს მკაცრი ქარი,
და მოიარს ყოველ მხარეს
უკმარობის ნიაღვარი.

ქარის პირდაპირ! ქარის პირდაპირ!
გავშლით იალქანს, ზღვას მივეცემით,
ჩვენ არ გვჭირია არვის ედემი,

არც მშვიდობიანს დავეძებთ ნაპირს
 რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, მარცხნივ!
 ქარის პირდაპირ, ქარის პირდაპირ!

აღსდგა სიმღერა! ისევ სიმღერას
 დოდი სიმალლის ააქვს რეკორდი.
 შენ შეეთვისე ამ სიმალლებს,
 შენ ამღელვარდი და ამთაგორდი.
 მუდამ ეძებდი შენს სიცოცხლეში,
 თანამგრძნობელებს, მეგობრებს ერთგულს,
 მუდამ წყვდიადში ნათელს ეძებდი,
 და უწოდებდი ცხოვრებას ბედკრულს.
 დაცინვას, გმობას და დამცირებას
 სიმართლისათვის ქვეყნად იტანდი.
 ეხლა სხვა დროა, დიდო სიმღერავ;
 კვლავ გაფოლადდი და გატიტანდი.
 ისევ აენთო აღმოსავლეთი.
 ისევ ბრძოლამაც იცვალა ფერი.
 რაც ცხოვრებაში არის სიმართლე,
 დაბრუნდა ყველა და ყველაფერი.
 მზე, ამოსული აღმოსავლეთით,
 დასავლეთით არ ჩაესვენება
 ისევ რეალურ უკვდავებათა
 ეპოქას მოაქვს მთელი შვენება.

იმ სიმძლავრეს, იმ სიმაღლეს...
 ჯერ ძლივს ხედავს ჩვენი თვალი,
 რამდენ შვებას და სიცოცხლეს
 მოაქანებს მომავალი.

ვერვინ შესძლებს ამ სტიქიას
 დაუკარგოს ფეროვნება —
 როს თანასწორ მზესთან მიეა
 თვითეული ეროვნება.

ჰქუმედე, გულისთქმავ! სული მღელვარებს,
 გული მწვავ ცეცხლით კვლავ გაიმსჭვალა,
 გაშუქდი, სანამ მძლავრია გრძნობა,
 გაშუქდი სანამ გექნება ძალა.
 გაშუქდი, სანამ სიმნი შესძლებენ
 და სილრმეს კიდევ ცეცხლი ექნება,
 მნათობნი სხივებს გადმოგაფენენ...
 გაშუქდი, დიდო ბეჭნიერება!

არის სიცოცხლის დიდი მიზანი
 და უფრო დიდი დანიშნულება:
 ფერფლი არ იყვნეს ადამიანი,
 სანამ ახარებს თავისუფლება.
 ბედგანათებულს, სჯეროდეს ერთი,
 მზე თანაბარი კაცობრიობის,
 იბრძოლოს შრომის სუფევისათვის,
 იყოს მღერალი მზიური ყოფის.

არა, გასაჭირს არ შევუკრთხებით,
 ვერ შეგვაშინებს ჩვენ ქარიშხალი
 სიმართლის დროშა მტკიცედ გვიჭირავს,
 გზა თუმცა ცივია და ნაშინშხალი,
 და პოეზიის სიმაღლეები,
 ერთგულ მფარველად დარჩება თანა.
 რა არის მასთან სხვა ძლიერება,

რა არის მასთან თვითონ ქვეყანა.
 რაც არ ყოფილა — არის,
 გაჰქრა ზმანება ზანტი,
 იძერის ნისლები ბარის,
 როგორც მფრინავი ლანდი,
 გამქრალ დიდების ნათელს,
 კოშკი იბურავს ძველი
 და მთელს ვაებას ათევს...
 მტრისას წერილი ჭრელი!
 ყალბი ბოგემა აგერ
 სივრცეს უცქერის უვრცესს
 გაეს ის ძაფებით ნაკერ
 ძველი გაზეთის ფურცელს.
 უნდა გაზომონ სივრცე,
 მაგრამ რომელი ადლით?
 კაფეშანტანის გზით თუ
 ბუბნის ცხრიანის მაღლით?
 დრომ გაიარა რაკი,
 ჩადგა ქარი და ბუქი,
 სწყვეტდა ათასგვარ საკითხს

აღმოსავლეთის შუქი.
 შენ კი გვინდა ბასრი
 უთანაბრობის მკვლელი
 თანამედროვე აზრი —
 მხოლოდ პრობლემა ძველი.

მინახავს ბრძოლის სიმშვენიერე,
 მას არ უდგება ალი მწუხარე
 კიაფებს არ გვამცნევს გადამწყვეტ უამად
 გადარღვეული ცეცხლი მქუხარე,
 ის ძლიერია... და ჩვენ ის გვიყვარს,
 როგორც ათასთა ათასი ქნარი,
 ჩვენს საუკუნეს სხვა ხანათაგან,
 იგი გამოყოფს მარად მედგარი.

მრავალისთვის მკაცრ ბრძოლის დროს
 გაუგმირავთ ტყვიით გული.
 გმირს სიცოცხლე შეუწირავს
 რომ დაეხსნა ძმა ჩაგრული.
 მრავალს სოფლის უკუღმართი
 ბრუნვა ვერას აშინებდა,
 დღით არ სთვლემდა შურისგება
 და ღამით არ აძინებდა.
 მრავალს ქონდა წინათვრდნობა,
 რომ სიკვდილს ვერ გადარჩება,
 მაინც იდგა ბრძოლის ველზე,
 მაინც სწამდა გამარჯვება!

განა ჩვენ გვსურდა ქვეყნად სიმდიდრე?
 ჩვენ ხომ ცებრძოდით ძალმომრეობას,
 ჩვენ ვქადაგებდით ერთმანეთშორის
 მხოლოდ სიმტკიცეს, მხოლოდ მხნეობას.
 ჩვენ ეხლაც გვინდა დაუნდობელად
 ვკიცხოთ საკიცხი და საძაგები
 ქვეყნის ნათელზე გამოვიყვანოთ
 ყველა შარაგზის ავაზაკები.
 პირადათ მუდამ შიმშილი გვდევდა,
 და არ გვინდობდა სიცივე ავი —
 მხოლოდ სიმართლე გვასულდგმულებდა,
 აი რა არის თავი და თავი.

ო, როგორ გვძულდა ჩვენ ბოროტება,
 გვძულდა მტარვალი, გვძულდა მჩაგვრელი
 მოსარჩელე ვიყავ დამონებულის,
 დაცემულ მოძმის მწე და მფარველი.
 ჩვენ შევებრძოლეთ უსამართლობას,
 არ შევუშინდით მტრების მუქარას,
 ჩვენგნით არცერთმა შებრძოლებაში,
 არჩეულ გზას არ გადაუხარა.
 ამხანაგებო! გვწამდა — თანაბრად
 გააშუქებდა მზე სულ ყველაზე,
 ამ ჩრდენით, სულით დამშვიდებული
 ჩვენ ავდიოდით სალრჩობელაზე.

მომაგონდება ძველი ცხოვრება
 და განთიადი ჩვენი ბედისა,
 ვფიქრობდით, როდის გამოაშუქებს
 მზე გაოენების და იმედისა,
 როდის იქნება ხალხის ტანჯულის
 სამართლიანი ქვეყნად უფლება.
 თანასწორობა, შრომა, სიმართლე,
 ერთობა, ძმობა თავისუფლება.

ბოლო მოელო ხალხის ჭამებას
 და ფუჭ ცხოვრებას, უნაყოფობას
 გაშ რამდენ ღამეს მოელო ბოლო,
 რამდენ წურბელას, რამდენ ობობას.

კოშკიდან ერთი ნათობს სანთელი,
 უდაბურ მთაზე, უდაბურ ტყეში
 რა ციგად მოდის ქარი და თქეში
 რა მძაფრად კვნესის კორიანტელი.
 კოშკში კი მყუდრო ანთია კერა,
 ნაპერწკლებს, ისვრის ყვითელი ალი,
 არ შესდგომიან საუზმეს ჯერა
 მთიელი ვინმე და მისი ქალი.
 დამშვიდდი ქარო, რა გემართება.
 ასეთი წვიმა ნეტა რა არი?
 და ქალი სწრაფუად მიემართება
 რომ გრიგალისგან ჩაკეტოს ქარი.

ყეითლდება ჩალა შესაკონელი
 და მეურმეებს ფეხვეშ ეგება,
 ვინ მოგზაურით რა საჭონელი
 ამ ბნელი ღამით მიირეკება?

მზემ მდინარისპირს მისცა სალაში.
 აქ ნაცნობია სახე ყოველი
 ფშების ვარდები, ტბების წალაში,
 სიტყვები გულში ჩასაჭსოველი,
 უფლება აქვთ რომ გვთვლიდენ თავისად,
 როცა არ უნდა ჰქონდესთ უფლება.
 სანამ ყველაზე უუკვდავესად
 მოდის მსოფლიო თავისუფლება.

ეხლა ქარი ანიავებს
 დახავსებულ დროის ფერფლებს,
 ბევრი მსხვერპლი შეუწირავს,
 ეხლა ვერვის ვერ იმსხვერპლებს.

ჩვენთვის ტკბილია
 ქარიშხლიან წარსულის კრთომა,
 არ გვეზიზლება
 მოგონება შუოთიან დღეთა
 იმ ჯოჯოხეთთან

მომავლისათვის გვიყვარდა შრომა
და არა შიში
ან ბრძოლის დროს სასოწარკვეთა.

ჩვენ არავის ვეკრძალებით,
ვერც ვერავინ დაგვაშინებს,
მეღვრად გააქვსთ ხმაურობა
ხერხებსა და შალაშინებს.
უველაფერი არის შრომა.
სოფლის ბრუნვა გაგვიგია,
ბევრი ციხე დაგვილეჭავს,
შრომის კოშკი აგვიგია.

როგორც ცხენოსანთა ჯარი
მზის ჯარია ლრუბლის ჯარში
როგორც ცხენოსანთა ჯარი
ხმალი ხმალთან შები ფარში
როგორც ცხენოსანთა ჯარი
სიმღერა ჰქუეს მთა და ბარში
როგორც ცხენოსანთა ჯარი
იხლართება ზარი ზარში
საომარი დროის მარში,

საომარი დროის მარში,
როგორც ცხენოსანთა ჯარი

აფრიალდა ისევ ჭარში
 გრიგალი რომ მწარედ სტვენდა
 და ჩქარობდა სისხლის ღვარში...
 საომარი დროის მარში,
 საომარი დროის მარში.

ზანგებმა ზიზლით შეხედეს ლაუგარდს,
 ზიზლით შეჰყვირეს მზეს ათროთოლებულს:
 ახარებს შენი მკვეთრი ნათელი ყოველ წეტი,
 ყოველ მცენარეთ კრებულს.
 მაგრამ ის მზეა. იგია დედა
 მთელი მსოფლიოს, მთელი ბუნების
 უფრო ახლოა სასახლეები
 მიზეზი თქვენი დაძაბუნების.

ასეთი კაცია
 უყვარს თეზისები, კლასიფიკაცია.
 ნურვინ ნუ ინებოს გაამხანაგება
 მისი ტერმინების ისევ დალაგება.
 კაცად მეგულები: თუ ხარ გულკეთილი
 უნდა ფორმულები გქონდეს მოჭედილი
 არც ერთი სიტყვა ზედმეტი, დაგვიანებული,
 არც ერთი შემთხვევითი, დანაგვიანებული,
 სიტყვას გარშემო ხმა არ აქვს მონური
 სიტყვა ეპრეზიმია—რევოლიუციონური.

მოიგონე ძველი მეხი,
ცეცხლის ღილა, ცეცხლის ბინდი.
ფოლად უზანგს მოსდე ჟეხი
და კვლავ მერანს მოაფრინდე.
ოცნებათ, მოიგონე
დღეები რომ პგვანდენ ზვირთებს
ის მერანი ისევ გიხსნის,
სადაც უნდა გაგიჭირდეს.

ის დროება სიზმარივით წავიდა
ოდეს ბავში იყავ მოხეტიალე,
რეინისგზები — სავსე სანახავითა
რონოდები ციყი, ოხერტიალი.
ნუ იგონებ მწარე თავგადასავალს
როს მშიერი, დასისხლული ფეხებით
მთელი ქვეყნის ასავალს და დასავალს
შენ სწონიდი მედგრად, გულგამეხებით.
ყველაფერი სიზმარივით წავიდა.
როგორც ქარი, როგორც ყინვა და თოვლი
სავსე არის ახალ სანახავითა
ისევ ბრძოლა, ბრძოლა თანადროული.

ქარხნებს როცა დაგუგუნებს
მანქანები შრომის ხმაზე
შენუი არის მებრძოლ ქალის
და მანქანის სილამაზე.

კარგი დღეა: მინის კრთომა,
 ბრჭყვიალება მზისა თასთა
 და იმ სხივზე უფრო მეტად
 გინათს სახე ახალგაზრდა.
 ვერ აშორებ ელვას თვალებს,
 ამ ელვაში კი ჩაც არი
 ახალგაზრდულ სიხარულის
 შვენებაა საოცარი.

გორა-გორა, ვაზი-ვაზი
 მთვარით მონამკედარი
 ხევით ხევზე, მთიდან მთაზე
 ეშურება მხედარი.
 ფეოდალი ძველის-ძველი,
 მეფეთ შთამომავალი
 ვისიც იყო მთადაველი
 და კოშკები მრავალი
 ეხლა მიპქრის, იგი მიპქრის,
 მერანს ცეცხლი ედება.
 არა! ეს გზა არის ფიქრის.
 ყველგან ჩომ ეხეტება.
 ნანგრევს იქით, კოშკებს იქით,
 სიზმარიც კი მკრთალია.
 ეს შრომაა ლალის ჭიქით...
 რა ლროს ჟეოდალია!

შრომით მოველ, შრომით წავალ.
 მხოლოდ შრომა ამიერ
 იყოს მრავალ, უფრო მრავალ,
 კიდევ მრავალუამიერ.

არ შეიძლება ეხლა, გაიგე,
 არც დაბრუნება, არც კვდომა შავი,
 უნდა იპოვო ის კლონდაიკი.
 იმ ნაპირს უნდა მიადგეს ნავი.

როცა სიხარული მოდის ალიონთა
 ჩასაც წარსულიდან გული შეეჩვია,
 ბედო თუმცა კიდევ გამიძალიანდი
 ჩვენი გამარჯვება მაინც უეჭვოა.

ო, ჩემო ჩანგო! ერთ დროს იყავი
 მშვიდობიანი წესრიგის მტერი
 არ შეიყვარო ის მყუდრო ნავი,
 იმ ყვავილებზე როგორა მღერი?

როგორ მშფოთარებს,
 როგორ გრგვინავს თვალუწვდენი ზღვა

სადაც გრიგალი
 არის მხოლოდ ყოვლის მპყრობელი,
 ერთადერთ სიბრძნედ
 მიმაჩნია რომ ამ გრიგალთან
 ისე მოაწყო
 იალქანი დაუცხრომელი
 რომ ქარიშხალმა
 წაიყვანოს სიცოცხლის ნავი
 იქ, სადაც მთელი
 მსოფლიოს ბრწყინავს ვარსკვლავი.

ჩვენ მივდიოდით, ჩვენ მოვდიოდით
 როგორც ტალღები ზღვაზე რხეული
 ვგიდოდით ბნელში, ველოდით ბრძოლას,
 ბევრი ჩიხები. ბევრი ხვეული.
 გადაგვილახავს ბევრი სიკვდილი,
 ბევრი შეცდომა და დაბრკოლება
 რომ შემდეგ ისევ გადარჩენისთვის,
 სიცოცხლისათვის გვემდერა ქება.

წარვიდა გრძნობა როგორც ნისლები,
 დილის ნაპირზე შემოხვეული
 და მოგონებად დარჩა, რამდენი;
 შეცდომებისა ხევი რღვეული
 გაგრამ წარსული უბედურება,
 მსუბუქ ოცნებით რომ გული ჰბუროს

აფროთოვანებით თვალს მიაყოლებს
ახალგაზრდობის მიმავალ ბურუსს

ჯეპ ლონდონს რომ აქვს ერთი ამბავი
მოხეტე კაცის შეურაცხყოფის,
იმავ სიტყვებით მინდა გიამბოთ
ამბავი ჩვენი ასოთამწყობის:
ასოთამწყობი სდგას მოშორებით,
მას საიდუმლო შორს მიაქვს ფოშტა,
ის მატარებელს უცდის უთმენლად;
მატარებელიც, აპა, გამოჩნდა.
იგი შეახტა მიმავალ კიბეს.
ჩუმად წავიდა და მიეფარა
ქვანახშირისგან გამურულ ვაგონს
სადაც ქვები და ხეტყე ეყარა.
რომ ის ვერავინ ვერ შეამჩნია
ესიამოვნა და გაიცინა,
ბალიშის ნაცვლად თავქვეშ ხურჯინი
მან ამოიდო და დაიძინა.
მაგრამ ამჩნევენ კონდუქტორები:
ასოთამწყობის ფერი ფერია,
მხოლოდ საბრალოს იმ თავიდანვე
უჩინრად მოსდევს უანდარმერია.
კონდუქტორებმა სოჭეს: ხომ სჯობია
გავთავისუფლდეთ ახალ მსხვერპლიდან
და გადასწყვიტეს, სადმე, როგორმე,
ის ჩამოაგდონ მატარებლიდან.

ასოთამწყობი დანიშნულ აღგილს
 უნდა მივიდეს, ცხადია, ამბით.
 გამოეღვიძა და იგრძნო: მიდის
 მატარებელი დიდის სისწრაფით.
 ასოთამწყობი ხედავს: გუთანზე
 გლეხებს რომ უყვართ დაღუნვა კისრის,
 ის ხურჯინიდან იღებს მთელ ბლუჯა
 პროკლამაციებს და ქარში ისვრის.
 გლეხებმა ხელი გაუშვეს გუთანს
 და კითხულობენ ამ მოწოდებას.
 პროკლეტარების უბადლო ბრძოლას,
 ბურუუაზიის გამოცოდებას.
 უანდარმი შორით დაემუქრება;
 კბილების ლრჭენა, დაქნევა თითის;
 არ შეუძლია მას ახლო მისვლა:
 მატარებელი სისწრაფით მიდის.
 „მაშ, შემამჩნიეს“! ასოთამწყობი
 მაინც არ არის შემხრელი წარბის.
 როცა ჩერდება მატარებელი
 ის ჩამოხტება და წინით გარბის.
 სად წინად იყო ასოთამწყობი
 იქ უანდარმები სწრაფად ჩნდებიან,
 იმუქრებიან, იგინებიან
 და რომ ვერ ხედვენ, გაოცდებიან.
 სად უნდა იყვეს? და ჰკითხულობენ
 პროკლამაციებს, კუთხეში ნაპოვნს.
 ასოთამწყობი კი ხელმეორედ
 სულ უკანასკნელს ახტება ვაგონს.
 და მიდის, მიდის მატარებელი.

გადაიარა ტყენი და მთანი,
 მატარებლის წინ საღლაც შორითშორს,
 კონდუქტორების მოსჩანს ფანარი.
 ასოთამწყობი ახალგაზრდაა,
 მას თვალები აქვს უშიშარ ქორის
 სწორედ ამიტომ არ ეშინია
 არც უანდარმების, არც კონდუქტორის.
 ოუნიერია, მოხერხებული,
 თუმცა არ იცის ამ გზათა რიგი,
 მაინც გაიგო რომ უანდარმებმა
 კვლავ შეამჩნიეს ვაგონში იგი.
 სადგურთან ხედავს შეკრებილ მუშებს
 ას არც აცხელებს და არც აციებს,
 გადაიხრება და ხურჯინიდან
 აწვდის წიგნებს და პროკლამაციებს.
 უანდარმი ეხლა ისე იქცევა
 აითქო ვერ ამჩნევს სულაც წყალი.
 ასოთამწყობი კი თვალადაა
 და ყურადღებად გადაქცეული.
 უცებ შუაგზად მოულოდნელად
 გააჩერებენ მძიმე ორთქლმავალს,
 ასოთამწყობი მისკენ მოქცეულ
 სულ ახლო ხედავს უანდარმებს მრავალს,
 აბა, მეორე ვაგონში ჩქარა!
 იქიდან გარბის ეხლა ისევე,
 უანდარმები და კონდუქტორები
 ეხლა შეერთდენ და მას მისდევენ.
 მატარებელი იძვრის. მდევარი
 ისევ ბრუნდება. საქმე არ ხდება

ასოთამწყობი მატარებელზე
 უკანასკნელი კიბით ახტება.
 მხიარული სდგას ასოთამწყობი,
 და უცქერს ოოგორც გაბერილ ბუშტებს,
 იმ უანდარმებსა და კონდუქტორებს;
 ოოგორ უღერენ შორიდან მუშტებს!
 შემდეგ საღვურთან მას სამივე მხრით
 მოერტყმებიან: წამია ზუსტი!
 ასოთამწყობი თითქო ვერ ამჩნევს,
 მოახლოებას თანდათან უცდის!
 უანდარმს ხელები გამზადებული
 დასაჭერადა, დარჩა ჰაერში.
 ასოთამწყობი სახურავზეა.
 იქ მშევნიერად მოეწყო მტვერში.
 მატარებელი მიღის. უანდარმებს
 ბაგიდან წყდება სიტყვა ფაქიზი.
 იგინებიან: ეს რა წყევლაა!
 სულ „ო, მაგისი“, და „ო, მაგისი“!
 ასოთამწყობი სახურავიდან
 პროკლამაციებს უგზავნის მგზავრებს,
 მგზავრები გრძნობენ სიამოვნებით
 თუ ხელმწიფის ბედს რა დაამთავრებს.
 უანდარმებს უნდათ ოომ სახურავზე
 ავიდენ, მაგრამ იქ ხომ ძნელია;
 ისევე ქვები და მისი ჯანი,
 მაგრამ არ ხვდება, საკვირველია!
 მალე იქნება წიფის გვირაბი.
 სახურავი კი ეხლა შიშს ბადებს,
 ასოთამწყობი ჩამოდის დაბლა.

უცებ... ვიღაცა მხარზე ხელს ადებს.
შეკრთება მაგრამ მალე მშვიდლება,
იმის წინ მუშა-კაჩეგარია.

„ყოჩალ“! ამბობს ის — ეხლა უშველე
თავს, თორემ მეტად საშიშარია:
საშიშარია? სრულებით არა!

ის უანდარმები რამ გააშეშა?

ასოთამწყობი სწრაფად მოექცა

გაჩერებული ბორბლების ქვეშა.

ეხლა მშვენივრად მას შეუძლია
გათენებამდე ამ ადგილს მოცდა.

მატარებლის ქვეშ თავს მშვენივრად გრძნობს.

იქვე პლანშირთან, იქვე ტორმოზთან.

მხოლოდ იქ ძილი არ შეიძლება.

მაგრამ როგორც კი გზა გათავდება,

ხვალ ამხანაგებს მიუტანს ამხავს,

რომ მთავრობაძე, მგონი თავდება.

დრო რამდენნაირს ატარებს სურნელს!
ყური დაუუგდოთ საბავშო უურნალს:
სადგურის ქუჩას გზა გადაუჭრეს,
და ხალხს პანიკის მოჰყვა სტიქია,
სადგური იყო თეორების ხელში,
როს რაზმი შეკერთა და დაიხია.
ტეიისმორქევეველი ზურგიდან უარს.
ხეეში ჩასაფრდენ და იქ ისვრიან
სიმტკიცისა და გაბედულობის
ხმაზე გადასვლა ბევრს უკისრია.

ხალხი გვაკლია მოგვეცით ჩქარა,
 ჩავარდნილი ვართ რა საგონებელს,
 გამოვიწვევდით სათადარიგოს,
 მაგრამ გაუჭდა ტელეფონები.
 სხვა ხელში იღებს ტელეფონის მილს:
 მომეცით რაზმი სათადარიგო,
 არავინა გყავთ? ახალგაზრდები?
 რაო? არ ძალგიძს რომ მოარიგო?
 ჩვენც არავინ გვყავს რომ მოგაშველოთ.
 მაშ დაიხიეთ, აბა, ჰარიქა!
 ეუბნებოდა შიკრიკებს თეთრი,
 წამია ეხლა მძაფრი და მკვეთრი.
 თქვენ წადით შტაბში და მოახსენეთ
 რომ დაჭერილი გვყავს ბოლშევიკი,
 მას აღმოაჩნდა ორი ყუმბარა.
 და სულ კი... შვიდი წლისაა იგი.
 ბავში თვალთმაქცობს ისტერიულად:
 ო, შემიბრალეთ! ა, მეტანია!
 კეთილშობილი ვარ... მამაჩემი,
 მეორე რანგის კაპიტანია.
 მე ბოლშევიკი სულაც არა ვარ,
 ბარონესაა ჩემი ბებია.
 ნუ დამხვრეტო. ჩემი ნათესავები,
 ყველა გრაფი და გენერლებია.
 მაშ კარგი, წადი! — გაუშვეს ბავში.
 და ეხლა იგი მიდის ქუჩაში.
 წითელი დროშა დაინახა შორს,
 და სიხარულით შემოჰკრა ტაში.

გაიარა რა პირველი ქუჩა,
 შესახვევიც გაიარა მრუდი
 მესამეს რომ მიაღწია ბავშვია,
 ტყვიამ თავზე ააგლიჯა ქუდი.
 მაინც მიდის. აგერ შტაბიც. მამა.
 ბიჭუნია სცნო წითელმა შტაბმა.
 შენ დაჭრილი ყოფილხარო ხელში.
 აბა ბინტი; იოდი და ბამბა.
 შენ ნამდვილი ყოფილხარო გმირი,
 რომ შესძელი გამოგევლო ბინდი.
 დედაშენი მთელი დღეა სტამბა.
 აბა, ბამბა, იოდი და ბინტი.
 ბავშვს ახსოვს სარდაფი და უფრო დაბლა
 პატარა მაგიდის ოდენა სტამბა.
 ეს ბნელი სარდაფი არჩია ბინად
 მსოფლიო ამბების მომხდენმა შტაბმა.
 რამდენი შიში და რამდენი კრომა,
 რამდენი სიცივის და ღამის დამბა.
 გადასწვეს სარდაფი... და ახსოვს, ახსოვს
 პატარა მაგიდის ოდენა სტამბა.
 რა? რას ამბობ? — შეეკითხენ — სტამბა?
 იქიდან აქ მოვიტანეთ სტამბა,
 შენ ნამდვილი ყოფილხარო გმირი.
 აბა, ბინტი, იოდი და ბამბა.

ინგლისელს მწერალს მსურს ვუთხრა: მისტერ!
 თქვენ მსოფლიოში ხართ ისე თეთრი

რომ უფლება გაქვთ არ გაირიყოთ,
 როგორც პოეტი და გეომეტრი.
 თქვენი გახედვა საცხეა მოკვლით,
 ის ჰიპერბოლებს არ იგვიანებს:
 თუ ლონდონიდან სიტტის მონოკლით
 მთვარეზე იგვლევს ადამიანებს.
 და მერე როგორს? თვითეულს მათგანს
 წარმოდგენისას აშორებს ფაზისს
 ჰიპერბოლებით დასერავთ ათგან;
 თვითეულ მათგანს ეს დაღი აზის.
 აი: იქ მცხოვრებს სწავლულს უდიდესს
 შუბლი აქვს რაღაც უზარმაზარი.
 მაგრამ როდესაც აიხდის რიდეს,
 სხეული მჭლეა და შესაზარი.
 კოლოსალური, მძლავრი სპორტსმენი,
 მსხვილი ძარღვები, კუნთები, მკლავი,
 კოლოსალური სიდიდის ტანი
 და უიმედოთ პატარა თავი.
 ვარსკვლავთმრიცხველი სიბრძნეს შეება,
 ქელთა ფორმულათ რისხვით დამშვენი
 იას თვალები აქვს დიდი, ვეება
 და ფიგურა კი ძლივს შესამჩნევი.
 კვლავ შედარება უფრო იზრდება,
 თქვენი გენიაც უფრო მკვეთრია,
 და გვევლინება უურნალისტებათ,
 რომელთ ხელები — კილომეტრია.
 მისტერ! თქვენ ამბობთ მართლა ქაოსებს,
 ჰიპერბოლებით ასე ჯვარცმულებს,
 კიდეც გვაღელვებს, კიდეც გვაოცებს,
 მაგრამ ვერასგზით ვერ დაგვარწმუნებს.

შეგისწავლიათ თქვენ მარსიც ასე
 და რომანში გაქვთ სიტყვა ჩირთული
 რომ გიგანტები ცხოვრობენ მარსზე
 და მათი ენა არის... ქართული!
 გმადლობთ! აი ეს იქნებ სწორია.
 უუძველესი ქართველთა მოდგმის
 გცოდნიათ ენა და ისტორია,
 მისი კულტურის, მისი გამოთქმის.
 იქნება გვითხრათ, რომ უფრო სრული,
 ამ აღმოჩენის იქნას, ეუექტი:
 მარსზე გამოთქმა არის ქართული,
 მაგრამ ქართულის რა დიალექტი?

საქართველო მსოფლიოში შესვლით
 ბორკილების მეტს არაფერს ჰყარგავს
 შეიცვალა ახალგაზრდა შეცვლით
 და წინანდელ საქართველოს არ ჰყავს;
 გადიფანტოს ფიქრებიდან ნისლი,
 დაიხსომე კიდევ უფრო კარგად —
 აზეირთებულ მსოფლიოსთან მისვლით
 ბორკილის მეტს ის არაფერს ჰყარგავს.

რევოლიუცია არის გრიგალი,
 რევოლიუცია არის სტიქია,
 რომლის სისწრაფე და ძლიერება,
 არ გწამს, არც გჯერა, არ გაგიგია?

რევოლიუცია არის ქარბუქი,
 იგი მაისის არის დამდევი,
 რა დაუნდობლად განადგურდება —
 ყოველი მისი წინაამდევი
 იგი ადგილსა და განჩინებას
 აუცილებელს მიუზღავს მის-მისს —
 შათი მიზანი ერთად ერთია —
 დასძრას ეპოქა სოციალიზმის.
 შორი მომავლის არაა ხანა,
 როს დალაგდება ღელვა რღვეული,
 ეს ლოზუნგია დღევანდელი დღის;
 ეხლანდელია და ძირეული.
 ასეთნაირი დიქტატურა ჰქმნის
 აუცილებელ გზას და პირობას
 მისცეს ახალი შარავანდედი
 ჩვენი ეპოქის უძლევ გმირობას
 იგი დაეძებს შესაძლებლობას,
 რომ მწარე დროის უარმყოფელი,
 მტკიცედ დაადგეს განახლების გზას
 ჩვენი ქალაქი, ჩვენი სოჭელი.
 ეს მეტად ძნელი არის მიზანი,
 საჭირო არის დიდი მძლეობა,
 გამოიყენოს მუშათა კლასმა
 ისტორიული მემკვიდრეობა.
 ეს სულ არ არის სეს ადვილი,
 როგორც ჰგონია თვალებს მხიარულს,
 უცებ დაამხოს ბურუუაზია
 ა შეხვდეს მხარეს ინდუსტრიალურს!

აი ფაშისტურ პოლონეთის ცას
 გადაეფარა შავი ბურული
 ლრუბლებს ცეცხლივით გაეკრა ელვა
 მრავალ სისხლიან ღამის მთევარი
 გავარდა მეხი! სწორედ იქ, ცენტრში,
 სად ქარხნის მუშა სდგას გამურული
 და დამჩაგვრელის ნახევარის ჭინ
 დღეს დაჩაგრული სდგას ნახევარი
 უნდა დაინგრეს და შეიცვალოს,
 უნდა განახლდეს ჩეენი პლანეტა
 განა არ კმარა: რაც ის მონობის
 გაუნელებელ ქარში იცდიდა
 სულ ცეცხლის ფერით შეიცვალოს ფერი
 ! ილაუგარდეთა და სიმწვანეთა.
 გაუმარჯოს ლოძს, გაფიცვებისა
 და ბრძოლების დღეს რომ განიცდიდა.
 გაუმარჯოს დროს როცა ვეზუვის
 გული ამოხეთქს ერთხელ სრულიად
 პროლეტარული წყევლა და კრულვა
 რომ დააცხრება დღეებს საცემით
 მრავალთა მხარეთ ეხლაც, შეხედეთ,
 ცა მოლოდინით დამურულდა,
 შემოსილია ფაშიზმის სუსით,
 დათარულია მლერიე ხავსებით.
 აღსდექით, დროა! გამოფხიტლების
 ყველგან ნიშნები არის უდავო!
 იმ კაპიტალის მძიმე უღლისგან
 არსად არ არის დარის დარება
 ყოველ მის ნაბიჯს, ეხლა კი დროა,
 ხურდა ხურდაზე გადაუთავო

ემზადე ბრძოლის დასაწყისისთვის,
 იქნება სუსხი და გამწარება.
 მრავალ ათასთა პროტესტის ჩუმი
 გამოღვიძების ბერია თვითონ
 თვითეული ხმა დაბუგულია
 აჯანყებათა მძლავრი ღრუბლებით
 ძირს მუქთა ხორა! სთქვით, მშრომელი
 ეს ბორკილები რად უნდა ზიდონ
 რისთვის არ უნდა ჰქუხდეს ქვეყანა
 პროლეტარული ძალაუფლებით
 ჩვენც თქვენთანა ვარო! დაკოურილ ხელთა
 გამწარებულთა წყება მრავალი
 იგი მუქარას უთვლის კაპიტალს,
 კი ბრძოლისკენ მიეჩქარება,
 კმარა დუმილი და მოთმინება.
 მისია მხარე და მომავალი
 ყოველ ასეთგვარ ქარიშხალს მოაქვს
 შრომის სუფევის აღიარება.
 გრანდიოზული ფაბრიკა-ქარხნის,
 მაჯების სუნთქვა უცებ დასრულდა
 არ ბოლავს მილი აშენებული,
 დამონებული ქვით და მიწებით
 ჩვეულებრივი დღეების რკალებს
 გასცდა გაფიცვა და გაბასრულდა
 მეორე დღისთვის დღე ემზადება —
 მოლოდინითა და მოწიწებით.
 უზარმაზარმა წინდის ფაბრიკამ,
 მოშორებულმა გუთანს და სახრეს
 ელვის სისწრაფით რო აისროლა,
 უკანასკნელი თავისი წინდა —

თითქო უეცრად მან ყური მოჰკრა,
 რაღაც ლიდებულს, რაღაც უაღრესს
 უკანასკნელი დასძრა ქსოვილი
 და სიჩუმეში იგი გაყინდა..

ბევრი ღიმილი მინახავს ქვეყნად,
 ბევრჯერ დამწერა ღიმილით გული
 ერთში, დაგმობა გამოითქმოდა
 და მეორეში კი სიყვარული.
 მე ვიცი სახე, რომლის ნაკვთებზე
 მხოლოდ სატანის სული კრთებოდა
 შხამით და გესლით უძგერდა გული.
 იგი კი მაინც იღიმებოდა.
 ახლა შენ გახსოვს მისი ღიმილი,
 მთრთოლვარე როგორც მაისის ვარდი
 შენ არ უყვარდი და მაინც ისე
 იღიმებოდი თითქო უყვარდი.
 ხომ არის ხალხი: თვალწინ უწყვიათ
 ცხარე ბრძოლაში მოკლული ძმები
 ამ დროს ვინ უნდა იღიმებოდეს?
 მხოლოდ იუდა და გამცემელი.
 არის ნაღველი! ის მეფობს გულში,
 ყოველ ფიქრთა და ნატერათა მძლევი
 მხოლოდ ნიღაბი ფარავს ამ ბოლმას:
 ეს ღიმილია ნაძალადევი.
 დადის ღიმილით საბედისწერო,
 ეს ღიმილია ეხლა ჩვეული,
 ის ისევე ნისლს მიეფარება,

ნისლიდან ოდნავ გამორკვეული.
 გაფიქრებს ბევრი იდუმალება,
 გაშინებს რალაც მაგრამ თან გხიბლავს
 იგი საესეა მიმზიდველობით
 რომ შემდეგ გული უფრო მოგიკლას.
 ჩვენ კიდევ ბევრი ვიცით ღიმილი,
 არც მხიარული, არც მოწყენილი
 თითქო მტრედია მართლა უმანკო
 და გულუბრყვილოთ შემოფრენილი.
 გულს ჩაგვრჩენია ერთი სიცხოვლე,
 ვერ წაშლის თვითონ სტიქიის ჩრდილი
 და არასღროს არ დაგვავიწყდება,
 რადგან ის-დედის არის ღიმილი.

რაც მწარე იყო წარსულისაღმი
 უკანასკნელი შენი თაყვანი
 შენს სიყმაწვილეს სიბერე სცვლიდა —
 თავისუფლების შვილის აკვანი
 რა რიგ ბადებდა უიმედობას —
 უუძველესი ოჯახის ჟინი
 საკუთარ რწმენას ქმარი გართმეცდა
 და საკუთარ გულს ბავშის ტიტინი.
 ეხლა (როგორი დაგვიანებით!)

დრომ მოგაგონა შენ შენი ვალი

ხარ თანაბარი ადამიანი,
 უფლებიანი მშრომელი ქალი.

როდესაც სოფლებს ვეთხოვებოდით
 მისი გვახსოვდა მწუხარე თვალი

ჩვენ გვესახოდა მებრძოლ ქალაქის
დიდი დიდება და მომავალი.

გვეძახდა დიდი რევოლუცია,
გვეძახდა ქარხნის უძლევი უინი
გვეძახდა ბრძოლა, გვეძახდა ვნება,
დათნის გვირგვინი.

ჩვენ წამოვედით, სოფელი დარჩა!
და გულში გამბობთ რასმეს ნატერის გვარს
აშორდეს ქოხი ჭირს, დამარცხებას,
ბედის დაცინვას მწარეს, მრავალგვარს.
გვეგონა განა რომ იქ მისვლამდე
ათასი ყანა, ათასი მდელო
გასწევდა იქით, საითკენაც გზა
კულტურულია და სამრეწველო?
ის როგორ მოხდა, რომ სოფლის გულში,
ადგილი არ გვაქვს, სულო ციურო.
აღარა შეგრჩა ძველი მიზანი,
აწ რაღიოთა ბამაგიერო.

აღარ არსებობს იგი დემონი,
ის ბრძოლითაა დასუსტებული
იქნება ძალას იკრეფდეს ისევ
რომ დაუწეწოს მსოფლიოს გული?
სხვანაირ წიგნთან ჩაგვეძინება
და ძილში გესმის სხვაგვარი ჰანგი
გამოერკვიე! მგონი კიდევაც
კარებს მოადგა მუხლუხო ტანკი.

იყო ადვილი: წარმოსადგენი:

ყოველ საათის საზრუნავ დღესაც,
უფრო და უფრო იარაღდება
ეფროპის საქმე, ეფროპის პრესა.
სჩანს რომ არავინ დაჲყრის იარაღს,
ომს ადარებენ უტკბილეს ღვინოს
მაგრამ ტურნირზე გააფთრებულზე
არ წაუგია ბრძოლა ლიტვინოვს.
და საბოლოო სიტყვით გამოდის
მხოლოდ აჩრდილი თავმჯდომარისა
ის გარეგნულად ზრდილობიანი,
ამ დამარცხებას გრძნობს უარესაღ,
ის ყველაფერით კმაყოფილია.

ლიტვინოვი კი, ცბიერი მარად,
მაღლობას უხდის მხოლოდ სამდივნოს
და ერთა ლიგის მუშა-აპარატს.
რაო? მაღლობა? და კეშენდენი,
ლორდი, მოქლული, ჰერცოგი რაღაც მინუსა
ო, რა თქმა უნდა! ამ შემთხვევაში
ის ეთანხმება ახლა ლიტვინოვს.
ო, განცხადებავ კეშენდენისა,
ეხლა ხომ მთელმა მსოფლიომ იცის
უკანასკნელი შენი სიტყვები
რისთვის იწვევდა მსოფლიო სიცილს.
და ამერიკის კორიანტელში
ხომ გაზეთებმა იკივლეს ბევრი:
ამერიკული იყო მანევრი,

რა მშვენიერი იყო მანევრი.

„ნიუ-იორკ-ჰერალდ-ენდ ტრიბუნ“-იდან

„ეს იყო ფარსი“ — ისმის ძანილი

ისეთი, ჯერ რომ არ გაჩენილა

მშვიდობიანი ყოფნის სახელით.

იქ ხომ ევროპის დელეგატები

იქცენ ფიქტიად და ფერიებად

ვერ ჰქნეს ბენსტორფის და ლიტვინოვის.

იერიშების მოგერიება.

რა საჭიროა სიცხადის წერა?

თეთრი-თეთრია, მწვანე-მწვანეა

გავიდენ-სუფთად ამ კამათიდან

მხოლოდ რუსეთი და გერმანია.

ვა” —

„ნიუ-იორკ-ტაიმს“-მა გრაფში — „უენე

ფართოდ გაშალა კინო-ლენტები.

რომ იქ ბერნსტორფმა და ლიტვინოვმა

გაანადგურეს ოპონენტები.

რაზე ფიქრობდენ ოპონენტები?

მათ, რა თქმა უნდა, ძლიერ ეწადათ

სესია ასე გამოეყვანათ

რომ დამარცხება არ განეცადათ.

ეხლა გააფთრდა პრესა პარიზის.

რა შეცდომაა — ღელაცის „ფიგარო“

ეს ხომ...ო, ეს ხომ პროპაგანდაა,

არავინ ახლო არ მიიკარო.

დრო დაიკარგა, აზრი, პრესტიური,

ჰკიცის „გოლუა“ ბუკს და ნალარას.

ამ ღრიანცელში დაესხა ლაფი,

ვაი, ევროპის სუფთა ჭალარას.

ო, ლიტერატუროვმა სესიის მღვრიე,
გაუშვა სისხლი გამოსადენი
იქ კეშენდენის დიპლომატია
რა ბედენაა — ამბობს „მატენი“.

ეს ბრძოლა დათვსა და ვეშაპს შორის,
გათავდა დათვის სათადარიგოდ
ზინოვიევის წერილებიდან,
ეხლა სხვა აზრი უნდა გავიგოთ.

„უიგარო“ „გოლუა“ „მატენი“ „ევრი“
ამ ტურნირს შფოთად უხსნიან პარიზს
ისინი კვნესენ, ჩუმ სიხარულში
„ლუმანიტე“ ხომ არის და არის!
ეხმაურება ტურნირს ბერლინი,
ის, დაუესის პლანების კერძი
თვალმაქცობაა ამ უენევაში,
საბოტაჟია — ამბობს „ფორვერტსი“
რა უდიდესი მოხდა ფიასკო!

თეთრი-თეთრია — მწვანე-მწვანეა
გავიდენ სუთთად ამ ტურნირიდან
მხოლოდ რუსეთი და გერმანია.
არის ადვილი წარმოსადგენი.

ყოველ საათის საზრუნავ დღესაც
უფრო და უფრო იარაღდება,
ევროპის საქმე, ევროპის პრესა.

იყბედონ სანამ მოსწყინდებოდეთ.
ან რას შეისმენს ქვა და კედელი
არ მონახულა ჯერ კიდევ კაცი
ქვეყნის ლაგამის გამომჭედელი

ჩემს გვერდით, აქვე მდიდრულ დარბაზში
 მშვენიერ ასულთ წყება ცერიალებს
 სიხარულია. აღტაცებაა
 და როიალიც მწარედ გრიალებს.
 სულ სხვა ხალხია! ნეტავი იმათ,
 რომ უზრუნველად ლხენით სტკებიან
 და მეშჩანურად, სუფთად და წმინდათ
 ახალწელიწადს ეგებებიან.
 ის კი, ბოგემა, მწარე შიმშილის
 და სიცივისგან თუ დარჩა ტემა,
 კმაყოფილთადმი მარადი ზიზლის
 და ნგრევის ჰიმნებს შექმნის ბოგემა.

რამდენჯერ სძებნა ომში სიკვდილი.
 შეიჭრებოდა. გულს დელვა პფლობდა
 მტერს მუსრს ავლებდა ხმალამოწვდილი
 მაგრამ მტრის ხმალი ვერ ჰპოულობდა.
 შეებმებოდა გუნდს მხოლოდ ერთი,
 ამჩნევდა: ხმალი დაგვიგვიანდა.
 თითქო სიკვდილის მოვიდა წამი?
 მაგრამ სიკვდილი არსაით სჩანდა.

ახალი გზაა ჩვენს წინ გაშლილი,
 ახალი შრომით — გადაუენილი

ჩვენ წინ მიგდივართ, და მოელი ხანა,
 ხომ გაქვლეულად არის შთენილი
 არის გზა, ჩვენგან არჩეული გზა,
 გაქანებათა ახალი ველი,
 სადაც იწყება ოლოქმული მხარე,
 სადაც ქვეყანა თავდება ძველი.

მე ამ წიგნზე რა უნდა ვთქვა ბევრი,
 შულგინია, რომ იმღერის ნანინას
 სახელმწიფო სათათბიროს წევრი,
 რედაქტორი გაზეთ „კიევლიანინ“-ის.
 მაგრამ ნიჭის უჩვეულოს მქონე,
 იყითხება წიგნი როგორც რომანი
 თითქო სწერდეს სტიქიური ღონე,
 მონარქისტის, სულ სხვა ეროტომანის.
 გადანგრეულ შენობას ჰგავს წიგნი,
 სურათები სურათებს სცელის მრავალი
 როცა მძლავრი ომი იყო შიგნით
 და იბრძოდა მეფეთ შთამომავალი.
 აქ იშლება ცხრაას ოცი წელი,
 შულგინი ხან დენიკინთან არის
 ხანაც წითელ ოდესიდან ელის,
 დაქროლებას სხვანაირი ქარის.
 ხან ისევ თეთრებშია, კაცია,
 ხან მის საზღვრად „მშვენიერი“ პოლშაა
 ისევ დევნა ისევ ემიგრაცია,
 იგი ეხლა კონსტანტინოპოლიშია

იტრიალებს ის განცდათა მორევს,
 ისე ამბობს თითქო შენ განვიცდია
 მაგრამ მალე გრძნობები რომ მორევს;
 ის შულგინი მაშინ... მონარქისტია.
 რიდეები წიგნს გაყვება ზოლად;
 მას გამოჰყავს, რომ არავინ დაპგმოს
 რომ წითლები აკეთებენ მხოლოდ
 მონარქიზმის უსაიუო საქმეს.
 რის წითლები, რისი თეთრი! ყველა
 ომებისა რომ გაივლის გროვა
 მისი აზრით, თუნდ წითელი ერქვას,
 ერთი კაცის დიქტატურა მოვა:
 რა შვაშია კოლექტივი, კლასი?
 ძვალრბილში აქვს რუსეთს ერთი ქარი
 იმას გინდა რომანვი ერქვას,
 გინდ სრულიად სხვანაირი გვარი.
 ასეთია ამ შულგინის „აზრი“
 და ამ აზრთან ღმერთმა შეაბეროს.
 მისი ჭედი, რომ შორიდან ამბობს...
 „საზღვარგარედ კი რაც უნდა—სწეროს!
 თუ ასეა, რად პრ მოდის ახლო
 „საზღვარს იქით გაქცეული ტურა?
 ნახოს რუსი როგორია ახლა,
 ვისი არის მართლა დიკტატურა.“

ეხლაც თვალწინ იგივე
 ათასცხრაას ხუთია

მახსოვს, როცა ქალაქებს
 ცეცხლმა შემოუტია
 და დამარცხდა დროებით
 დროშა სისხლით ნადები,
 დასცხრა რევოლიუცია,
 დასცხრენ ბარიკადები;
 მაგრამ გმირმა დაჭრილმა
 იმ განწირულ გზიდანა
 დროშა მტერს არ დაუთმო
 და ჩვენ გამოგვიტანა
 და ის კვნესით ამბობდა:
 აბა, ჩქარა ცხენები
 იმ მთას იქით, ტყის იქით
 რომ არიან-ჩვენები
 დროშა გადაუტანოთ
 მრავალბრძოლა-ნახული
 საიდუმლოთ, დროისთვის,
 ჰქონდესთ გადანახული
 და ჩვენ ორი, იმ წამსვე
 ღამის ფრთხილი ფიქრივით
 ძვირფას დროშის ამარა
 ბნელი ღამით მივქრივართ,
 ბნელი ღამით მივქრივართ,
 მწარე სურათებია
 ღამსჯელ რაზმებს სოფლისთვის
 მიუყურადებია,
 გზაზე სახლი, ბეღელი,
 ყველაფერი სრულიად
 გამხეცებულ ალისგან
 განადგურებულია,

ბნელი ღამით მივდივართ.

მწარე სურათებია.

დამსჯელ რაზმს შევუტყვივართ,

დაუყურადებია.

„ჩუ, ვინ მოდის? ესროლეთ;

ისინია? ისინი!“

ყურთან, თავზე, გარშემო

ისმის ტყვიის სისინი.

ჩვენ მიუშვით სადაც.

მოვიხარეთ, აი და —

ამ ტრიალო მინდვრებში

ჰაიდაა! ჰაიდა!

ჰაიდა!

შემდეგ ტყიურ ყვავილებით მკობილს
ყურადღებით ვაკვირდებით სოფელს:

ჰაპა გასცდა ოყოვიროს,

ჭურს მოხადა ორგო,

ღვინით ჰირი გაისველა,

იქ მიაგდო ჯორქო.

იქ ფიჩხები მიასწორა,

აქ გამოსჭრა უვერი

იქ ლობესთან გადისროლა

ძველი ჩალის ღერი

თან ბუტბუტებს, როცა ბოჭავს

ნაფოტს, წარა-მარა:

ეშველება ასე-ოჯახს?

არა, მამა, არა!

კერის ქვასთან რბის ალების რგოლი

და კეცეპთან ნაცარი და ტუტის

აირია მოშუშურე ბოლი
 მთელი სახლი გაიბურა ფუტით.
 აქ მტვერი და იქ ნაცარი,
 ზანდუქების სიძველე
 როგორც დოქის თავსაცავი,
 ნაქურჩალის სისველე.
 სახლის გულში ძველი ქისის
 გაბერილი ჩრდილი
 სადღაც ეგდო ვით სახნისის
 დაუანგული კბილი.
 თვით არ იცის როგორ, საით,
 და ყოველდღე რატომდაც
 ოჩაფეხა წეროსავით
 ამ ტალახში დადოდღავს.
 მოდის ჩოხანაბურავი.
 ამოვარდა ზენა ქარი
 მიაქვს საბან სახურავი.
 დაიფელა წინაკარი.
 იყო საღამო გრილი,
 თივას ნამავდა ცვარი,
 სახლს აწვალებდა კრილი
 და კრიალებდა მთვარე.
 გაელენთილი ზენაწეიმით,
 მოაქვს ლიული შეშა
 კერიასთან მძლავრს დაუდებს,
 წვრილს მიატანს ქვეშა.
 მამამისმა დაუტოვა
 ორი ძირი უოლა
 გოჯა მიწა, ერთიც ჭოხი,

მომცრო ზვინისტოლა
 ორი ძეელი საღადრია.
 თეფშიც ერთი ორი,
 ერთიც კიდევ, მართლაც კაი
 იმერული ჯორი.
 ოჯინჯალა თითქო ამბობს:
 ენ რა გინდა აქანა,
 ასე, ანაგდებასავით,
 რომ აკეთებ, ბალანა.
 ამ პარტახმა როგორ გარგოს,
 რა შეგმატოს ფერი,
 დაიღუპოს, დაიკარგოს,
 იქით ჩემი მტერი.
 ან რას უცდი ან ვის ელი,
 გარდა ორი ზეწარის
 ტანსაცმელი ერთი ხელი
 გაქვს და მხოლოდ ეს არის.
 მეზობლები რას მოგცემენ,
 მკაცრი, ენა-ბასრი?
 მათ ყოველგვარ მოვლენაზე,
 ხომ აქვთ თავის აზრი:
 „რაც შენია, ის შენია,
 წაიღე და წადა
 მე კი ჩემი მირჩევნია,
 თბილი ღადრის მჭადი.
 აგერ მდიდარსაც შეხედე.
 უყურე იმის ოინებს
 ნაფოტს არ გადააბრუნებს,
 დღეს ისე გაარონინებს.

იმასა ჰეგავს, ეხლა ხმა რომ
 ამოიღოს მუნჯმა,
 უტიფუარმა სხვების გულში
 რატომ იცის ბუნჯგვა.
 დაწყებული ადამიდან,
 პირში სული გვედგა,
 ეხლა სწორედ გადაგვიტანს
 სოფლის გულის ხეთქვა.
 ჩვენს შარაგზაზე მიღიან
 ჩამორებული კაცები
 ცხენებს საპალნე ჰკიდია;
 ლუკმა ოფლშია ნაწები.
 რაჭის მთებზე ალბად ჰყინავს.
 თოვლიც რა გვიანია
 ჟერად ნაცარს დასცერიან —
 ცეცხლი ფიქრიანია.

შემდეგ...

გაიარა 16 წელმა და 19 საუკუნემ
 დამონებულთა და გაბატონებულთა ეპოქიდან
 გაიარა მძიმე ქუსლებით
 გადატკეპნა კაცობრიობის საუკეთესო
 აზრები და გრძნობები.
 გასისხლიანებული ბორბალი ეპოქისა
 მიგორავდა საშინელი სიძლიერით
 ედებოდა ყოველივეს რაც ცოცხალი იყო
 აწიოკებდა და შეუბრალებლად
 ანაღურებდა, სპობდა
 დასერა, გადაიარა მთელი ქვეყანა
 ყოველგან ცდილობდა შავი ფარდის

ჩამოფარებას
 ეპოქა კვნესოდა,
 ეპოქა დადგა ყალბზე,
 იღუპებოდა
 და სტოცებდა უკვდავ ალს —
 განახლებისთვის.

ეხლა სხვა ტემა გადავდოთ განზე
 (კი არ დაღონდე!)
 არწივთ თავდასხმა ჭაეროპლანზე
 მე მომავანდა.
 ჩვენ მივთრინავდით სისხამა დილით
 ჰაეროპლანით
 შემოსილიყვნენ კლდეები ჩრდილით
 ლურჯით და მწვანით.
 გაჰქრა თუ არა დილის ბინდბუნდი
 ლამის ჩრდილიყით.
 თავს არწივების დაგვესხა გუნდი
 მწარე წივილით,
 ეს იყო ბრძოლა რომელსაც მკაცრი
 მიეცა აზრი
 ნისკარტი ბასრი, კლანჭები ბასრი
 თვალებიც ბასრი.
 მაგრამ რა ძალუძს უოლადთან სუმბულს?
 მე მომავანდა
 რა ფერის სისხლი ფერავდა ბუმბულს
 ქარს რომ გაჰქონდა.

როგორ არ ვიცი, ამგვარი წევიძა
ბრძოლის რას ჰქვია.

ძველი არწივი რკინის არწივმა
გამოარკვია

კლდეების მშვიდი და ობიანი
მათი ვედრება.

სდგანან. ხდუმს თოვლით მშვიდობიანი
გადათეთრება.

ან კიდევ აგერ: ბრგე ჯორა-ხარი
მაგარი კისრით ბუღრობის მდომი.
მოულოდნელათ ქარივით ჩქარი
უზარმაზარი დააცხრა ლომი.

ლობე გორაზე იყო მაღალი,
ლომისთვის რაა მუხა ჯავართა?

ერთის ნახტომით ამ სიმაღლეზე
კბილებში ხარით ის გადავარდა.

რა საჭიროა ლიტერატურა

ან გაგრძელება ამბის, მითხარით?

თანამედროვე რას შესძლებს ტურა

რომ გადავარდეს ხახაში ხარით?

მაგრამ მე ვნახე: ძირს ნიადაგი

რომ გამოსცლოდა როგორც ფანტომი

ლრიალით სძრავდა ჰაერს ჰაერში

გემზე ბაწრით რომ აპყავდათ ლომი.

მატარებელიც მოიშრა თუჯის
 ბოლს ლეჩაქებად ჯაგებზე სტოვებ,
 იქ, სადაც მოები ეპყრა ელგუჯას,
 სად ველარ ნახავ იმავ ფანტომებს.
 უცებ ტრიორის გუგუნს მოისმენს
 დილა ლაუვარდი და ნამიანი.
 იქ, სადაც ძველად ოდით-ოდესმე
 სთვლემდა კაცია-აღამიანი.
 ახალახალ გზად დაიწყებს კრთომას
 ავტომობილი ელვათა მჟენი
 სად მორბელაძეს, რაინდს სოლოშონს,
 ერთხელ ბელტებში წაეჭდა ცხენი.
 და სად სიკვდილი მოისხა ქოხმა
 ის მწუხარება დარჩება გაღმა
 ქარხნების ბოლი ავა გამოლმა
 რომ ელექტრონმა იფეთქოს გაღმა.
 იქაც, სად სავსე პრის მითებით
 ნადარბაზევი ან გუბაზეთი
 ჰაეროპლანის გაბედითებით
 მივა რადიო, კინო, გაზეთი.
 ყველაფერს ძველი ფერი წაერთო
 რაც კი რომ ახალ დროს შეეტოქა,
 რომ ყველაფერი იყოს საერთო
 ამისტერის იბრძეის ჩენი ეპოქა.

ის მედგრად ცდილობს
 ბორკილების ჩამოშორებას

ის ხედავს ლაჟვარდს,
 ხედავს მიწას, ხედავს ყვავილებს.
 მას შრომა აძლევს
 ჯალოთაგან ხსნასა და შვებას
 შრომა ბორკილის
 მოცილებას მას უადვილებს
 მთის წიაღთაგან
 თუ ელვარებს თეთრი ნაკადი,
 წმინდა წვეთებში
 მისი ისმის სიმღერა ნელი,
 ის გადიდება
 როგორც შრომა მძლავრი, ფერადი
 გადაეკვრება
 მავთულები დაუცხრომელი.
 აღფრთოვანება
 მშენებლობის გზასთან დიდება
 როგორც აჩრდილი
 ყოველგან სჩანს შრომის დიდება.

ბათუმის მზე ჩასავალად ენთო,
 მშვიდი ქარი ხმაურობდა ზღვაზე
 ცხოვრებისგან დაღალული „დენდი“
 ვინმე შემხვდა და მიამბო ასე:
 ერთი ქალი — ვერონიკა — ლალი —
 შიდიოდა გიაცინტით ხელში
 ორკესტრით და ხალხით ფეთქდა ბალი.
 ვერონიკას მოსწურენოდა შუბლი,
 ვერონიკას შუბლზე აჩნდა ზრახვა:

უცხო ქვეყნად მარტოობის ღრუბლი
 არც შეხვედრა, არც ნაცნობის ნახვა.
 მეგობრებში მე კველაზე ადრე
 უცხოელ ქალს ახალგაზრდამ, მკრთალი
 სალაში და თაიგული ვკადრე
 და ვიგრძენი მშვენიერი ქალი.
 რა წრის იყო — იკითხავდა ვინა ?
 ვადარებდით ვერონეზეს ნახატს —
 სადმე ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს
 თუ ხელგაშლით ვთამაშობდით ქალალდს.
 შემდეგ მოხდა... პეტროგრადის ხანა:
 აქ ნაცნობი არავინა მყავდა
 მოწყენილი, მღვრიე ყავახანა
 ჩემს უმიზნო მარტოობას ჰგავდა.
 გამოვედი გზად, ბურანში მყოფი
 ნევას ედგა შენისლების ბუნდი
 ქალს ნაზ მხრებზე გადაეგდო თოვი
 და გარს ერტყა მეგობრების გუნდი.
 ვერონიკა. ვერონიკა დადგა!
 აჲ, საით სად! იგი გასცდა ხიდეს
 რა თქმა უნდა ვერ შემიცნო, რადგან
 კლასი კლასის წინააღმდეგ მიღის.
 მე კი ვიდექ წყალთან საღამომდე
 სადაც მღვრიე ირეოდა ლვარი
 „უცხო ქვეყნად მარტოობას გრძნობდე
 ნეტარება არის. რაღაც გვარი“.
 გავცემეროდი კაფეებს და კინოს,
 ვიგონებდი მოგონებათ ნაკადს,
 როცა ძვირფასს გადაეკრავდით ღვინოს
 და ხელგაშლით ვთამაშობდით ქალალდს.

მეორე დღეს ისევ შემხვდა იგი
 და მომესმა საუბარი მისი:
 „საქართველო ეს ზღაპარი მზეა,
 უკეთესის ბედისაა ლირსი.
 ამ მხარეზე უფრო მეტი ვიცი
 იგი უფრო შეიქმნება მშვენი.
 როცა ძალა და უფლება მტკიცე
 დამყარდება იმ მხარეში ჩვენი.
 მაგრამ გრძნობა მარტობის მდევდა,
 ასე მოხდა — კაცია თუ ბედი
 სალამი და ყვავილების კონა
 არავისი მახსოვს, ერთის მეტი!
 ის დღე როგორც ახალგაზრდა მუხა
 საუცხოვო, ფრიალოზე ნარგი
 ის დღე ჩემთვის ყველაფერი იყო,
 ყოველ დღეზედ უჩვეულოდ კარგი.
 „ვერონიკა!“ მსურდა მეოქვე მაშინ,
 მაგრამ გრძნობამ შემაჩერა რაღაც
 ჩვენ ხომ... ძეირფასს გადავკრავდით ღვინოს.
 და ხელგაშლით ვთამაშობდით ქალალდს.
 კლასი კლასის წინააღმდეგ! მკვეთრი
 ხმით დაუძრა მესამე დღე რუხი...
 რა თქმა უნდა მე ვიყავი თეთრი,
 როს თოფების ატყდა ჭახაჭუხი...
 ვერონიკა მე ვიცანი გვიან
 რომ იქექა და ამღვრეულ ბოლში
 მკერდში, გულთან გამიარა ტყვიამ
 და დაგეცი, სისხლიანი თოვლში.
 „ვერონიკა! — დავიძახე“ მაშინ
 და გაფიტრდა ქალის თვალთა ცქერა

რაღაცასი გახსენება სურდა
 და, ვერას გზით... და ვერა და ვერა.
 ან კი როგორ? სხვა სახელიც ერქვა
 ვერონიკას ხელთ თოფი რომ ებყრო.
 ქარხანაში უწოდებდენ თურმე:
 გაბედული კალუგელი თებრო.
 ან კი როგორ? რომანტიულ სახეს
 და ლამაზ ხელს შრომა აჩნდა დალად.
 ჩვენ კი... ძვირფასს გადაგერავდით ღვინოს
 და ხელგაშლით ეთამაშობდით ქალალდს.

ეხლა, „დენდი“ დარაბის,
 ან „იყიდეთ“ ან „თუ კი...“
 ყვრის რძის და კარაქის
 გამყიდველის დუდუკი.
 ლალი და მოყვარული
 მუშკოპის მცველია
 სხვისთვის სასიხარულო —
 მისთვის ურუანტელია.
 გასკდეს გული ბარემის!
 მისი კაკაუნია.
 სასწრაფო დახმარების
 ეტლის ქროლა ჰერნია
 მისთვის ხმაა ბარაკის
 და საწოლის თუნუქი
 ერბოს, რძის და კარაქის
 დამტარებლის დუდუკი
 მისი ამ გამწარების

ბედს კიდევ რა ემართა
 ბალო კომუნარების,
 ბალო უმუშევართა,
 სხვას კი დააქვს და დააქვს
 რძე და თაფლი ნეტარი
 მშიერს ნება რად არ აქვს
 დახრას თვითონ ცხედარი?

ოცნება იგივ სინამდვილეა
 თუ შრომის ხმებით გუგუნებს ქნარი
 ელვარე სხივით განათებული
 უფრო ხელმარჯვედ მიწა დასძარი.

თქვენი წიგნია: ქართველი ქალი
 მშობლიურ ენას გადაჩვეული?
 თქვენ გავიწყდებათ მეორე ენა,
 შრომა, მომავლის ენა გრძნეული
 როს მსოფლიოში დაისადგურებს
 თანსწორობა და აღმაფრენა,
 ექნება ერთი ენა მსოფლიოს,
 ვინ იცის, იქნებ „ქართული ენა“.

ახალგაზრდობა მომავლის ძალა
 სწუხდა ჯეარედინ ფიქრში გართული.

თვითმპყრობელობის საშინელ სუსხში·
 შეურიგებლად ღელავდა გული·
 და ვერ შელახა ცხოვრების ტალღამ·
 თავისუფლების ფიქრი რჩეული·
 გაგვასალკდევა იმ უდროობამ
 აწ რკინადაა გული ქცეული.

ის ხელოვნება კიდევ აღდგება
 გაანადგურებს ყოველგვარ მტანჯველს·
 ჯერ დაუძრავი მალილი მთები
 უცდიან ახალ მიკელ-ანჯელოს.

ვისაც ვანდობდით სიხარულს ჩვენსას.
 ის დიადია, მალლებული
 აღარ ვერწმუნოთ მას ამის შემდეგ?
 აღარ მივანდოთ გული ნთებული?

დღეს კარგი დღეა და სიყვარულით·
 სუნთქავს ტყეველი
 აღზნებულ გულის ალერსისაა
 მზე ულეველი
 გავსწიოთ შრომის და პოეზიის
 სიელვარეში

მოულოდნელად დღეს აღმოჩენილს
ჩვენთვის მხარეში.

როცა ტუილისში ტყე მღელვარებდა
და აგჭალაში კიოდა ტურა
იმ ხანისათვის თუ ივარგებდა
თქვენი მხატვრული ლიტერატურა
ცუდ ვარსკვლავზე ხართ ალბათ შობილი
სხვებს კი პოეტთა ვით ითხოვს წესი
იმ ტფილისიდან ავტომობილით
იმ ავტოლისკენ იწვევს ზაჰესი.

ახალი დროის არგონავტები
მიეშურებით კოლხიდის მხარეს ც
ოქროვ, შენ მაინც არა თავდები
თუ სხვა გრძნობები მიაქვს სამარეს.
ვით ძველი დროის არგონავტები,
ვით ძველი დროის არგონავტები
მიეშურებით კოლხიდის მხარეს
ახმაურებით და აზავთებით.
თქვენ არ გაშინებთ ზეირთების ლავა
დაბრკოლებანი გარემოისა
თქვენი ოცნება ნაპირზე აეა
არგონავტებო ახალ დროისა.

შენს ხომალდზე იგდარებში
მრავალ გრიგალს უბერნია
ხან უმიწოდ, ხან უზეცოდ,
ან პადოლის გუბერნია.

დღეს ხერხემალი ღერძი და სული
გაუთავებელ ომებთან ომით
მათ დაამტკიცეს ჯერ თავის სისხლით
შემდეგ მედგარი და მძიმე შრომით.

ჩვენ ჩვენი ქვეყნის მარადისნი
არა ვართ მკვიდრნი.
მაგრამ მანამდის ხომ ჩვენია
და ჩვენნაირი
მაღალი მთების სილამაზე
და სიმდიდრენი,
იმისი ნავთი, ქვანახშირი,
ოქრო, ჰაერი.

დეკემბერია. ყინვა. რუსეთი.
სუსნი ამძაფრებს წყებლას და კრულვას
სად ბეხტერევის დიდი გენია
კვლავ იგონებდა მრავალ ფორმულას.
უნდა იშრომო და უნდა შექმნა

ოცნებებში არ უნდა გაერთო
 მეცნიერება მედგარ შრომასთან
 ჯაჭვით გააბა და შეაერთო.
 შრომა და შრომა და ისევ შრომა
 აკადემია და ისტორია
 მის ტვინს მოუკლის და შეინახევს
 სხეულს კი იწვევს კრემატორია.
 მე-ვნახე სოფლად კედლის გაზეთი
 ოქტომბრის სხივი სხივის ფერებით
 აქ ყველაფერი არის: ამინდი,
 ნაკლი, მიხწევა და ბეხტერევი.

გულში ცეცხლია, ტყეშიც ცეცხლია
 მიუდგომელი, გაურკვეველი
 უჩინარია სანამ სიჩუმით
 გარემოცული არის ტყე-ველი.
 მაგრამ როდესაც ყაჩალურ სტვენით
 აგრიალდება მინდვრებში ქარი
 ცეცხლი იუეოქებს, ტყეს მოედება
 დასწვავს, დანაცრავს, დაუდეგარი.

ჰანგთა სისწრაფეს და სიძლიერეს
 ნუ მომაგონებ ძველი რიცხვებით
 ჩვენ რასაც ვმღერით მას გული მლერის:
 განუსაზღვრელი თავდავიწყებით.

შკათათვის მზე ამწვანებულს უცლის ველს,
 აქა-იქ სჩინს დაშთენილი კიდევ ძნა
 გაენთები მოგონებებს უდარდელს
 დავიწყება არ იქნა და არ იქნა.
 ხავერდივით ამწვანებულ მდელოზე
 ცხენით მივქრი, გული იწვის და ღნება.
 მე ვოცნებობ ახალ საქართველოზე
 ამ მინდვრებზე ხვალ რომ დაიბადება.

ეგ ყველა ერთი არ არის ჩემთვის
 გაეხმაურე გულს მომავალო
 რომ იქ არ დარჩეს არც ერთი ფიქრი
 საბედისწერო და სავალალო!

ახალი მამა და ძველი შვილი.
 ოთახში მეუობს სიჩუმე მკვდრული
 მთლად გაფითრებულ ახალგაზრდა შვილს
 თვეს ადგას მამა გაფითრებული.
 გარედ მრისხანედ გრიალებს ქარი.
 მთელი ტემაა თვალწინ გაშლილი
 ახალი მამა და ძველი შვილი.

ახალი მამა და ძველი შვილი
 ეუბნებოდენ — სთქვიო ზღაპარი.

ან რა იცოდენ რომ სინამდვილეს
 შეუცხებია იგი ზღაპარი
 და დაუკარგავს ზღაპარს შეენება
 და უპოვნია ზღვა თანაბარი...
 რაა ზღაპარი?

აჰა, თენდება! ოქროსფერ სხივით
 ენთება შენი შარავანდედი
 მტრედისფერ ცაზე სიხარულია,
 მტრედისფერ ცაზე გამოჩნდა გედი.

მზისკენ-ვარდისკენ მისი სხივებით
 ანთებული და ფრთა-ნათუთქარი
 ამოსაწუწნად მიღის ღრუბელი,
 ლურჯი ფუტკარი
 ისარივით-ზე აინავარდა
 და ახმაურდა ცად პროპელერი
 მზის სადიდებლად გუგუნი ისმის
 განახლებული მღერის სოფელი.
 ზეცილან ქვეყნად ეშვება ნისლი
 ქვეყნიდან ზეცად მიიღტვის გული
 ო, ბუნებაო რა ჯადო არის
 შენს სიმღერებში დამკვიდრებული.

მთელი ქვეყანა რომ გადაიწვეს
 ცეცხლი მოედოს შრომის და ამაგს
 ჩემი ერთი ხეც არ დაიწვება:
 ერთი ხე რაა — ქვეყნად არა მაქვს.

ეეროპა ვერცხლით აურაცხელით
 ძუნწ მათხოვარს ჰგავს, დააცხრა ტახტებს
 მის მდიდარ ჯიბეს თუ არ სწვდი ხელით
 ხელიდან ის ჯოხს არ გადააგდებს!

რაა იმაზე მეტი სიბრივე
 სიღარიბესთან, რომ სიმშგიდეა
 მისით სიკვდილის კარებთან იყვე
 და მაინც კვნესდე: ღმერთი დიდია!

გამოსულა ტიტველი
 და ბაზარზე დიდგულობს.
 ერთი ნემისის მყიდველი
 ბათმან რკინას კიოხულობს.

შენ ფოლადივით ცივი თვალებით
 უცქერ განვლილ გზას და არ ემდური.

ოად გინდა იყო დიდი პოეტი
 თუ სიცოცხლეში ხარ უბედური?
 აქვეყნებ ლექსს თუ თმას გადივარცხნი
 გამოსვლის უმაღ როგორც შურდული
 მოგესევიან მარჯვნივ და მარცხნივ
 და წუთის უმაღ ხარ გაქურდული.
 უმჯობესია გახდე ყაჩალი
 დინამიტისას სწევდე ჩაწყობას
 უნემ იტანდე პოეტის ასე
 დამცმირებელ შეურაცხოვას,
 შენ აკოლადივით ციიი თვალებით
 უცქერ განვლილ გზას და არ ემდური
 რად გინდა იყო დიდი პოეტი
 თუ სიცოცხლეში. ხარ უბედური?

კვლავ მოვარდება ახალი ერა
 სახელად დიდი მსოფლიო ომი.
 კვლავ პროპელერის იქნება ბგერა
 გაზებით კაცთა სიკვდილის მდომი.

მხატვარი ნაწილთ სივრცეში ტრიალს
 კვლავ ამჯობინებს ერთად მოკრებას
 გამოუდგება გრგვინვას და გრძლს
 და ურაგანულ აბობოქრებას.
 გაილესება იგივე ზვავი
 ზეირთთა მოწოლით გრიგალივით მწირ
 გზაზე დადგება...-ორი მრისხანე,
 ორი პირისპირ.-
 შეაცივდება თვალები თვალებს
 თვალები თვალში კვლავ დაეფლობა

ერთი მეორეს კვლავ გააწეალებს
 თვალთ დაშორების შეუძლებლობა.
 მაგრამ ისვრიან ელვათ უკმეხი
 ახალი ღელვა ნამდვილი მზის
 კვლავ იმძაფრება მედგარი მეხი
 მოახლოვებულ რევოლიუციის.
 მეტეორიტის,
 ბოლიდის ან მთვარის ნატეხის
 დედამიწაზე
 ჩამოვარდნას ჰგავს ერთი გრძნობა
 რომელსაც რღვევის
 კატასტროფის და გარდატეხის
 წყურვილით სავსე
 ჩემი გული ელის. ენდობა!
 ახალი ხანა რამ შეატოკა?
 როდის დამთავრდება ეს ეპოქა?
 ეპოქა დამთავრდება
 მსოფლიო რევოლიუციის
 მოხდენის დღესაც
 მე მისი გული ვარ
 და მონათესავე.

